



მასწავლებელი

მასწავლებლის
პროფესიული
სტანდარტი

წიგნის წაკითხვას
რა უნდა

სასერტიფიკაციო
გამოცდები
პროფესიულ უნარ-ჩვევებში




საქართველოს
ანგარიშობისა და მასწავლებლის
საინსტიტუტო



ანგარიშობის
კომპლექსური მასწავლებლის
საინსტიტუტო

N6, 2009





მასწავლებელი

შურნალი

აბრძელებს კონკურსს!

ეკოლოგიური სწავლების ამაღლებისთვის

ჩაერთეთ კონკურსში! გაბვიწიარეთ თქვენი გამოცდილება!



გამოგვიგზავნეთ გაკვეთილის გეგმა, თვალსაჩინოებები და სავარჯიშოები!

საუკეთესო გაკვეთილების ავტორები საჩუქრად მიიღებენ ჟურნალ „მასწავლებლის“ ერთწლიან ხელმოწერას და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამოცემების სრულ კომპლექტს!

კონკურსის დასკვნით ეტაპზე სამი საუკეთესო გაკვეთილი გამოვლინდება. გაკვეთილების გეგმები ჟურნალ „მასწავლებლის“ მომდევნო ნომერებში დაიბეჭდება!



საკონკურსო მასალა მოგვანოღეთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე ან გამოგზავნეთ ელ.ფოსტის საშუალებით:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 95 13 95, ფაქსი: (+995 32) 95 58 36 ელ. ფოსტით: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

რედაქტორისგან



როცა თელავის უნივერსიტეტის ტექნიკური კოლეჯის, შემოქმედებითობისა და გამორჩეულობის ხელშეწყობის ინსტიტუტის დამფუძნებლისა და დირექტორის, ერიკა ლანდაუს წერილს „მომავლის განათლება: კითხვების დასმა“ ვეცნობოდი, თავდაპირველად გავიფიქრე, კითხვების დასმა ხომ იოლია, პასუხების გაცემაა-მეთქი რთული. თუმცა, როგორც ვიცით, არც კითხვების დასმისას გვაქვს საქმე მარტივად. შეკითხვების მეშვეობით, ადამი-

ანებს მოქმედებისკენ ვუბიძგებთ, რაც შემდეგ მათ დამატებითი შეკითხვების მოფიქრებასა და პრობლემის არსის, მისი შედეგების უკეთ გააზრებაში ეხმარება.

ჟურნალის ყოველი ახალი ნომრის შედგენისას, ჩვენც ვსვამთ კითხვებს: რა შევთავაზოთ ამ ნომერში მასწავლებლებს? რა იქნება მათთვის უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი?

ვეცადეთ, თქვენთვის საჭირო რამდენიმე კითხვაზე მოგვეძებნა პასუხი. რა არის ტრენინგი? როგორ უნდა გამოვიყენოთ ის პროფესიული განვითარებისთვის? ამ კითხვებზე პასუხის მოპოვებას პაატა პაპაიაშვილი შეეცადა და ტრენინგზე, როგორც პროფესიული განვითარების ეფექტურ საშუალებაზე გვიამბო.

რა არის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი? რა პრობლემები არსებობს მასთან დაკავშირებით და რა მოლოდინი აქვს მასწავლებელსა და საზოგადოებას მისგან? ამ კითხვებზე პასუხების მოსაპოვებლად, ჟურნალი „მასწავლებელი“ მრგვალი მაგიდის გარშემო შეიკრიბა და თქვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი პასუხებიც მოისმინა.

როგორ მოვანყოთ საკლასო გარემო ისე, რომ მოსწავლესა და მასწავლებელს შორის პოზიტიური დამოკიდებულება ჩამოყალიბდეს, როგორ შევქმნათ ისეთი პირობები, რომ პრობლემური ქცევისა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეებსაც დავეხმაროთ ადაპტაცია-სოციალიზაციაში. ამ კითხვებზე პასუხებს თეა ჭყიძისგან მოისმენთ.

როგორ მივაღწიოთ სასწავლო შედეგების ხარისხს, რომელიც საგნობრივი პროგრამის სტანდარტით არის გათვალისწინებული? როგორ გავიგოთ, რისი სწავლება შეეძლება; რა არის შეფასება და როგორია მისი შემადგენელი კომპონენტები? ამ კითხვებზე პასუხებიც ამ ნომერში შეგიძლიათ მოიპოვოთ.

როგორ გამოვიყენოთ შესვენება? ამ დროს შეგვიძლია ბავშვებს მნიშვნელოვანი სოციალური უნარ-ჩვევები განვუვითაროთ. შესვენების დროს ხომ მათი მოქმედება თავისუფალი და საკუთარ ინიციატივებზე მინდობილია. როგორ შევუქმნათ მათ უსაფრთხო და პოზიტიური გარემო, თან ისე, რომ შესვენება დასვენებისთვის გამოიყენონ. ამ კითხვების პასუხებსაც აქვე, ამ ჟურნალში ნახავთ.

ვფიქრობთ, ჟურნალის გაცნობისა და წაკითხვის შემდეგ თქვენთვის საჭირო სხვა არაერთ კითხვაზე იპოვით პასუხს.

ისევ ერიკა ლანდაუს მივუბრუნდები. ის მასწავლებლებს ურჩევს, გაკვეთილი შემდეგნაირი შეკითხვებით დაიწყონ: „რა ვიცით ამ თემის შესახებ? რას ფიქრობთ ამ თემაზე?“ ის თვლის, რომ ასეთი მიდგომა გამოიწვევს მოსწავლეს, წინარე ცოდნას გაუაქტიურებს, ან გააცნობს ახალ იდეებს და წაახალისებს, დასვას შეკითხვები თემის გარშემო. გაკვეთილი არასოდეს არ უნდა დამთავრდეს **წერტილით**. გაკვეთილის ბოლოს ყოველთვის უნდა დაისვას შემდეგი შეკითხვა: „გინდათ, ეს თემა უკეთ შეისწავლოთ?“

მეც დავესვხები მას და ვიკითხავ, გინდათ ამ და სხვა თქვენთვის საინტერესო თემებზე ვისაუბროთ? მოგწერეთ, გვკითხეთ, ვეცადოთ პასუხები ერთად მოვიპოვოთ. კითხვების დასმისა და პასუხების მოპოვების პროცესში, ერთმანეთისთვის უფრო მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი ვიქნებით.

ნატო ინგოროყვაძე
მთავარი რედაქტორი

ჩვენი მიზანია მასწავლებლის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა ინფორმირების, დისკუსიის ნახალისებისა და გამოცდილების გაზიარების გზით. ჟურნალი ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიის აპოკალიფსიას.



მასწავლებელი

N6, 2009

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამომცემა პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ

რედაქციის მისამართი:

სოფო გორგოძე
პაატა სირგილაძე
თამარ მოსიაშვილი
პაატა პაპაიაშვილი
ნათია ნაცვლიშვილი

მთავარი რედაქტორი:

ნატო ინგოროყვაძე

რედაქტორი: ირაკლი კახაბაძე

სტილისტი: ირმა ტაყაიძე

დიზაინი: პისიკ დანელია

ფოტო: ბელა ბედიანაშვილი

მხატვარი: მამუკა ტყეშელაშვილი

ჟურნალის ტიპი:

ბელა ჩიკურიშვილი, მანანა იაშვილი, თამარ ფხაკაძე, შორენა პურდიაშვილი, ალექსი ციტიტიშვილი

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის და „მასწავლებლის“ რედაქციის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
მისამართი: თბილისი, 0102
დირექტორი უზუნაძის 52
ტელ: (+995 32) 95 13 95
ფაქსი: (+995 32) 95 58 36
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ISSN 1987-6149 UDC 371.1
8-374

მასწავლებელი

დარეკატი:
შპს „ნიმნის სამყარო“: 45 33 79
სს. „მაცნე“: 37 47 49, 22 64 58
„ელპა-სერვისი“: 38 26 73, 28 26 74

სტატიები

ექსპერტი

პაატა პაპავა

6 ტრენინგი, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეფექტური საშუალება

ტრენინგი, როგორც პროფესიული განვითარების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა ორი ძირითადი მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული: მასწავლებელთა კომპეტენციების განვითარება პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნების მიხედვით და მათი მომზადება სასერტიფიკაციო გამოცდისათვის.

ექსპერტი

მანანა ზოჭორიშვილი

9 შეფასება და მისი კომპონენტები

თითოეულ მოსწავლესა და შედეგზე ორიენტაცია თვისობრივად ცვლის შეფასების სისტემასაც. შეფასების საშუალებით განისაზღვრება იმ სასწავლო შედეგების მიღწევის ხარისხი, რომლებიც საგნობრივი პროგრამის სტანდარტით არის გათვალისწინებული.

გამოცდილება

11

ერიკა ლანდაუ

მოგავლის განათლება: კითხვების დასვა

მასწავლებლის გამოცდილება გვაჩვენებს, რომ კითხვების მეშვეობით სწავლება გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ფაქტებით. ეს მეთოდი ბავშვების ცნობისმოყვარეობას ზრდის და, შესაბამისად, მათ შეკითხვების დასმისკენ უბიძგებს.



ექსპერტი

თეა ჭყონია

14

საკლასო ოთახი - ბარემო და სწავლის მოტივაცია

საინტერესოდ მონყობილი საკლასო ოთახი სკოლის სასწავლო კლიმატს აუმჯობესებს და პრობლემური ქცევებისა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებს ადაპტაციას-სოციალიზაციაში ეხმარება.

მოსაზრება

33

ირაკლი კაკაბაძე, ნათია ნაცვლიშვილი შესვენება დასვენებისთვის ანუ როგორ გამოვიყენოთ დასვენება

შესვენებაზე ბავშვებს მნიშვნელოვანი სოციალური უნარები (მეგობრობა, კონფლიქტების მოგვარების უნარი...) უვითარდებათ. ამ დროს ისინი მთლიანად საკუთარი ინიციატივით მოქმედებენ. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გარემო პოზიტიური და უსაფრთხო იყოს.

გამოცდილება

21

სოფო გორგოძე

რეაბილიტაცია საქართველოსა და მსოფლიოში

რა გავლენას ახდენს რეპეტიტორობა სახელმწიფო განათლების სისტემაზე და რა პოლიტიკას მიმართავს ეს უკანასკნელი. თითოეულ ქვეყანაში რეპეტიტორობის ინსტიტუტი განსხვავებულ პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ გარემოში ყალიბდება და, შესაბამისად, სხვადასხვანაირ რეაგირებას ითხოვს.


ნოვატორები

36

მერაბ ლაბაძე

ელექტრონული თამაშები განათლებაში. ახალი საშუაროს მისაღწევად

რა არის მასწავლებელთა მოლოდინი სკოლაში ელექტრონული თამაშების გამოყენებასთან დაკავშირებით? ევროპელი მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ „იდეალური“ თამაში უნდა შეიცავდეს ღირებულ შინაარსსა და ინფორმაციას, იყოს ადვილად გასაგები, მორგებადი და გამოყენებადი, ასევე, დიდაქტიურად კარგად სტრუქტურირებული.



რუბრიკები

მრგვალი მაგიდა

შორანა გურდიაძე

17

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს პედაგოგთა უმრავლესობა უკვე იცნობს და ხშირად მსჯელობს მასზე. ჩვენი ჟურნალის მორიგი დისკუსიის თემაც სწორედ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი გახდა. რა პრობლემები არსებობს სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების მიმართ და რა მოლოდინი აქვთ მასწავლებლებს.

21

ხშირად დასმული შეკითხვები

მასწავლებელთა ხშირად დასმულ შეკითხვებს ექსპერტები პასუხობენ.

პრობლემა

ალეკო ციციტიშვილი

41

წიგნის წაკითხვას რა უნდა

კითხვის სურვილს კომპიუტერი ვერც გააძლიერებს და ვერც შეაფერხებს, ეს სურვილი ადამიანურია და ადამიანში ადამიანის დახმარებით ჩნდება. საქართველოშიც სწავლა-სწავლების პროცესის განახლებაზე ზრუნვა საკლასო გარემოში სწორედ ხალისის, ინდივიდუალური არჩევანის, შემეცნების, ესთეტიკური განცდის კომპონენტების შემოტანას გულისხმობს.

ინტერვიუ

თამარ ფსაკაძე

47

განათლება. თანამედროვე მუზეუმის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტატი

მუზეუმის, როგორც საგანმანათლებლო რესურსის გამოყენებაზე და ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამებზე ეროვნული მუზეუმის დირექტორი, დავით ლორთქიფანიძე გვესუბრება.

პრობლემა

მანანა იაშვილი

44

მე-12 კლასის სახელმძღვანელო „რთული წიგნი“ და სოცლის მაღალი სტანდარტი

მე-12 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო მოცემულ კლასში აღნიშნული საგნის ერთადერთი გრიფირებული სახელმძღვანელოა. მისი შემოღებისთანავე, მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და ექსპერტებს შორის განსხვავებული მოსაზრებები გაჩნდა.



კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისათვის

1. როგორ გავხადოთ ისტორიის სწავლება საინტერესო.
2. სიტუაციური ამოცანები მასწავლებლებისათვის – „ლიბო“.
3. პროფესიული უნარ-ჩვევების ტესტი.

25-32

რევიონი

ბალა ჩაკურიშვილი

50

დუშეთის რაიონის შუაფხოს საშუალო სკოლა

ჟურნალი „მასწავლებელი“ დუშეთის რაიონის, სოფელ შუაფხოს სტუმარია.

პრობლემა

ალეკო ციციტიშვილი

52

სწავლა მასწავლებელთა - გაჭდური მადია სკოლაში

ბოლო პერიოდში ამ პროფილის ბეჭდური მედიისადმი ინტერესი კვლავ იზრდება, რაც გამოწვეულია განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმით, უმაღლეს სასწავლებლებსა თუ საჯარო სკოლებში დანერგილი ახალი სასწავლო პროგრამებითა და გეგმებით.

ინტერვიუ

39

ჟურნალ „მასწავლებლის“ სტუმარია ტალინის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტ საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი, მარტ ლამპერე.

ნიგნიერი

სოფო კვიციანიძე

55

პროექტი „წიგნის მეგობრები“ ბრძოლაში

პროექტი წიგნის „მეგობრები“, რომელიც თბილისის რამდენიმე სკოლაში განხორციელდა, დედაქალაქში ისევე გაგრძელდება. თუმცა ამ სტატიის მიზანია, კიდევ ერთხელ გიაგობოთ „წიგნის მეგობრების“ შესახებ, რათა სკოლებმა, რომლებიც საცდელმა პროექტმა ვერ მოიცვა, მათ შორის რეგიონებშიც, თავიანთი ინიციატივით დაიწყონ მისი განხორციელება.

მასწავლებელთა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი აგრძელებს მასწავლებელთა დამხმარე მასალების მომზადებას. ამ მიმართულების ფარგლებში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა, ევროსაბჭოს მხარდაჭერით, გამოსცა 2 წიგნი: „ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და „მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო“.

ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში

(სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ – საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურისათვის)

ავტორები: როლფ გოლობი, ტედ ჰუდლესტონი, პიტერ კრაფი, დონ როუვი, უიმ ტაელმანი



მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო

(რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მასწავლებელმა სამოქალაქო განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების ხელშესაწყობად)

ავტორები: პიტერ ბრეტი, პასკალ მომპონტ-გელარდი, მარია ელენა სალემა.



ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა დოკუმენტებზე დაყრდნობით, ევროსაბჭო ცდილობს, განავითაროს საერთო დემოკრატიული და იურიდიული პრინციპები. ამ მიზნით, შემუშავებულია პროგრამა – სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ. აღნიშნული სახელმძღვანელოც სწორედ ამ მიდგომას ასახავს.

სახელმძღვანელო წარმოადგენს მესამე ნაწილს ექვსი წიგნისაგან შემდგარი სერიიდან, რომელიც ეხება სწავლებას დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ. როგორც წიგნის ავტორები თვლიან, სახელმძღვანელო განკუთვნილია მათთვის, ვინც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ ასწავლის, ამზადებს სახელმძღვანელოებსა თუ სასწავლო პროგრამებს. სახელმძღვანელო, ძირითადად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან გამოყენებაზეა გათვლილი, ის იმდენად მოქნილადაა აწყობილი, რომ შესაძლებელია მისი მორგება სხვა საფეხურის მოსწავლეთა საჭიროებებზეც.

წიგნი ცხრა თავისაგან შედგება; თითოეული თავი დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ერთ კონკრეტულ ცნებას ეხება და, დაახლოებით, ოთხ საგაკვეთილო გეგმას მოიცავს. საგაკვეთილო გეგმები შედგება დეტალური ინსტრუქციებისაგან, მოიცავს მოსწავლის სამუშაო ფურცლებსა და დამხმარე მასალას მასწავლებლისათვის. ასე რომ, ეს სახელმძღვანელო სასარგებლო იქნება როგორც დამწყები, ისე პრაქტიკოსი მასწავლებლებისა და მათი ტრენერებისათვის. წიგნში მოყვანილი მასალისა და იდეების გაცნობა გამოცდილი მასწავლებლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვისაც არანაკლებ საინტერესო მასალას წარმოადგენს.


ევროსაბჭოს პროგრამას – სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ – ეხმიანება აღნიშნული სახელმძღვანელოც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოსწავლეების ჩართულობასა და აქტიურობაზე მიმართული მიდგომების გამოყენებით, მასწავლებლებს შეუძლიათ, განსაკუთრებული წვლილი შეიტანონ დემოკრატიულ სწავლებაში. სწორედ მასწავლებლებზეა დამოკიდებული დემოკრატიულ მოქალაქეობასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული განათლების წარმატება.

მოცემული გამოცემა წარმოადგენს იმ ძირითად კომპეტენციებს, რომლებიც აღწერენ მასწავლებლისათვის აუცილებელ უნარებს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების დასაწერად, კლასში, სკოლასა თუ თემში. ეს კომპეტენციები საერთოა ყველა საგნის მასწავლებლისათვის, როგორც სკოლაში, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სახელმძღვანელო არ არის განკუთვნილი მხოლოდ სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისათვის, მისი გამოყენება ერთნაირი წარმატებით შეუძლია ყველა საგნის მასწავლებელს.

წიგნში წარმოდგენილი 15 კომპეტენცია გაყოფილია 4 ჯგუფად. თითოეული ჯგუფი მოიცავს ინფორმაციას იმ კითხვებისა და საკითხების შესახებ, რომლებსაც მასწავლებლები დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლების დანერგვისას წააწყდებიან.

კომპეტენციათა თითოეული ჯგუფი შეესაბამება ერთ კონკრეტულ თავს, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი კომპეტენციები და მოცემულია მაგალითები. თითოეულ კომპეტენციასთან დაკავშირებით, მკითხველს შეუძლია, გაეცნოს მასწავლებლის განვითარების დიაგრამას.

აქვე, დაინტერესებული მხარეები, განათლების პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირები, სკოლის დირექტორები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები გაეცნობიან რესურსებს, რომლებიც მნიშვნელოვანია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების დასაწერად.




დახმარე მასალა

სახელმძღვანელოებთან ერთად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი მასწავლებლებს სასწავლო ფილმებსა და მათ თანმხლებ გზამკვლევებსაც სთავაზობს.

რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას

(ფილმი და მისი თანმხლები სახელმძღვანელო)

ავტორები: რობერტ ჯ. მარზანო, ჯენიფერ ს. ნორფორდი, მარსია დ' არქანჯელო.



ფილმი და მისი თანმხლები სახელმძღვანელო „რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას“ 35 წლიანი კვლევების შედეგად მიღებულ გამოცდილებას უზიარებს მასწავლებლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს. წარმოდგენილი პროგრამის მიზანია, მოკლედ და გასაგებად აღწეროს კვლევის შედეგად გამოვლენილი ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე.

პროგრამა სამნაწლიანი ფილმისა და ტრენერების სახელმძღვანელოსგან შედგება. ტრენერების სახელმძღვანელო მოიცავს ტრენინგის გრაფიკსა და აქტივობებს ექვსივე სამუშაო სემინარისთვის (ორი სამუშაო სემინარი თითოეულ ფილმზე), ასევე, დამატებით საკითხავ მასალას, საპრეზენტაციო პლაკატებსა და სხვა რესურსებს.

პროგრამაში განხილულია ის სამი ძირითადი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. ესენია:

- სკოლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები;
- მასწავლებლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები;
- მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები.


სკოლის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის განხილულია სასკოლო პოლიტიკა და სკოლის მასშტაბით დადგენილი ნორმები. ამ კატეგორიის ქვეშ ერთიანდება, მაგალითად, სავალდებულო და განხორციელებადი სასწავლო გეგმა და თანამშრომელთა პროფესიონალიზმი და კოლეგიალობა. მასწავლებლების წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის განხილულია ის სფეროები, რომელთაც მასწავლებელი ინდივიდუალურად განსაზღვრავს და აკონტროლებს. ამ კატეგორიაში გაერთიანებულია ისეთი მაგალითები, როგორებიცაა სწავლების მეთოდების შერჩევა და კლასის მართვის სტილი. მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები კი მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა, მაგალითად, ოჯახური გარემო და მოსწავლის მოტივაცია.

წარმოდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს, კვლევების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე დაეხმაროს მასწავლებლებს სწავლების პროცესის წარმატებით წარმართვაში.

კლასის მართვა: კვლევაზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები მასწავლებლისათვის

(ფილმი და მისი თანმხლები სახელმძღვანელო)

ავტორები: რობერტ ჯ. მარზანო, იანა ს. მარზანო და დებრა ჯ. ფიქერინგი



განათლების სფეროში ჩატარებული კვლევების მიხედვით, მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს მასწავლებელი. ის, თუ როგორ მართავს მასწავლებელი კლასს, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ეფექტურობას.

ქცევის მართვა არის საკითხი, რომელსაც ყურადღება როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე სჭირდება, რადგან კლასის მართვის საერთო სასკოლო პოლიტიკა მასწავლებლებს მოსწავლეთა ქცევის ეფექტურ მართვას მნიშვნელოვნად გაუადვილებს.

წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს სამნაწლიან ფილმსა და სახელმძღვანელოს. ფილმში წარმოდგენილ მასალას აზუსტებს და თეორიული მიმოხილვით ავსებს სახელმძღვანელო, სადაც განხილულია მრავალწლიანი კვლევების შედეგად მიღებული დასკვნები. აღწერილია კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები, რომლებიც კლასისა და სკოლის მართვას ეხება. აღნიშნული კვლევების საფუძველზე, პროგრამა მასწავლებლებს სთავაზობს რეკომენდაციებს ეფექტური მართვის მთავარი საკითხებისა და სტრატეგიების შესახებ.

ნიგნსა და ფილმში დეტალურადაა განხილული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: საერთო სასკოლო წესებისა და პროცედურების დანერგვა, წესებისა და პროცედურების დარღვევებზე რეაგირების ერთვანი ფორმების დადგენა მთელი სკოლის მასშტაბით, მართვის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს ძალადობისაკენ მიდრეკილი მოსწავლეების ადრეულ იდენტიფიკაციასა და მათთვის დახმარების აღმოჩენას.

წარმოდგენილი პროგრამა სკოლებსა და მასწავლებლებს საშუალებას აძლევს, უზრუნველყონ მოსწავლეთათვის უსაფრთხო, მოწესრიგებული და კეთილგანწყობილი გარემოს ჩამოყალიბება, რაც გაზრდის სწავლისა და სწავლების ეფექტურობას.

ტრენინგი, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეფექტური საშუალება



კატია კაკაბაძე

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრ მასწავლებელს არ სჯერა, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მეცნიერულმა კვლევამ პედაგოგის როლი ძირეულად შეცვალა. საუბარია სოციალური მეცნიერებების იმ მიღწევებზე, რომლებმაც სასკოლო პრაქტიკის რეფორმას დაუდო საფუძველი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ის რაც თანამედროვე საკლასო ოთახებში ხდება, საკმაოდ განსხვავდება რამდენიმე ათეული წლის წინ არსებული სიტუაციისგან. ამიტომ მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების მოქნილი მექანიზმის ამოქმედება განათლების სისტემის ერთ-ერთი საკვანძო ამოცანაა.




პედაგოგებს გარკვეული ობიექტური მაჩვენებლები სჭირდებათ, რომლებსაც გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნობიან. კონკრეტული კრიტერიუმების ფლობა საგრძნობლად გაუადვილებს ნებისმიერ მასწავლებელს იმ პროგრამის შერჩევას, რომელიც მის საჭიროებებს ყველაზე მეტად შეესაბამება.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებაში ტრენინგი სულ უფრო პოპულარული ხდება. 2009 წლის განმავლობაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით, რამდენიმე სტრატეგიული ნაბიჯი გადაიდგა. გაზაფხულზე აკრედიტაცია მიენიჭა ათეულობით ტრენინგ-პროგრამას, ხოლო შემოდგომაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები აქტიურ ფაზაში შევიდა. დღეისათვის ტრენინგები გაიარა საქართველოს სკოლების 6000-მდე მასწავლებელმა. მიმდინარე ტრენინგები ორი ძირითადი მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული:

- მასწავლებელთა კომპეტენციების განვითარება პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნების მიხედვით;
- მასწავლებლების მომზადება სასერტიფიკაციო გამოცდისათ-

ვის, რომლის დაწყება 2010 წლისათვის იგეგმება.

სტატიაში შევეცდები, რამდენიმე შეკითხვას ვუპასუხო: როგორ შევუნყოთ ხელი მასწავლებლებს, რათა მათ სწავლისა და განვითარების თეორიაში აღმოჩენილი კანონზომიერებები სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებასა და საკლასო პრაქტიკაში დანერგონ? რა როლი აქვს ტრენინგს მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროცესში? რა კრიტერიუმებით შეიძლება ტრენინგის ხარისხის შეფასება? ამჟამად პროგრამის (და მისი განმახორციელებელი პროვაიდერის) შერჩევა თვით მასწავლებლის გადასაწყვეტია. პედაგოგებს გარკვეული ობიექტური მაჩვენებლები სჭირდებათ, რომლებსაც გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნობიან. კონკრეტული კრიტერიუმების ფლობა საგრძნობლად გაუადვილებს ნებისმიერ მასწავლებელს იმ



პროგრამის შერჩევას, რომელიც მის საჭიროებებს ყველაზე მეტად შეესაბამება. სტატია სასარგებლო იქნება იმ პროვაიდერებისთვისაც, რომლებიც არსებული პროგრამების დახვეწას ან ახალი პროგრამების წარდგენას ისახავენ მიზნად.

დავინწყით იმით, რომ პედაგოგები ფორმალური თუ არაფორმალური გზებით იღრმავებენ ცოდნას მოსწავლეების, სასწავლო გეგმის, სწავლების მეთოდებისა და სკოლის ფუნქციონირების შესახებ. ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა პრაქტიკული გამოცდილების პედაგოგიურ ანალიზს, ანუ სასწავლო პროცესის კრიტიკულ შეფასებას უნდა მიენიჭოს. პედაგოგიური ესსე, საკლასო/სასკოლო კვლევა, ღია გაკვეთილების შეფასება, მასწავლებლის პორტფოლიო ამგვარი ანალიზის ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტებია. ამდენად, მასწავლებლის პროფესიული განვითარების სხვადასხვა (ფორმალური და არაფორმალური, ინდივიდუალური და გუნდური) ფორმატი არსებობს და ტრენინგი პედაგოგის კომპეტენციების გაუმჯობესების ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი საშუალებაა.

რამ გამოიწვია ტრენინგის, როგორც საგანმანათლებლო ღონისძიების, პოპულარობა? პირველ რიგში – მეთოდოლოგიამ. ტრენინგი წარმოადგენს ერთგვარ პრაქტიკუმს, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ახალ ცოდნას იღებენ. მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი ისაა, რომ სატრენინგო კურსები გაცილებით ხანმოკლე პერიოდს მოიცავს, ვიდრე აკადემიური პროგრამები.

ტრენინგი კომპეტენციების „ტრანსფერზე“ ორიენტირებული, რაც ახლად ათვისებული ცოდნისა და

უნარების სამუშაო გარემოში სწრაფად გადატანას გულისხმობს.

ეფექტური ტრენინგი ორიენტირებულია:

- 1. მონაწილეების მიერ აქტუალური, კონკრეტული კომპეტენციების (ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები) გამომუშავებაზე და/ან განმტკიცებაზე;
- 2. მონაწილეთა აქტიურ სწავლასა და ურთიერთქმედებაზე (ე. წ. ინტერაქციაზე);
- 3. „ავთენტურ“, ანუ რეალურ სამუშაო სიტუაციებთან მაქსიმალურად მიახლოებულ სწავლაზე;
- 4. მუდმივ რეფლექსიასა და თვითშეფასებაზე.

ტრენინგ-პროგრამის ეფექტურობა მრავალი მახასიათებლის მიხედვით შეიძლება შეფასდეს. პროგრამების აკრედიტაცია სწორედ მათი ხარისხის შეფასებას ისახავს მიზნად. აქ ეფექტური ტრენინგის რამდენიმე საკვანძო მახასიათებელს გამოვყოფთ:

1. პროგრამა რეალურად უნდა პასუხობდეს მასწავლებელთა საჭიროებებს;
2. პროგრამას უნდა უძღვეოდეს მწვრთნელი, რომელიც ფლობს ზრდასრულთა განათლებისა და სასკოლო პედაგოგიურ კომპეტენციებს;
3. პროგრამა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადეკვატური სასწავლო მასალითა და რესურსებით.

ქვემოთ თითოეულ კომპონენტს ცალ-ცალკე მიმოვიხილავთ.

1. რამდენად პასუხობს პროგრამა მასწავლებლის საჭიროებებს?

ტრენინგ-პროგრამა აუცილებლად უნდა პასუხობდეს მონაწილეთა საჭიროებებს. სასურველია, მასწავლებელს იმთავითვე მიეწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რისთვის ტარდება ტრენინგი, რა მოლოდინები აქვთ ტრენინგის დამკვეთებსა და მომხმარებლებს (ანუ განათლების სისტემის შესაბამის უწყებებსა და თავად მონაწილეებს).

როცა ტრენინგი კონკრეტულ საჭიროებებს პასუხობს, გაცილებით მკაფიოდ იკვეთება, თუ რა კომპეტენციებს უნდა მიაღწიონ მონაწილეებმა, რა ეცოდინებათ და რას შეძლებენ მისი დასრულების შემდეგ. მასწავლებლების ტრენინგში მონაწილეობას, ძირითადად, მოსალოდნელი სასერთიფიკაციო გამოცდა განაპირობებს, რაც პედაგოგობის უფლების შენარჩუნების, ანუ კარიერაში დარჩენის ერთგვარი პირველადი გარანტიაა.

2. ვინ არის პროგრამის მწვრთნელი და რამდენად ფლობს იგი ტრენინგის მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო კომპეტენციებს?

ტრენინგის ხარისხს მწვრთნელის გამოცდილება და უნარები განაპირობებს. დღეს მასწავლებელთა მწვრთნელობა ერთგვარ დამოუკიდებელ პროფესიულ მიმართულებად ჩამოყალიბდა, რასაც განათლების სივრცეში მიმდინარე მოვლენებმაც შეუწყო ხელი. მასწავლებელთა ტრენინგმა, როგორც ინოვაციური მეთოდიკისა და პრაქტიკის დანერგვის საშუალებამ, 1990-იანი წლებიდან ახალი მასშტაბი შეიძინა. არაერთი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში მომზადდნენ მწვრთნელები, რომელთა გამოცდილება დღეს უკვე საერთაშორისო

სტანდარტებს აღწევს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამოცდილი მწვრთნელების რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელების კუთხით.

აქ ვისაუბრებთ მწვრთნელის მუშაობის 5 საკვანძო ასპექტზე, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ტრენინგის ეფექტურობას. თუ ტრენინგი ქვემოთ დასმულ შეკითხვებზე დადებითი პასუხების გაცემის შესაძლებლობას იძლევა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მწვრთნელი პროდუქტულ სასწავლო პროცესს უძღვება.

პოზიტიური სასწავლო კლიმატის შექმნა და შენარჩუნება.

რამდენად ქმნის მწვრთნელი ურთიერთალიარებასა და ურთიერთდაფასებაზე ორიენტირებულ გარემოს? გრძნობთ თუ არა, რომ მწვრთნელი პატივისცემით გეპყრობათ და ზრუნავს თქვენი მოტივაციისა და განწყობის ამაღლებაზე?

მიზნების განსაზღვრა და მისაღწევი შედეგების შეხსენება.

რამდენად მკაფიოდ და რეგულარულად გადასცემს მწვრთნელი მონაწილეებს სესიის მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს? ნათლად გაქვთ წარმოდგენილი, რას უნდა მიაღწიოთ ტრენინგში მონაწილეობის შედეგად? რას ისწავლით და აითვისებთ თითოეულ სესიაზე? არის თუ არა სესიების შინაარსი პირდაპირ დაკავშირებული მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან?

სასწავლო პროცესის მონხრეგება. მკაფიოდ არის თუ არა

ჩამოყალიბებული ტრენინგის გეგმა და განრიგი? არის თუ არა მონხრეგებულად მონყობილი აუდიტორია? გრძნობთ თუ არა, რომ მწვრთნელი იცავს ტრენინგის განრიგს და მის მიერ ორგანიზებული აქტივობები დროულად იმართება?

სწავლება და სწავლა.

მიმართავს თუ არა მწვრთნელი მონაწილეთა გამოცდილების გააქტიურებას, ცდილობს თუ არა თქვენს დაინტერესებასა და ნახალისებას თითოეული სესიის დასაწყისში? იყენებს თუ არა თვალსაჩინოებებსა და სხვა სასწავლო მასალას? გეძლევათ თუ არა შეკითხვების დასმის, იდეებისა და მოსაზრებების თავისუფლად გამოთქმის საშუალება? იღებთ მკაფიო ინსტრუქციას ამა თუ იმ სასწავლო ამოცანის შესასრულებლად? გინევთ თუ არა მრავალფეროვან სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის მიღება, ნყოფილებსა და მცირე ჯგუფებში მუშაობა? მოსდევს თუ არა ტრენინგის ძირითად აქტივობებს შეჯამება და სწავლის შედეგის ანალიზი?

უყოკავშირი და შეფასება.

იღებთ თუ არა კომენტარებსა და რჩევებს სასწავლო პროცესის მსვლელობისას? გეხმარებათ თუ არა მწვრთნელთან ურთიერთობა საკუთარი მიღწევების შეფასებაში?


არის თუ არა პროგრამა უზრუნველყოფილი სასწავლო მასალითა და სხვა რესურსებით?

ეფექტური ტრენინგისათვის სასწავლო მასალას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მონაწილე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მრავალფეროვანი თვალსაჩინოებებითა და მასალით, რომელიც მას შემდგომში

დამოუკიდებელი მუშაობისათვის გამოადგება.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ტრენინგი, როგორც პროფესიული განვითარების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა, ფართოდ იკიდებს ფეხს განათლების სფეროში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ წარმოებული მონიტორინგი ცხადყოფს, რომ პედაგოგთა დაინტერესება მოსალოდნელზე მაღალია და მათი უმრავლესობა ტრენინგის ხარისხით კმაყოფილია. ასევე, მაღალია იმ მასწავლებლების დაინტერესება, რომლებმაც 2009 წლისთვის ვერ მოახერხეს მისი გავლა. მონაწილეთა მიერ ტრენინგის ობიექტურად შეფასება რამდენიმე თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. პირველ რიგში, თავად მონაწილე აცნობიერებს საკუთარ მიღწევებსა და სამომავლო საჭიროებებს. ამ დროს ცხადად იკვეთება როგორც პროფესიული სტანდარტის მოთხოვნები, ისე კარიერული ზრდის ორიენტირები. გარდა ამისა, შეფასებას იყენებენ მწვრთნელები და პროვაიდერები პროგრამების გაუმჯობესებისა და განახლებისათვის. მონაწილეების გამოხმაურება და მისი ანალიზი მნიშვნელოვნად გვეხმარება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის გაძლიერებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. ამიტომ ტრენინგის მონაწილე მასწავლებლებს ვთხოვთ, გულისყურით შეავსონ შეფასების კითხვარები და არ მოერიდონ კრიტიკული შენიშვნების გამოთქმას, რაც ტრენინგების ხარისხის გაუმჯობესების წინაპირობაა.





ზეფასება

და მისი კომპონენტები

ახალმა ეროვნულმა სასწავლო გეგმამ სწავლებაში გარკვეული ცვლილებები გამოიწვია. მათ შორის უპირველესი ის არის, რომ „საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი (ერ. სასწ. გეგმა, გვ. 6)“.

მნიშვნელოვანია არა იმდენად ის, თუ რის სწავლებას ცდილობს მასწავლებელი, არამედ ის, თუ რა ისწავლა მოსწავლემ.



მანანა ბოჭორიშვილი

თითოეულ მოსწავლესა და შედეგზე ორიენტაცია თვისობრივად ცვლის შეფასების სისტემასაც. შეფასების საშუალებით განისაზღვრება იმ სასწავლო შედეგების მიღწევის ხარისხი, რომლებიც საგნობრივი პროგრამის სტანდარტით არის გათვალისწინებული.

ეროვნული სასწავლო გეგმის თვისობრივი სიახლე, რომელიც საგნობრივი პროგრამების სტანდარტებს საფუძვლად დაედო, არის ის, რომ „სწავლა ნიშნავს ინფორმაციის დაგროვებას, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულების განვითარებას (ერ. სასწ. გეგმა, გვ. 6)“.

გთავაზობთ ძველი და ახალი საგნობრივი პროგრამის შედარებას სქემის სახით:

ძველი პროგრამით მუშაობისას მხოლოდ გადაცემული ცოდნა ფასდებოდა და მისი ოდენობა იზომებოდა, ანუ **მხოლოდ ერთი ნიშანი იწერებოდა**. ახალი საგნობრივი პროგრამები კი სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზეა ორიენტირებული.

აქედან გამომდინარე, დღეს არა მხოლოდ ცოდნა ფასდება, არამედ უნარ-ჩვევები და განწყობა-დამოკიდებულებებიც. ამგვარად, **ერთ-კომპონენტური (ნიშნით) შეფასება არასაკმარისი აღმოჩნდა და იგი მრავალკომპონენტური შეფასებით შეიცვალა**.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამის მისაღწევი შედეგები მოიცავს: ცოდნას; უნარ-ჩვევებს; დამოკიდებულებას.



ეროვნული სასწავლო გეგმის თვისობრივი სიახლე, რომელიც საგნობრივი პროგრამების სტანდარტებს საფუძვლად დაედო, არის ის, რომ „სწავლა ნიშნავს ინფორმაციის დაგროვებას, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულების განვითარებას (ერ. სასწ. გეგმა, გვ. 6)“



საბანი	ძველი პროგრამა	ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამა
მათემატიკა	რიცხვის პროცენტები	მოსწავლე ანგარიშისას იყენებს პროცენტის კავშირს რიცხვის ნაწილებთან, პოულობს მოცემული რიცხვის პროცენტს, ხსნის შებრუნებულ ამოცანას.
	ცოდნა	ცოდნა+უნარ-ჩვევა+დამოკიდებულება

გაკვეთილების სასწავლო მიზნები მასწავლებელმა სწორედ ამის გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს.

გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს:

არის მოცემული, იმდენი შეფასების კრიტერიუმი საჭირო.

ასეთი მიდგომა საშუალებას აძლევს პედაგოგს (შემფასებელს), თითოე-

II ეტაპი: გაკვეთილის სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება:

საგანი	სასწავლო მიზანი კველი პროგრამის მიხედვით	სასწავლო მიზანი ახალი პროგრამის მიხედვით
ბიოლოგია	ეკოსისტემაში არსებული ურთიერთობის ფორმები	მოსწავლეს მოჰყავს მაგალითები და აღწერს ეკოსისტემაში არსებულ ურთიერთობის ფორმებს.
მათემატიკა	პროცენტის კავშირი რიცხვის ნაწილებთან	მოსწავლე ანგარიშისას იყენებს პროცენტის კავშირს რიცხვის ნაწილებთან, პოულობს მოცემული რიცხვის პროცენტს, ხსნის შებრუნებულ ამოცანას.

რა კავშირი არსებობს სასწავლო მიზანსა და შეფასებას შორის?
გაკვეთილის ბოლოს გაკვეთილის სასწავლო მიზანი მოსწავლის ცოდნასა და უნარ-ჩვევებში აისახება, რომლებიც შეფასების საშუალებით იზომება.

როგორ უნდა გაიზომოს შედეგი?
სწორედ ამისათვის არის საჭირო შეფასების კრიტერიუმები.

რის მიხედვით ყალიბდება შეფასების კრიტერიუმები?
გაკვეთილის სასწავლო მიზნის შესაბამისად.

ული ოპერაცია/მოქმედება შეუფასოს მოსწავლეს და დაუკონკრეტოს, რა როგორ გააკეთა. ეს პროცესი კრიტერიუმების დონეებად დაშლის გზით ხორციელდება.

I ეტაპი: გაკვეთილის სასწავლო მიზნის ჩამოყალიბება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით

საგანი: მათემატიკა
კლასი: VII
ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამის შედეგი: 2

გაკვეთილის სასწავლო მიზანი: ანგარიშისას მოსწავლე იყენებს პროცენტის კავშირს რიცხვის

1. მოსწავლე ანგარიშისას იყენებს პროცენტის კავშირს რიცხვის ნაწილებთან;
2. პოულობს მოცემული რიცხვის პროცენტს;
3. ხსნის შებრუნებულ ამოცანას.

III ეტაპი: გაკვეთილის სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით, შეფასების რუბრიკის შექმნა.

რუბრიკის დანიშნულებაა, განუსაზღვროს მოსწავლეს ესა თუ ის ქულა და დონეების გამოყენებით, განუმარტოს მას, როგორ დააგროვებ იგი. ასე შედეგნილი შეფასების რუბრიკა საუკეთესო საშუალებაა არა მხოლოდ მოსწავლეებისთვის, არამედ მასწავლებლისთვისაც. შეფასების შედეგები საშუალებას აძლევს პედაგოგს, გააანალიზოს, რამდენად მიაღწია გაკვეთილის სასწავლო მიზანს. იმისათვის, რომ განმსაზღვრელი შეფასება ღია და გამჭვირვალე იყოს, სასურველია, მასწავლებელმა შეფასების რუბრიკები გამოიყენოს.


გთავაზობთ შეფასების რუბრიკას:

გაკვეთილის სასწავლო მიზანი	შეფასების კრიტერიუმები
მოსწავლე ანგარიშისას იყენებს პროცენტის კავშირს რიცხვის ნაწილებთან, პოულობს მოცემული რიცხვის პროცენტს, ხსნის შებრუნებულ ამოცანას.	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე ანგარიშისას იყენებს პროცენტის კავშირს რიცხვის ნაწილებთან. 2. მოსწავლე პოულობს მოცემული რიცხვის პროცენტს. 3. მოსწავლე ხსნის შებრუნებულ ამოცანას.

როგორც ხედავთ, შედეგების გასაზომად, სასწავლო მიზანში რამდენი „ზმნა“, მოქმედება, ოპერაციაც

ნაწილებთან, პოულობს მოცემული რიცხვის პროცენტს, ხსნის შებრუნებულ ამოცანას.





მოგავლის განათლება: კითხვების დასმა



შესავალი



ბავშვობის ადრეულ ასაკში კონტაქტისა და კომუნიკაციის დამყარების მცდელობები, უმეტესწილად, შეხებით იწყება, რის მეშვეობითაც ბავშვი საკუთარ „მე“-ს გარემოსგან განასხვავებს და, ამავდროულად, კონტაქტს ამყარებს მასთან. როდესაც ბავშვს საშუალებას ვაძლევთ, უსუნოს ყვავილს, შეხედოს ხეს და დააკვირდეს მის დეტალებს, ხელი გადაუსვას კატას, ჩვენ მას შემოქმედებითობის განვითარებისკენ ვუბიძგებთ. როცა ბავშვს პრობლემებისადმი მგრძობელობა და ხელოვნებისადმი მოქნილი დამოკიდებულება განუვითარდება, ის თავდაჯერებულობასაც შეიძენს და მის გამოყენებას, მოგვიანებით, სხვა სფეროებშიც შეძლებს. იყო შემოქმედებითი, ნიშნავს, ნაცნობ გარემოს სხვადასხვა კუთხიდან შეხედო, აღმოაჩინო ახალი ურთიერთკავშირები იმ საგნებს შორის, რომლებიც ერთმანეთისგან იზოლირებულია. შემოქმედებითობა გარემოს მიმართ გახსნილობას, საკუთარი გრძობების გააზრებასა და გამოცდილების თავისთავადობას მოითხოვს.

იმისათვის რომ ნიჭიერი ბავშვების შემოქმედებითი და წარმოსახვითი

უნარი კიდევ უფრო განვითაროთ, სავარჯიშოები უნდა შეიცავდეს კითხვების დასმის, შედარებების, პარადოქსებისა და ანალოგიების ელემენტებს.

შეკითხვების როლი განათლებაში



ბევრი მასწავლებლის გამოცდილება გვაჩვენებს, რომ კითხვების მეშვეობით სწავლება გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ფაქტებით. ეს მეთოდი ბავშვების ცნობისმოყვარეობას ზრდის და, შესაბამისად, მათ შეკითხვების დასმისკენ

ერიკა ლანდაუ*

* ერიკა ლანდაუ, დოქტორი, შემოქმედებითობის და ნიჭიერების საკითხებზე მომუშავე სპეციალისტა შორის ერთ-ერთი მოწინავეა. იგი თელავის უნივერსიტეტის ტექნიკური კოლეჯის შემოქმედებითობის და გამორჩეულობის ხელშეწყობის ინსტიტუტის დამფუძნებელი და დირექტორია.

უბიძგებს. მასწავლებლებს ვურჩევთ, გაკვეთილი შემდეგნაირი შეკითხვებით დაიწყონ: „რა ვიცით ამ თემის შესახებ? რას ფიქრობთ ამ თემაზე?“ ასეთი მიდგომა გამოიწვევს მოსწავლეს, წინარე ცოდნას გაუაქტიურებს, ან გააცნობს ახალ იდეებს და ნაახალისებს, დასვას შეკითხვები თემის გარშემო. ასეთ მიდგომას თან უნდა ახლდეს სავარჯიშოები და ვიზუალური დამხმარე მასალა, რომელიც, მასწავლებლის აზრით, მაქსიმალურად შესაბამისი იქნება ბავშვების პოტენციალთან და შესაძლებლობებთან. გაკვეთილი არასოდეს არ უნდა დამთავრდეს წერტილით. გაკვეთილის ბოლოს ყოველთვის უნდა დაისვას შემდეგი შეკითხვა: „გინდათ, ეს თემა უკეთ შეისწავლოთ, როცა უნივერსიტეტის სტუდენტები იქნებით?“ როცა ბავშვი უფრო საფუძვლიანი განხილვების საჭიროებას ხედავს, ის საკითხის უფრო რთული, აბსტრაქტული და სიმბოლური ასპექტების გარჩევასაც შეძლებს. ამავე დროს, სასურველი ინფორმაციის მოპოვებისთვის საჭირო წყაროების შესახებაც დასვამს შეკითხვებს.

შეკითხვების დონეები

შეკითხვების პირველი დონე ალწერითი კითხვების კატეგორიას უნდა მიეკუთვნებოდეს. ასეთი შეკითხვები შეიძლება იყოს: „ვინ რას აკეთებს, როგორ, როდის და სად“. ისინი უკავშირდება ანმოს, მიმდინარე მოვლენებს, გარემოს და, ზოგადად, ფაქტობრივ ცოდნას. ასეთი შეკითხვები ბავშვისგან არსებული სიტუაციის აღწერას მოითხოვს. მათზე პასუხის გაცემისას ბავშვი საგნების შემჩნევას და აღწერას სწავლობს, იძენს თავდაჯერებულობას სიტუაციის ან პრობლემის აღქმის საკითხში. შეკითხვების მეორე დონეზე გადასვლა შეგიძლია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბავშვს სიტუაციის ან პრობლემის დეტალურად აღწერის უნარი გამო-

უმუშავდება. მეორე დონის შეკითხვებს თავისუფალი ან „რატომ?“ ტიპის შეკითხვები ეწოდება და ის „ვინ? როგორ? სად? როდის?“ ტიპის შეკითხვებს სხვა ტიპის ინფორმაციასთან აკავშირებს. მეორე დონის შეკითხვების საპასუხოდ, ბავშვმა ინფორმაცია მშობლისგან(ებისგან), მასწავლებლებისგან ან სკოლისგან უნდა მიიღოს. ამ ორი დონის შეკითხვების დასმა აუცილებელია მაშინ, როცა ბავშვს ვასწავლით მოვლენების თუ საგნების ობიექტურად აღქმას, აღწერას და ერთმანეთთან დაკავშირებას.

მხოლოდ ამ ორი ტიპის შეკითხვების შემდეგ ვსვამთ *სუბიექტურ* შეკითხვებს: „რა ვიცი ამ თემის შესახებ? რას ვგრძნობ? როდის ვნახე ან გამოვცადე რაიმე მსგავსი?“ ასეთი შეკითხვები, ხშირად, ემოციურ ჩართულობას მოითხოვს, რომლისთვისაც ბავშვებს წინა ორი დონის „ობიექტურ“ შეკითხვებზე მუშაობისას ვამზადებთ. ამ ეტაპზე ბავშვები სხვადასხვა კუთხიდან განიხილავენ პრობლემას, აკეთებენ ასოციაციებს და ეძებენ ანალოგიებს, რაც მათ მოქნილობას და ჩართულობას ზრდის, რადგან პროცესში საკუთარ ცოდნასა და გრძნობებს დებენ. უცნობი პრობლემა ამ ეტაპზე ნაცნობი ხდება. შეკითხვების წრე იხსნება და იქმნება „სპირალი“, რომლის ფარგლებშიც ბავშვები ბედავენ ნაცნობი და უსაფრთხო საზღვრების მიღმა გასვლას.

იმ დროისთვის, როცა ბავშვი პრობლემას საკუთარი ინტელექტითა და ემოციებით აფასებს და, ამასთანავე, სწორ პასუხს „სპირალის“ ხვეულში ეძებს, შეგიძლია გადავიდეთ წარმოსახვით შეკითხვებზე, როგორცაა „რა მოხდება, თუ ა-ს და ბ-ს დავაკავშირებთ ერთმანეთთან?“ ამ შეკითხვაზე რამდენიმე ალტერნატიული პასუხის გაცემამ, შესაძლოა, პრობლემის ამოხსნამდე მიგვიყვანოს – ეს კი სპირალის კიდევ ერთი საფეხურია. ამ ეტაპზე კიდევ უფრო მეტი სიმამაცეა საჭირო – წარმოსახვის გამოყენება.

ნოს – ეს კი სპირალის კიდევ ერთი საფეხურია. ამ ეტაპზე კიდევ უფრო მეტი სიმამაცეა საჭირო – წარმოსახვის გამოყენება.

მსჯელობითი შეკითხვები, როგორცაა: „რა უფრო მნიშვნელოვანია? რა სჯობს?“ ალტერნატივებიდან გამომდინარეობს და სპირალის კიდევ ერთი საფეხურით მაღალ დონეს წარმოადგენს. მხოლოდ ამ ეტაპის შემდეგ შეიძლება ვუბიძგოთ მოსწავლეებს მსჯელობისაკენ. უფრო ადრეულ ეტაპებზე მსჯელობის პროცესი შეზღუდული იქნება ასოციაციების სუსტი ჯაჭვის გამო. პრობლემის გამომწვევი ცალკეული მიზეზებისა და ალტერნატიული გადაწყვეტილებების ერთმანეთთან დაკავშირების ახალი მეთოდების ძებნა უკვე აზროვნების პროცესის ახალ დონეს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ეტაპზე პრობლემა უკვე გადაჭრილია, სასურველია, თუ ბავშვს მოვამზადებთ ანმოსა და მომავლის დაკავშირებისთვის. ამ მიზნით, ბავშვს შემდეგ შეკითხვებს ვუსვამთ: „კიდევ რა გაინტერესებს ამ პრობლემის შესახებ? რა შეგიძლია გააკეთო ამ პრობლემასთან დაკავშირებით?“ ასეთი შეკითხვები ერთგვარი გამონევაა, მის ცნობისმოყვარეობას აღვიძებს და, შესაძლებლობებისა და საზღვრების დასადგენად, ფანტაზიის უნარს უაქტიურებს. ამგვარი შეკითხვები არსებითად მნიშვნელოვანია, რადგან ბავშვის გულში იმედს ბადებს მის მიღწევებთან და მომავალში საკაცობრიო მნიშვნელობის საკითხებში ჩართულობასთან დაკავშირებით.

ამ პრინციპების დაცვა ბავშვს, მისი პირადი შესაძლებლობების გამოყენებით, წარმატების მიღწევისკენ უბიძგებს. გარდა ამისა, ბავშვი აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ მას



ყველაფერი არ ესმის, თუმცა შე-
უძლია, დასვას შეკითხვები ყველა
იმ საკითხის შესახებ, რაც მას
აკვირვებს. და ბოლოს, აღნიშნული
მიდგომა მომავალზე ფიქრისა და
მასზე მსჯელობის საფუძველი ხდება.

შეკითხვები მომავალზე



შეკითხვების მეშვეობით, ბავშვებს
მოქმედებისკენ ვუბიძგებთ, ერთი
მხრივ, ინტელექტუალურ დონეზე,
რაც შემდეგ მოტივაციად იქცევა
და, მეორე მხრივ, პრაქტიკულ
დონეზე. შეკითხვების დასმა მათ
დამატებითი შეკითხვების მოფიქ-
რებასა და პრობლემის არსისა და
მისი შედეგების უკეთ გაცნობაში
ეხმარება. საბოლოო ჯამში, ბავშვე-
ბი პასუხისმგებლობას გრძნობენ
თავიანთი თავისა და საზოგადო-
ების მიმართ.

მიღებაში დაეხმარებათ. კითხვების
დასმით, ბავშვები ისწავლიან,
როგორ დააკმაყოფილონ თავიანთი
ცნობისმოყვარეობა, მიუხედავად
თითოეული კითხვის თანამდევ
უცნობი და მიუღებელი გარემო-
ებისგან გამონეული შიშისა. განათ-
ლების ასეთი ფორმა არა მხოლოდ
ინტელექტუალურ შესაძლებლობებს
ზრდის, არამედ ბავშვის ემოციურ
განვითარებასაც უწყობს ხელს. და
ბოლოს, კითხვების დასმა ბავშვებს
თავიანთი უნარ-ჩვევებისა და
შესაძლებლობების შემონახვისთვის
საჭირო სიმამაცესა და პოტენციურ
პრობლემებთან თავის გართმევის
ხერხებს შესძენს.

შეკითხვების დასმის ნახალისებით,
სასიამოვნო სასწავლო პროცესის
წარმართვასთან ერთად, ბავშვებში
ბუნებრივი ცნობისმოყვარეობის
შენარჩუნებას შევძლებთ,

ხერხების შექმნაში, რაც მომავალში
გამოადგებათ.

შეკითხვების დასმის სწავლებით,
ბავშვებს ცოდნისა და გამოცდი-
ლების შექმნის ხერხებს ვასწავლით,
რაც შემდეგი უძველესი ჩინური
ლეგენდის ანალოგიური მოვლენაა:
ერთხელ, მშიერმა მათხოვარმა
მეთევზეს თევზი სთხოვა, რათა
ძლიერი შიმშილი დაეკმაყოფილე-
ბინა. მეთევზემ უარი უთხრა და,
სანაცვლოდ, თევზაობის სწავლება
შესთავაზა. მეთევზემ განმარტა,
რომ ის თუ დღეს მათხოვარს
თევზს მისცემდა, ეს უკანასკნელი
მეორე დღეს ისევ მშიერი
იქნებოდა, ხოლო თუ თევზაობას
ასწავლიდა, მათხოვარი მშიერი
ალარასოდეს დარჩებოდა.

ინგლისურიდან თარგმნა
თაქო ნაფაროძემ

სტატია წიგნიდან
შემოქმედებითობა
(სახელმძღვანელო
მასწავლებლებისათვის)



მომავალი	კიდევ რისი გაკეთება შემიძლია?
განსჯა	რა უფრო მნიშვნელოვანი, უკეთესია?
წარმოსახვა	რა მოხდება თუ ...?
სუბიექტური	რას ვგრძნობ მე-თან დაკავშირებით?
თავისუფალი	რატომ?
აღწერითი	ვინ, რა, სად, როდის, როგორ?

შეკითხვების სპირალური გამოსახულება

დღევანდელ ფაქტებსა და
მომავლის გამონევეებს შორის
კავშირების გავლება შემოქმედებითი
შეკითხვების მეშვეობით შეგვიძლია.
ნაცვლად იმისა, რომ ბავშვებს
ვასწავლოთ, რა იფიქრონ, უმჯობე-
სია, მათ ისეთი კითხვების დასმა
ვასწავლოთ, რომელიც პასუხების

გავაღვიძებთ მათი ფანტაზიისა და
წარმოსახვის უნარს. როცა ბავშვებს
სწავლის პროცესი სიამოვნებთ,
უფრო აქტიურები არიან და მეტი
შეკითხვის დასმასაც ბედავენ. ეს
კი, სწავლისა და წარმატებისადმი
მუდმივად დადებითი დამოკიდებუ-
ლების შენარჩუნებას განაპირობებს.
ამდენად, ჩვენ შეგვიძლია, დავეხმა-
როთ მათ იმ ინტელექტუალური

საკლასო ოთახი - გარემო და სწავლის მოტივაცია



თია ჭყობიძე

სასწავლო გარემო მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის, საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და სკოლის მიზნების შესრულებისათვის. ის ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასკოლო პროცესში. საინტერესოდ მოწყობილი საკლასო ოთახი სკოლის სასწავლო კლიმატს აუმჯობესებს და პრობლემური ქცევებისა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებს ადაპტაცია-სოციალიზაციაში ეხმარება. კვლევებმა აჩვენა, რომ კარგად ორგანიზებული საკლასო გარემო მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობას აუმჯობესებს, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებას ზრდის, სხვადასხვა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების განვითარებასა და პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას განაპირობებს.

საკლასო ოთახის სასწავლო დანიშნულების ზონები

საკლასო ოთახის სასწავლო დანიშნულების ზონებად დაყოფა სხვადასხვა მიზანს ემსახურება. სივრცის განაწილებისას მასწავლებელმა შემდეგი ფაქტორები უნდა გაითვალისწინოს: მოსწავლეთა ასაკი და სწავლების საფეხური, საგნის, სკოლის ან მასწავლებლის სწავლების სტილი, გაკვეთილის გეგმით განსაზღვრული მიზნები და მისაღწევი შედეგები, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ა.შ.

საკლასო ოთახში სასწავლო დანიშნულების შემდეგი ზონები შეიძლება გამოიყოს: შემოსასვლელი, სამუშაო, საგამოფენო, ბიბლიოთეკის, სათავსო და ტექნოლოგიური.

შემოსასვლელი ზონა

შემოსასვლელი ზონის დანიშნულებაა, მოსწავლეები შეამზადოს და მათ შესაბამისი განწყობა შეუქმნას

ერთი გარემოდან მეორეში გადასასვლელად. ასეთი ზონის კარგი მაგალითია ფიზკულტურის დარბაზი, სადაც მოსწავლე, სპორტული აქტივობების დაწყებამდე, გამოსაცვლელ ოთახში ემზადება. ის მხოლოდ ამის შემდეგ შედის დარბაზში. საკლასო ოთახში ასეთი ზონა შეიძლება იყოს საკიდების ადგილი, ზოგადად, სკოლაში კი – საინტერესოდ მოწყობილი დერეფნები.

სამუშაო ზონა

სამუშაო ზონაში მოსწავლეთათვის მერხები ან მაგიდებია განთავსებული. აქ მათ შეუძლიათ ნაიკითხონ, დაწერონ, დახატონ, დავალებები შეასრულონ. დაწყებით საფეხურზე, გარდა ჩამოთვლილი აქტივობებისა, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა შეძლონ კონსტრუქტორების აწყობა, სხვადასხვა მასალისგან ნივთების დამზადება და ა.შ. სამუშაო ზონა მყუდრო და კომფორტული უნდა იყოს და ბავშვებს დავალების შესრულების მოტივაციას უმაღლებდეს.



კარგად ორგანიზებული საკლასო გარემო მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობას აუმჯობესებს, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებას ზრდის, სხვადასხვა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების განვითარებასა და პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას განაპირობებს





საგამოფენო ზონა

საგამოფენო ზონაში მოსწავლეთა ნამუშევრებია გამოფენილი. ის საშუალებას აძლევს ბავშვებს, ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარონ, სასწავლო მასალის პრეზენტაცია და ვიზუალური რეფლექსია მოახდინონ. ექსპოზიციის მონყობამდე გასათვალისწინებელია თითოეული მასალის დანიშნულების, აგრეთვე გამოფენის დროისა და ხანგრძლივობის განსაზღვრა. ცნობილია, რომ დიდხანს გამოფენილი მასალა აქტუალობას კარგავს და მოსწავლეთათვის უინტერესო ხდება. ამიტომ სასურველია მისი პერიოდული განახლება, სასწავლო პროცესის შინაარსისა და მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე.

ბიბლიოთეკის ზონა

ბიბლიოთეკის ზონა განკუთვნილია როგორც სახელმძღვანელოების, ასევე სხვა სახის ლიტერატურული, ვიზუალური, აუდიო და ვიდეო რესურსების შესანახად. მისი მონყობისას მასწავლებელმა აღნიშნული მასალა კარადებში თუ თაროებზე ისე უნდა განათავსოს, რომ ადვილად მოსაძიებელი და ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი იყოს. ბიბლიოთეკა შესაძლოა შეივსოს მოსწავლეთა საყვარელი წიგნებითაც, რომლებსაც ისინი კითხვის გაკვეთილებზე ან სააღმზრდელო საათზე გაეცნობიან.

ბიბლიოთეკის ზონის დახმარებით მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებში წიგნებისა და სხვადასხვა სასწავლო რესურსის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

ტექნოლოგიური ზონა

ტექნოლოგიური ზონა სასწავლო პროცესის ტექნიკურ გამართულობას ემსახურება და შთამბეჭდავი, მრავალფეროვანი გაკვეთილების ჩატარებას უზრუნველყოფს, რაც, თავის მხრივ, მოსწავლეთა სასწავლო

პროცესით დაინტერესებას განაპირობებს. ეს ზონა ასევე ხელს უწყობს მოსწავლეებში ტექნიკის სწორად და მიზანმიმართულად გამოყენებისა და გაფრთხილების უნარ-ჩვევის განვითარებას.

ტექნოლოგიურ ზონაში თავსდება კომპიუტერი, გამომთვლელი მანქანა, ვიდეო და აუდიო ტექნიკა, პროექტორი და ა.შ.

სათავსო ზონა

სათავსო ზონაში ინახება ყველა ის მასალა (ფერადი ცარცები, მარკერები, ქაღალდები, მოსწავლეთა პირადი ნივთები და ა.შ.), რომელიც სასწავლო პროცესში გამოიყენება. ამ ზონაში განთავსებული რესურსი ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა მოსწავლისთვის. იგი ხელს უნდა უწყობდეს პირადი და საზოგადო/სასწავლო ნივთების მოვლისა და

გაფრთხილების უნარ-ჩვევების განვითარებას.

მას შემდეგ, რაც საკლასო სივრცის განაწილებას დაასრულებს, სასურველია, მასწავლებელმა ოთახი კიდევ ერთხელ დაათვალიეროს და დარწმუნდეს, რომ ყველა ზონას იოლად ხედავს, თითოეულ მოსწავლესთან კომუნიკაციის ადვილად დამყარება შეუძლია, ასევე, მათი თავისუფლად გადაადგილებისთვის საკმარისი სივრცეა დარჩენილი.

კლასის დეკორაცია

კლასის მონყობისას, სასურველია, მასწავლებელმა ამ პროცესში მოსწავლეებიც ჩართოს, ნაახალისოს ისინი და მათ პირადი პასუხისმგებლობა აგრძნობინოს. ქვემოთ რამდენიმე პუნქტია მოცემული, რომელთა გათვალისწინებაც საჭირო ეფექტს იძლევა:



კლასის საინტერესო და მიმზიდველ იერსახეს განაპირობებს კედლების შეფერილობა და ისეთი დეკორაციები, როგორიცაა, მაგალითად, საინფორმაციო და საგამოფენო დაფა, პოსტერები და პლაკატები.

საკლასო ოთახის კედლების შეფერილობა ნათელ და თბილ ტონებში უნდა იყოს გადაწყვეტილი, ვინაიდან მკაცრი და მკვეთრი ფერები (მაგალითად, წითელი) ხელს უშლის თვალის მიერ ინფორმაციის აღქმას, ასევე, ჰიპერაქტიურ მოსწავლეებში აგზნებასა და აგრესიას იწვევს.

საგამოფენო დაფაზე შეგვიძლია ისეთი წარწერები გვაკეთოთ, როგორიცაა: „მოსწავლეთა ნამუშევრების მუზეუმი“, „მოსწავლეთა შემოქმედება“ და ა.შ.

საინფორმაციო დაფაზე პერიოდულად თავსდება მოსწავლეთათვის საჭირო და საინტერესო ინფორმაციები, განცხადებები კონკურსებისა და პროექტების შესახებ და ა.შ. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის ასეთი სახის ინფორმაცია, სასურველია, ნახატებს ან სურათებს შეიცავდეს.

საინფორმაციო და საგამოფენო დაფები მშობლებს საშუალებას აძლევს, გაეცნონ საკუთარი შვილების ნამუშევრებს, მასწავლებლის კომენტარებსა და შეფასებას. ინფორმაციის ღიაობა და გამჭვირვალობა კი, თავის მხრივ, მშობლებსა და მასწავლებელს შორის პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

კედლებზე პოსტერებისა და პლაკატების განთავსებისას გასათვალისწინებელია მოსწავლეთა სოციო-კულტურული თავისებურებები, ასევე, ამ რესურსების შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან.

მწვანე კუთხე

მწვანე კუთხე ცოცხალი ყვავილებით შექმნილი ადგილია, რომელიც კლასში თბილ და კომფორტულ გარემოს ქმნის. სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს თითოეული მცენარე დაუხასიათოს, მათი ზრდა-განვითარებისთვის აუცილებელი პირობები გააცნოს და ისინი მოვლის პროცესში ჩართოს.

მწვანე კუთხე მოსწავლეებში გარემოს მიმართ პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

თავისუფალი სივრცე

საკლასო ოთახის გარემოს ორგანიზებისას ძალიან მნიშვნელოვანია გადაადგილებისათვის თავისუფალი სივრცის შექმნა. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ კლასში მოძრაობა, ისინი სივნიროვებსა და დისკომფორტს არ უნდა გრძნობდნენ. თავისუფალი სივრცე ბავშვებს განტვირთვისა და დასვენების საშუალებას აძლევს.

საკლასო ოთახის ავეჯი

საკლასო ოთახის ავეჯი მსუბუქი უნდა იყოს, რათა მოსწავლეებს დამოუკიდებლად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შეეძლოთ მისი გადაადგილება. როდესაც ბავშვებს მათთვის წონითა და ზომით შეუსაბამო ავეჯის გადატანა უხდებათ, მათში ეს უსიამოვნო განცდას, ზოგჯერ კი პროტესტს იწვევს, რაც, თავისთავად, უარყოფით გავლენას ახდენს საგაკვეთილო პროცესში მათ ჩართულობასა და აქტიურობაზე.

მერხების განლაგება

მერხების განლაგებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს როგორც სწავლების სტილის, ასევე გაკვეთილის გეგმაში დასახული მიზნების შესაბამისობა კლასის ორგანიზებასთან. ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

ნახევარწრე ან წრე

მერხების წრიულად ან ნახევარწრიულად განლაგება რეკომენდე-

ბულია დისკუსიების წარმართვისას. იგი ხელს უწყობს საკლასო სოციუმის ჩამოყალიბებას, მოსწავლეებს საკითხების განხილვაში აქტიური მონაწილეობისკენ უბიძგებს. ამ დროს ისინი ერთმანეთის მოსაზრებებს უფრო ყურადღებით ისმენენ.

ჯგუფური განლაგება


მერხების ჯგუფური განლაგება მოსწავლეთა მცირე ჯგუფების მიერ სამუშაოს ერთობლივად შესრულებისას გამოიყენება. იგი ხელს უწყობს მოზარდებში სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას, მათ შესაძლებლობას აძლევს, ერთმანეთს გაუზიარონ ცოდნა და გამოცდილება, ასევე სრულყონ ის უნარები, რომლებიც სუსტად აქვთ განვითარებული. მოსწავლეები სწავლობენ გადაწყვეტილებების გუნდურად მიღებას, სხვისი აზრის პატივისცემას, კონფლიქტების დაძლევის და ა.შ.

ტრადიციული რიგები

ტრადიციული განლაგებისას მერხები რიგებადაა ჩამწყობებული. ასეთი მოწყობა ეფექტურია ინდივიდუალურად შესასრულებელი სამუშაოს დროს, ასევე, იმ შემთხვევაში, როცა მასწავლებელს პროექტორის გამოყენება სჭირდება.

უსაფრთხო, სუფთა და კომფორტული საკლასო გარემო მოსწავლეებს სწავლის მოტივაციას უმაღლებს და მათ საკლასო სოციუმის მშენებლობაში ეხმარება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი მასწავლებლისთვის ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა იოლი განსახორციელებელი არ გახლავთ, განსაკუთრებით მაშინ, თუ სკოლაში გადაჭედილი საკლასო ოთახები და არასაკმარისი სივრცეა. ნებისმიერ შემთხვევაში, მოსწავლის საჭიროებებისა და ინტერესების გასათვალისწინებლად მასწავლებელს მეტი დაფიქრება, ყურადღება და შემოქმედებითი მიდგომა მართებს.





მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს პედაგოგთა უმრავლესობა უკვე იცნობს და ხშირად მსჯელობს მასზე. ჩვენი ჟურნალის მორიგი დისკუსიის თემაც სწორედ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი გახდა. საინტერესოა, რა პრობლემები არსებობს სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების მიმართ და რა მოლოდინი აქვთ მასწავლებლებს.

შორენა ბურღილაძე

საუბრის დასაწყისში მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მნიშვნელობასა და მისი არსებობის აუცილებლობაზე ვისაუბროთ. საინტერესო იქნება მცირე ექსკურსი: რა გზა გაიარა სტანდარტმა, სანამ დღევანდელ სახეს მიიღებდა და რამდენად იყვნენ მასწავლებლები ამ პროცესში ჩართულნი?

ბუნებრივია, სტანდარტს დეტალურად ვერ განვიხილავთ და საგნობრივ ნიუანსებს ვერ ჩავუღრმავებთ. საინტერესოა მასწავლებელთა მოსაზრებები ამ დოკუმენტის ძირითად ნაწილთან დაკავშირებით: რა პრობლემები იკვეთება და რა არის საჭირო იმისთვის, რომ მათ სტანდარტის მოთხოვნები დააკმაყოფილონ?

ნინო ელბაქიძე: სტანდარტი მანამ არ დამტკიცებულა, სანამ საქართველოს ყველა სკოლა არ გაეცნო მას. მასწავლებლებს შენიშვნების გამოთქმა ვთხოვეთ. სამწუხაროდ, პედაგოგებმა დიდი აქტიურობა არ გამოიჩინეს, თუმცა მათი ყოველი მოსაზრება განვიხილეთ და, შეძლებისდაგვარად, გავითვალისწინეთ სტანდარტის როგორც ძირითად, ასევე საგნობრივ ნაწილში. ამ დოკუმენტის მიხედვით, სასერტიფიკაციო ტესტები და პედაგოგთა მოსამზადებელი პროგრამები იქმნება, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ჩარჩოც მას ეყრდნობა. სტანდარტს ნორმატიული აქტის ძალა აქვს, თუმცა ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ეს სტატიკური დოკუმენტი უნდა იყოს. მომავალში სტანდარტი დაიხვეწება. ისევ მივიღებთ მასწავლებლების კომენტარებს, რჩევებსა და შენიშვნებს.

ნინო ბერაძე: სტანდარტს საკმაოდ კარგად ვიცნობთ. კოლეგები რამდენჯერმე შევიკრიბეთ და ამის თაობაზე ვიმსჯელებთ. ვეცდები, ჩამოვყალიბო ის პრობლემები, რაც გამოიკვეთა. ყურადღებას ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე გავამახვილებ. როცა ქართულის სტანდარტს ეცნობა, პედაგოგი დაბნეულია, რადგან უზარმაზარ მასალას აწყდება. გეთანხმებით, მასწავლებელმა ბევრი რამ უნდა იცოდეს, მაგრამ უნივერსალური არავინაა. ჩვენი დისკუსია სიღრმეების ძიებას არ ითვალისწინებს, მიუხედავად ამისა, რამდენიმე მაგალითს მაინც მოვიხმობ. სტანდარტში ქართველი მწერლების უზარმაზარი ჩამონათვალია. მიჩნდება კითხვა: ამა თუ იმ მწერლის ცოდნა ან არცოდნა რას აძლევს პედაგოგს, რომელმაც გაკვეთილზე

შეხვედრაში მონაწილეობდნენ:

ნინო ბერაძე

პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

დალი ბურღილაძე

32-ე საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

ნინო შვიციანი

133-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ნინო შუბლაძე

63-ე საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

ნინო მიმინოშვილი

საერო გიმნაზია „შავნაბადას“ ისტორიის მასწავლებელი

ნინო ელბაქიძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის სტანდარტების კოორდინატორი

ნათია ნაცვლიშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მასწავლებელთა დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის კოორდინატორი

პაატა პაპაშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის აკრედიტაციის კოორდინატორი

სოფო გორგოძი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი

ქანა კვაჭაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინკლუზიური განათლების კოორდინატორი

ირაკლი კაკაბაძე

ჟურნალ „მასწავლებლის“ რედაქტორი

შეხვედრას უძღვებოდა ჟურნალ „მასწავლებლის“ მთავარი რედაქტორი ნატო ინგოროშვილი



ნათია ნაცვლიშვილი

გარკვეულ შედეგს უნდა მიაღწიოს? ასევე პრობლემური საკითხია ის, თუ მწერლის რომელი ნაწარმოები შეეა ტესტში. ხომ არ სჯობს, უფრო დაკონკრეტებული მასალა მივანოდოთ პედაგოგებს? სტანდარტში არის მითითება, რომ პედაგოგს მოეთხოვება მხოლოდ იმ მასალის ცოდნა, რაც ეროვნული სასწავლო გეგმითაა გათვალისწინებული. სასწავლო გეგმაში კი ზუსტად ის ჩამონათვალია, რაც სტანდარტში.

ნინო ელბაქიძე: სტანდარტის დამტკიცების შემდეგ ბევრი შეხვედრა ჩატარდა მასწავლებლებთან, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. უამრავ ქართულის მასწავლებელს შეეხვედით და ყველა შეხვედრაზე შენიშვნების მიზეზი სწორედ ავტორთა ჩამონათვალი იყო. ვრცელმა სიამ მასწავლებლებში დაბნეულობა გამოიწვია. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისას მასწავლებელს არ მოეთხოვება ჩამონათვალი ნარმოდგენილი ყველა ავტორის მთლიანი შემოქმედების ცოდნა. პროფესიული სტანდარტი იმავე პრინციპითაა აგებული, როგორც მოსწავლის სტანდარტი, გარდა მეთოდის ნაწილისა. ავტორთა ეს ჩამონათვალი სრულად ემთხვევა მოსწავლის სტანდარტში ნარმოდგენილ რეკომენდებულ მწერალთა ჩამონათვალს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ინფორმაცია მასწავლებლებს უყურნალ „მასწავლებლის“ (2009 წლის

N2) და ვებ-გვერდის საშუალებით მივანოდეთ.

ნინო ქვრივიშვილი: მოგეხსენებათ, სხვადასხვა კლასში ბევრი სახელმძღვანელო არსებობს და მათში განსხვავებული ნაწარმოებებია შესული. ალბათ სასერტიფიკაციო გამოცდისთვის არ ექნება მნიშვნელობა, რომელი წიგნით მუშაობს მასწავლებელი.

ნინო ელბაქიძე: ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტების ნიმუშების კრებულში, რომელიც გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა გამოსცა, აღწერილია საგამოცდო პროგრამა, რაც საშუალებას გაძლევთ, განსაზღვროთ, თუ რას უნდა ელოდეთ გამოცდაზე. პროგრამა, ცხადია, მთლიან სტანდარტს არ მოიცავს.

ნინო ბერაძე: ბევრი შეკითხვა გაჩნდა გამოცდების ცენტრის მიერ ჩატარებული სააპრობაციო ტესტირების შემდეგაც. სერიოზული პრობლემა შეექმნათ საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს, რადგან დიდი შეუსაბამოებები დაფიქსირდა.

სოფო გორგოძე: სააპრობაციო ტესტირებები დიდ მღელვარებას არ უნდა იწვევდეს, რადგან ისინი სწორედ ხარვეზებისა და შეუსაბამოების გამოსავლენად ტარდება. პროფესიულ უნარებში სწორედ ამ წინასწარი ტესტირების შედეგებმა და მასწავლებლების კომენტარებმა გადაგვანყვეტინა, შეგვედგინა თქვენთვის კარგად ცნობილი სამნაწილიანი სახელმძღვანელო. აპრობაცია ისე იგეგმება და ტესტირება უფრო დაიხვეწება.


მინდა, შევეხო სტანდარტით გათვალისწინებული მასალის სირთულესა და მოცულობას. იმ ავტორთა ცოდნა, რომლებიც მასწავლებლის სტანდარტში შევიტანეთ, მოსწავლეებსაც მოეთხოვებათ. გაუმართლებელი იქნება, ეს მასალა მოვთხოვოთ ბავშვებს და არ მოვთხოვოთ მასწავლებ-

ლებს. რაც შეეხება ავტორთა სიღრმისეულ ცოდნას, როგორც ითქვა, მასწავლებლებს მხოლოდ სახელმძღვანელოებში ტრადიციულად ნარმოდგენილი ნაწარმოებების ცოდნა მოეთხოვებათ.

ნათია ნაცვლიშვილი: როცა პედაგოგები პირველად გაეცნენ სტანდარტს, ბევრმა მასში ერთგვარი საფრთხე დაინახა. ეს დამოკიდებულია ზემოთ ხსენებული სირთულეთა და ზოგიერთი საკითხის სიახლით იყო გამოწვეული. სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად შესთავაზა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა მასწავლებლებს როგორც სამნაწილიანი დამხმარე სახელმძღვანელო, ასევე სხვა რესურსები. ყველა მასალა, რომელსაც მასწავლებლებს ვთავაზობთ, სწორედ სტანდარტით განსაზღვრულ საკითხებს მოიცავს და ეხმიანება. ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ, ამ გზითაც დაეხმარებოდით მასწავლებლებს სტანდარტით განსაზღვრული მიზნების მიღწევაში. ყველა რესურსი, წიგნი თუ ფილმი, რომელსაც ცენტრი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით ამზადებს, საქართველოს ყველა საჯარო სკოლას ორ-ორ ეგზემპლარად უსასყიდლოდ გადაეცემა და, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელს უპრობლემოდ უნდა შეეძლოს მისი გამოყენება. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, ვითანამშრომლოთ მასწავლებლებთან, სიამოვნებით მოვისმენთ

ნინო ქვრივიშვილი





სოფო გორგოძე

მათ მოსაზრებებს უკვე შექმნილი რესურსების შესახებ და თუკი, რომელიმე საკითხთან ან თემასთან დაკავშირებით, დამატებით მასალას მოგვთხოვენ, ამ თხოვნასაც გულისხმიერებით მოვეკიდებით. თუკი სირთულე ნამდვილად არსებობს, ვფიქრობ, ასეთი მიდგომა ძალიან დაგვეხმარება მის დაძლევაში.

ნინო ქვრივიშვილი: სტანდარტი მასწავლებლებისგან რიგი სამართლებრივი დოკუმენტების ცოდნასაც მოითხოვს. ვფიქრობ, ისეთი დამხმარე სახელმძღვანელო უნდა შეიქმნას, რომელშიც თავს მოიყრის მასწავლებლისთვის საჭირო სამართლებრივი აქტები. შეიძლება ზოგიერთი დოკუმენტი სრული სახით არ წარმოგვიდგინოთ, მაგრამ საკმარისი იქნება, ამა თუ იმ დოკუმენტის ის ნაწილი დაიბეჭდოს, რისი ცოდნაც მასწავლებელს აუცილებლად მოეთხოვება.

ნინო შუბლაძე: სამართლებრივი აქტების ცოდნა მასწავლებლისთვის მეც აუცილებელ პირობად მიმაჩნია. არა მარტო პედაგოგმა, ყველამ უნდა იცოდეს საკუთარი ქვეყნის კონსტიტუცია, განსაკუთრებით კი შრომის კოდექსი.

რა სჭირდება მასწავლებელს სტანდარტთან მიახლოებისთვის? სახელმწიფომ მასწავლებ-

ლისთვის სტანდარტის არსებობა საჭიროდ ჩათვალა და, ბუნებრივია, ამაში გარკვეული ძალისხმევაც ჩადო. მისი ერთერთი ნიმუშია ვაუჩერი, რომელიც მასწავლებლებმა პროფესიული ზრდისთვის უნდა გამოიყენონ. ხვალ თუ ზეგ ახალ და ძველ მასწავლებლებებს შორის კონკურენცია გაჩნდება. როგორ უნდა მოემზადოს პედაგოგი ამ კონკურენციისთვის? მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი თავისთავად ცდილობს მასწავლებლების დახმარებას. საინტერესოა, თავად მასწავლებელი რა ძალისხმევას დებს ამ პროცესში.

დალი ბუჩუკური: სტანდარტს მეც და ჩემი კოლეგებიც – ისტორიის მასწავლებლებს ვგულისხმობ – კარგად ვიცნობთ. სააპრობაციო გამოცდებშიც მივიღეთ მონაწილეობა და ამ ყველაფერში საფრთხე არ დაგვინახავს, არც განსაკუთრებულ სირთულეებს ვაწყდებით. ისტორიის პროგრამაში საქართველოს ისტორიაც შედის და მსოფლიო ისტორიაც. ჩვენს მასწავლებლებს ხან შუა საუკუნეების, ხან ევროპის, ხან საქართველოს ისტორიის სწავლება უხდებათ. მთავარი, რაც გვანუხებს, ისტორიის წიგნების ხელმიუწვდომლობაა. უამრავი წიგნია გამოსული ისტორიის სპეციალისტებისთვის და მინდა, ყველას გავეცნო. სტანდარტის მოთხოვნების შესრულება შეიძლება რთულია, მაგრამ მცდელობას არ დავაკლებთ. მასწავლებელი საკუთარ თავზე ყოველთვის უნდა მუშაობდეს და ვმუშაობთ კიდევ. ისტორიის მასწავლებელს უამრავი რამის ცოდნა სჭირდება: ხელოვნების ისტორიის, რელიგიის ისტორიის, ეთნოგრაფიის... დღეს მასწავლებელს უამრავ მოთხოვნას უყენებენ. ჩვენ კი ერთადერთი მოთხოვნა გვაქვს: წიგნი და სახელმძღვანელო. ამ ზაფხულს, როცა

გამომცემლობებს ვხვდებოდით, შეურაცხყოფილი დავრჩი მათი დამოკიდებულებით. წიგნს არ გვანდობენ, რომ გავეცნოთ და სახელმძღვანელოს სასურველი ვარიანტი შევარჩიოთ. ამის გამო სექტემბერში გაკეთებული არჩევანი სანანებელი გამიხდა, არ შეიძლება, რომ თავისუფლად გავაკეთო არჩევანი და ბავშვებსაც სანვალბელი არ გავუხადო?

სოფო გორგოძე: თქვენი მოთხოვნა აბსოლუტურად გამართლებულია. როგორც ვიცი, ეროვნული სასწავლო



დალი ბუჩუკური

გეგმების ცენტრი უზრუნველყოფს, რომ ყველა მასწავლებელს სახელმძღვანელოების გაცნობის საშუალება სასწავლო წლის დაწყებამდე ჰქონდეს. ამის შესახებ მასწავლებლები ხშირად გვეკითხებიან და დაწვრილებით ამ საკითხზე შეგიძლიათ იხილოთ ჟურნალის კითხვა-პასუხის სექციაში.

ნინო მიმინოშვილი: რადგან პრობლემებს შევეხეთ, უნდა ვთქვათ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია. სამოქალაქო განათლებას ვასწავლი და როცა პროფესიის არჩევაზე მიდგება საქმე, ყველა მოსწავლე ერთხმად გამოირიცხავს მასწავლებლობას. საზღვარგარეთაც მასწავლებლობა ნაკლებად პოპულარული პროფესია გახდა. რა შეიძლება გაკეთდეს, რომ საზოგად-



ნინო ელვაშიძე

დოებამ მასწავლებლის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალოს? სახელმწიფომ ამ კუთხითაც უნდა იმუშაოს.

სოფო გორგოძე: ეს ჩვენი საერთო საზრუნავია. მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია ხელფასსა და სოციალურ უზრუნველყოფაზე დამოკიდებული და, ამავდროულად, დღევანდელი მასწავლებლების მუშაობის ხარისხზეც. ამიტომ, სტანდარტზე მუშაობისას, არ გვინდოდა, რომ მასში განერილი მოთხოვნები ნებისმიერისთვის ადვილად დასაძლევად ყოფილიყო. დღეს ყველა ფიქრობს, რომ მასწავლებლობა შეუძლია. კანონით ასეც არის: 2014 წლამდე ნებისმიერ უმაღლესდამთავრებულს აქვს უფლება, პრეტენზია განაცხადოს მასწავლებლობაზე. როცა ყველას ეცოდინება, რომ არსებობს მასწავლებლის სტანდარტი, შემთხვევითი ადამიანები აღარ მოისურვებენ სკოლაში მუშაობას. მოთხოვნები ძნელად შესასრულებელი იმიტომ არის, რომ გვინდა, სკოლაში მაღალკვალიფიციური მასწავლებლები ასწავლიდნენ. როგორც პედაგოგებმა შენიშნეს, მეთოდის ნაწილი სტანდარტში სათანადოდ დაკონკრეტებული არ არის. გადაწყვეტივით, ყველა საგანში საგნობრივი მეთოდის გზამკვლევი მოვამზადოთ და ამასთან დაკავშირებით

ექსპერტებისთვის კონკურსიც გამოვაცხადეთ. იმედი გვაქვს, ეს გზამკვლევი მასწავლებლებს დიდ დახმარებას გაუწევს.

მასწავლებლებისთვის ძალიან საინტერესოა: როგორ აისახება სტანდარტი სასერტიფიკაციო გამოცდებზე?

სოფო გორგოძე: ტესტი შეფასების ერთ-ერთი კომპონენტია და ის ყველაფერს სრულყოფილად ვერ შეაფასებს. ვერც ერთი ტესტი სტანდარტს სრულად ვერ მოიცავს, რადგან სტანდარტის ყველა მოთხოვნ

მასწავლებლების „გამოჭერის“ სურვილი ნამდვილად არ ამოძრავებს. თუ არის საკითხები, რომლებიც მასწავლებელს არ უსწავლია უმაღლეს სასწავლებელში და რომლებსაც ვერც დამხმარე სახელმძღვანელოებში ნახავს, ასეთ საკითხებს ტესტებში არ შევიტანთ. ამ შემთხვევაში, გამოცდების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებულად ვიმოქმედებთ.

ირაკლი კაკაბაძე: როგორც ისტორიის მასწავლებელი და სკოლის დირექტორი, პირველი ვარიანტიდანვე ვიცნობდი სტანდარტს და აქტიურად ვთანამშრომლობდი




ნის ტესტურ დავალებად გადაქცევა შეუძლებელია. იქნება განსაზღვრული პროგრამა, რასაც წინასწარ გაცნობით. სახელმწიფოს

ნინო ზარაძე



სტანდარტზე მომუშავე ჯგუფთან. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ის რთულად ნამდვილად არ მეჩვენება. დრო ძალიან აჩქარებულია და ჩვენი მოსწავლეები უამრავ ინფორმაციას ფლობენ სხვადასხვა წყაროდან. მასწავლებელმა თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს ფეხი სწრაფად უნდა აუნყოს. რა თქმა უნდა, მან მეტი უნდა იცოდეს, ცნობილი იგავისა არ იყოს, მან „ხეზე ასვლის“ საიდუმლოც უნდა იცოდეს. დარწმუნებული ვარ, სტანდარტს იოლად დაძლევენ ის ადამიანები, ვინც წლებია, ამდენ ენთუზიაზმსა და სიყვარულს დებენ საკუთარ საქმეში.





რეპეტიტორობა საქართველოსა და მსოფლიოში

განათლების დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, მარკ ბრემ, რომელიც რეპეტიტორობის საკითხებზე მუშაობს, 2009 წელს ამ თემას კიდევ ერთი ნაშრომი მიუძღვნა: „ჩრდილოვანი განათლების სისტემის წინააღმდეგ: როგორია სხვადასხვა სახელმწიფოს პოლიტიკა სხვადასხვა ფორმის რეპეტიტორობის მიმართ“. გთავაზობთ ბრეის პუბლიკაციის მოკლე მიმოხილვას.

სოფო გორბოძე

მარკ ბრეის სახელმძღვანელო სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების შედარებით ანალიზს წარმოადგენს. მასში აღწერილია ამ ქვეყნებში არსებული სიტუაცია და, აგრეთვე, ისიც, თუ რა გავლენას ახდენს რეპეტიტორობა სახელმწიფო განათლების სისტემაზე და რა პოლიტიკას მიმართავს ეს უკანასკნელი. თითოეულ ქვეყანაში რეპეტიტორობის ინსტიტუტი განსხვავებულ პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ გარემოში ყალიბდება და, შესაბამისად, სხვადასხვანაირ რეაგირებას ითხოვს.

განათლების პრივატიზაციისა და მარკეტიზაციის ფონზე, რეპეტიტორობა, სხვადასხვა მასშტაბითა და ფორმით, მთელს მსოფლიოს მოედო. ის გავრცელებულია როგორც განვითარებად, ასევე, განვითარებულ ქვეყნებში.

ავტორი ამ ფენომენს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფაქტორს უკავშირებს. ის საქართველოს, ტაჯიკეთს და ყირგიზეთს ერთ კონტექსტში განიხილავს და ამბობს, რომ აქ, ძირითადად, მასწავლებელთა დაბალმა ხელფასებმა გამოიწვია აღნიშნული ინსტიტუტის გაძლიერება. ჰონგკონგში, კორეაში, იაპონიასა და სინგაპურში კი, სადაც მასწავლებლებს საკმაოდ კარგად უხდებიან, რეპეტიტორობის მომძღვარება საზოგადოებაში არსებულმა კონკურენციამ განაპირობა. იქ იმ ახალგაზრდას, რომელიც რეპეტიტორის დახმარებით იძენს დამატებით ცოდნას, წარმატების მიღწევის მეტი შანსი აქვს. აფრიკის რიგ ქვეყნებში, მაგალითად,

უგანდაში, რეპეტიტორობამ განათლების დაბალი ხარისხის გამო მოიკიდა ფეხი. ინგლისსა და ამერიკაში მას, მეტწილად, თავად სახელმწიფო აფინანსებს და ამ ინსტიტუტის მთავარი მიზანიც, ზოგადად, დაბალი მოსწრების მქონე მოსწავლეების აკადემიური მიღწევების ზრდაა.

რეპეტიტორობას, უარყოფითთან ერთად, დადებითი მხარეც აქვს. მისი უარყოფითი მხარე ის არის, რომ იგი სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობას ამწვავებს და დიდ ადამიანურ თუ ფინანსურ რესურსებს მოითხოვს, რომელთა გამოყენებაც უფრო გონივრულად შეიძლება. ის მასწავლებლები, საკუთარ მოსწავლეებს რომ ამზადებენ, თავად წყვეტენ, რა ასწავლონ კლასში და რა – კლასის გარეთ. ისინი ხშირად მოსწავლეებს მათთან მომზადებას აიძულებენ. რეპეტიტორობა კორუფციის სახეს იღებს და სოციალურ ნდობას ძირს უთხრის. მცირდება მოსწავლეების დასვენების/გართობის დროც, რაც მათ ფსიქიკაზე აისახება და საგანმანათლებლო კუთხითაც არასასურველ ფაქტს წარმოადგენს.

რაც შეეხება დადებით ასპექტებს, რეპეტიტორობა, თუ ის მხოლოდ ტესტის ჩაბარების ტექნიკაზე ორიენტირებული არ არის, ბავშვებს სწავლასა და მასალის უკეთ აღქმაში ეხმარება. დადებით კონტექსტშია ნახსენები ისიც, რომ რეპეტიტორობა შემოსავლის წყაროა მასწავლებლებისთვის. იგი ასევე ეხმარება იმ მოსწავლეებს, რომლებიც, რაღაც მიზეზით, პროგრამას ჩამორჩნენ. ამ კუთ-

UNESCO Publishing IIEP Policy Forum

ხით, ის სკოლის მასწავლებლების საქმესაც ამცირებს. ზოგადად, გამოდის, რომ განათლება მეტად ფინანსდება.

მოსწავლეთა კერძო, დამატებით მომზადებას შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს. ეს არის: კერძო გაკვეთილები, რომლებსაც არარეგისტრირებული რეპეტიტორები ატარებენ; ასევე, გაკვეთილები, რომლებსაც რეგისტრირებული სარეპეტიტორო ცენტრები სთავაზობენ მომხმარებელს. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა თავად მთავრობა უწყობს ხელს და აფინანსებს რეპეტიტორობას დაბალი მოსწრების მქონე ბავშვებისთვის.

90-იანი წლების შემდეგ აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში რეპეტიტორობას ბევრმა მიჰყო ხელი. კერძო გაკვეთილები, გამოკვლეული 12 ქვეყნიდან, ყველაზე ხშირად აზერბაიჯანში ტარდება, შემდეგ მოდის: საქართველო, ლიტვა, უკრაინა, მონღოლეთი და ა.შ. სპეციალური სარეპეტიტორო კურსები კი ყველაზე მეტად ხორვატიასა და ბოსნია-ჰერცეგოვინაშია გავრცელებული.

თურქეთში სარეპეტიტორო ცენტრები ლეგალური 1965 წელს გახდა. დღეს იქ 4000-მდე ასეთი ცენტრია რეგისტრირებული განათლების სამინისტროს მიერ. აღსანიშნავია, რომ მათი რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე საშუალო სკოლების რაოდენობა. გარდა ამისა, სამეურვეო საბჭოებმა დაწყებითი კლასების პედაგოგთათვის სკოლის ტერიტორიაზე რეპეტიტორობა დაუშვეს. მასწავლებლებს სამინისტროს ნებართვა აქვთ, ისინი გარკვეულ გასამრჯელოს იღებენ და ამ თანხის რაოდენობასაც სამინისტრო განსაზღვრავს.

2004 წელს, ავსტრალიაში, მთავრობამ სპეციალური ვაუჩერები შემოიღო იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც მესამე კლასში დაბალი მოსწრება ჰქონდათ. ამერიკაში 2002 წლიდან მთავრობა კერძო პროვადერებისთვის გარკვეულ რესურსებს გამოყოფს. 2005 წელს, ჩიკაგოში, 30 კერძო სარეპეტიტორო სკოლა დაიქირავეს 60 000 ბავშვის მოსამზადებლად, რომლებმაც სტანდარტი ვერ დაძლიეს.

რეპეტიტორობაში ყველაზე მეტს კორეა ხარჯავს – 2006 წლის მონაცემით, 24 მილიარდ დოლარს წელიწადში, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 2.8%-ს შეადგენს. შემდეგ მოდის: საფრანგეთი, საბერძნეთი, თურქეთი და ეგვიპტე. რეპეტიტორობის დონე ქალაქშიც და სოფელშიც ერთნაირად მაღალია. საქართველოს მონაცემებით, ქალაქში მოსწავლეთა 81%, სოფელში კი 77% ემზადება.

ზოგ ქვეყანაში რეპეტიტორობის დარეგულირებას ბაზარს ანდობენ, ზოგ სახელმწიფოში კი ჩარევა აუცილებლად მიაჩნიათ. აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის გამოკვლეული 12 ქვეყნიდან რეგულირება 6-მა შემოიღო. აქედან 3-ში რეგულირება იმას გულისხმობს, რომ პედაგოგებმა არ უნდა მოამზადონ საკუთარი მოსწავლეები, მომზადებისას მოსწავლეების უსაფრთხოება და ჰიგიენის წესები უნდა დაიცვან, არ უნდა დააძალონ მათ წიგნებისა და მასალების ყიდვა. ეს ყველაფერი კანონში ან მასწავლებლის ეთიკის კოდექსშია განერილი. საინტერესოა, რომ სლოვაკეთში მხოლოდ ის კონტროლდება, თუ რა კვალიფიკაციის მქონე ადამიანი ასწავლის უცხო ენასა და ხელოვნებას. უცხო ენის პედაგოგს აუცილებლად უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ან აღიარებულ სერტიფიკატს უნდა ფლობდეს, ან შესაბამის ქვეყანაში 10 წელი მაინც უნდა ჰქონდეს გატარებული. 2003 წელს უკრაინაშიც აკრძალეს სკოლის ტერიტორიაზე რეპეტიტორობა, რადგან მშობლები ჩიოდნენ, რომ ის, ფაქტობრივად, „სავალდებულოდ“ იქცა. ასევე, აიკრძალა საკუთარი მოსწავლეების მომზადება. ყაზახეთში რეპეტიტორობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია ნებადართული, თუ მოსწავლე ეროვნულ სტანდარტზე გაცილებით მეტს მიღწევას ცდილობს.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ, კანონმდებლობით, გარკვეული შეზღუდვები დაანესა, რეპეტიტორობის სრული აკრძალვა წარმატებული არსად ყოფილა. მაგალითად, 80-იან წლებში, კორეაში რეპეტიტორობა აიკრძალა, მაგრამ გამოსავალი მაინც მოიძებნა: ეჭვი რომ არავის აელო, რეპეტიტორები მოსწავლეების ფორმაში გადაცმული ცხადდებოდნენ სახლებში. მშობელთა ჯგუფები ბინას ქირაობ-


დნენ მათთვის, რის გამოც ეს საქმე ძალიან მაღალანაზღაურებადი გახდა. რისკებთან ერთად ფასებიც წარმოუდგენლად გაიზარდა.

და მაინც, რატომ ურჩევნიათ მშობლებს, მეტი გადაიხადონ და ბავშვი რეპეტიტორებთან ატარონ? ზოგ შემთხვევაში, ამის მიზეზი ისაა, რომ რეპეტიტორები ბაზარზე ორიენტირებული არიან. მაგალითად, საფრანგეთში, ერთ-ერთი სარეპეტიტორო სკოლა აცხადებს, რომ თუ ბავშვები მოსწრებას ვერ გაიუმჯობესებენ, მშობლებს გადახდილი თანხა დაუბრუნდებათ, ან მათი შვილები კიდევ ერთი წელი უფასოდ ისწავლიან. კორეაში ინდივიდუალური ზრუნვა, ინდივიდუალური ყურადღება და შესაძლებლობების მიხედვით ბავშვების დაჯგუფება უფრო მნიშვნელოვანია.

გარდა ამისა, საინტერესოა, რომ კორეაში რეპეტიტორობა ინტერნეტითაც ხორციელდება. ბავშვებს შეუძლიათ ბაღში ან ავტობუსში მოისმინონ გაკვეთილები. სწრაფი ინტერნეტის პირობებში, ამას სახელმწიფო განათლების სისტემაც გააკეთებდა, მაგრამ ამჯერად კერძო სექტორი ლიდერობს. აღნიშნულ ბიზნესში ჩართულმა ერთ-ერთმა ადამიანმა კი ისიც განაცხადა, რომ სულ მალე მოსწავლეები კვირაში ერთხელ წავლენ სკოლაში, ისეთი ჯგუფური აქტივობებისათვის, როგორც სპორტია.

ბრეი ასკენის, რომ ჩრდილოვან განათლების სისტემაზე დაკვირვებით, პოლიტიკოსებმა ბევრი რამ შეიძლება ისწავლონ. იგი ხომ სახელმწიფო განათლების სისტემის ნაკლოვანებებზე მიუთითებს. ეს სისტემა მათ აჩვენებს, თუ რა არის გამოსასწორებელი და რა მიმართულებით უნდა იმუშაონ, იმ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რასაც სახელმწიფო სკოლები და, ზოგადად, განათლების სისტემა ვერ აკმაყოფილებს. ამიტომ მისი იგნორირება კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ მუდმივი კვლევა და მონიტორინგი, კონტექსტის ანალიზი უნდა მიმდინარეობდეს. შემდეგ კი თავად სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, მოთხოვნა დაარეგულიროს თუ მიწოდება. პროცესების განვითარებასაც სწორი გეზი მანვე უნდა მისცეს.





სუირად დასმული შეკითხვები

გთავაზობთ პასუხებს თქვენ მიერ დასმულ შეკითხვებზე



რატომ ვერ მოხერხდა საბაზო-საშუალო საფეხურის ქართულის, მათემატიკისა და უცხო ენის ყველა დაინტერესებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების ვაუჩერით დაკმაყოფილება 2009 წელს?

ვაუჩერული პროგრამის განხორციელება 2009 წლის აგვისტოში დაიწყო. წლის ბოლომდე, შეზღუდული ვადებისა და სატრენინგო პროგრამების რაოდენობის გათვალისწინებით, 12 000 ვაუჩერის გაცემა დაიგეგმა. ეს იყო ის რაოდენობა, რომელიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კურსების ხარისხსა და ეფექტურობას უზრუნველყოფდა. პროცესი ეტაპობრივად გაგრძელდება 2010 წლიდან და მოიცავს ყველა მასწავლებელს.



სად შეიძლება ვაუჩერული პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიღება?

2009 წელს განხორციელებული ინიციატივის ანალოგიურად, აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების ანოტაციებს ყველა საჯარო სკოლა მიიღებს. პროგრამის ანოტაციაში წარმოდგენილი ინფორმაცია მასწავლებელს შესაბამისი პროგრამის შერჩევაში დაეხმარება. ანოტაციებისა და ვაუჩერული დაფინანსების შესახებ ინფორმაციის მიღება ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებში შეიძლება. პროგრამის შესარჩევად საჭირო ინფორმაციის მოძიება კი შესაძლებელია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებ-გვერდზე: www.tpdg.ge



როდის და სად გახდება შესაძლებელი პროფესიული განვითარების ვაუჩერის მიღება, თუ 2009 წელს დაინტერესებულ მასწავლებელს ვაუჩერი არ აუღია?

2010 წლის იანვრის მეორე ნახევრიდან მასწავლებელთა ვაუჩერული დაფინანსების პროგრამა გაგრძელდება. საბაზო-საშუალო საფეხურის ქართულის, მათემატიკისა და უცხო ენის ყველა დაინტერესებულ მასწავლებელს შეუძლია, ვაუჩერის მისაღებად, ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს მიმართოს. ამავე პერიოდში გახდება ცნობილი, კიდევ რომელის საგნის მასწავლებლები მიიღებენ ვაუჩერს.



ვის მიმართოს მასწავლებელმა, რომელმაც 2009 წელს მიიღო ვაუჩერი, მაგრამ ადგილობრივი ტრენინგ-ჯგუფი არ დაკომპლექტდა და ვაუჩერი გამოუყენებელი დარჩა?

2009 წლის ბოლომდე მასწავლებელმა აუცილებლად უნდა მიმართოს ადგილობრივ რესურს-ცენტრს, გამოუყენებელი ვაუჩერის წარდგენის შემდეგ კი სპეციალური განაცხადის ფორმა უნდა შეავსოს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიიღებს მასწავლებელი ვაუჩერს ხელახლა დარეგისტრირების შემდეგ 2010 წელს.



პროფესიული განვითარების ვაუჩერის მიღების შემთხვევაში, მასწავლებლისთვის სავალდებულო იქნება სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება?

სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება პროგრამაში მონაწილე მასწავლებლისათვის სავალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენს. ვაუჩერული დაფინანსების პროგრამა მოქმედი მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფას ითვალისწინებს.



უმალესი განათლების მქონე პირს, რომელსაც პედაგოგიური განათლება არ აქვს, შეუძლია თუ არა, ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდები და, სერტიფიცირების

შემთხვევაში, ექნება თუ არა მას მასწავლებლობის უფლება?

2014 წლის ბოლომდე მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმ მოქმედ მასწავლებელს, რომელსაც აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

პედაგოგიური მუშაობის, სულ მცირე, 1 წლის სტაჟი, ან წარმატებით აქვს გავლილი მაძიებლობის პერიოდი. ასევე, გამოცდის ჩაბარება შეუძლია მას, ვინც ამჟამად სკოლაში არ მუშაობს, მაგრამ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის, სულ ცოტა, ერთწლიანი გამოცდილება აქვს.



როგორ ჩატარდება დაწყებითი კლასების მასწავლებელთა სერტიფიცირება: საგნობრივად თუ პროფესიულ უნარ-ჩვევებში?

სასერტიფიკაციო გამოცდაზე დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები როგორც საგნობრივ, ასევე პროფესიული უნარ-ჩვევების ტესტებს ჩააბარებენ.



სერტიფიკატის მიღების შემთხვევაში, რამდენი წლით განესაზღვრება მასწავლებელს სწავლების უფლება?

სერტიფიკატის მიღების შემთხვევაში, ნებისმიერ პირს მასწავლებლობის უფლება უნარჩუნდება 8 წლის განმავლობაში.



ექნებათ თუ არა მასწავლებლებს შესაძლებლობა, დროულად გაეცნონ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და თავად აირჩიონ ისინი?

მარი ბერძენიშვილი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი: მასწავლებელს აქვს სრული უფლება, თავად აირჩიოს სახელმძღვანელო. 2009 წლის გრიფირების პროცედურაზე ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრში წარმოდგენილი სახელმძღვანელოები, რომელთაც შემდგომ მიენიჭათ გრიფი, ნიმუშების სახით, აიტვირთა ჩვენს ვებ-გვერდზე (www.ganatleba.org), სადაც,

სახელმძღვანელოსთან ერთად, შეგეძლოთ გენახათ წიგნის ფასი, წონა და სხვა პარამეტრები, რაც ასევე მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოს არჩევისას. ელექტრონული კალატოლგის ნახვა და დათვალიერება ნებისმიერ მსურველს შეეძლო. ამასთანავე, ატვირთულ სახელმძღვანელოთა ნიმუშები გადმოვწერეთ DVD-დისკებზე და, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების რეგიონული კოორდინაციის დეპარტამენტის დახმარებით, დავარიგეთ საქართველოს რესურსცენტრებსა და სკოლებში, რათა მასწავლებლებს წარმოდგენილი ალტერნატიული სახელმძღვანელოებიდან მათთვის მისაღები ამოერჩიათ. გამოცემლობები, თავის მხრივ, ვალდებული

იყვენენ, გრიფის მინიჭებიდან 75 დღის ვადაში, განეთავსებინათ საკუთარი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს მინიმუმ ერთი ეგზემპლარი თითოეულ საგანმანათლებლო რესურსცენტრში. იმის გამო, რომ ხშირად მასწავლებელს ხელი არ მიუწვდება ინტერნეტზე (ან არ იყენებს მას), ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი გეგმავს, სახელმძღვანელოების მომდევნო გრიფირებისას, როცა ცნობილი იქნება გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოთა ნუსხა, სასკოლო არდადეგების დაწყებამდე, ელექტრონულ კატალოგთან ერთად, სკოლებს დაურიგდეთ გრიფირებული წიგნების ამობეჭდილი ვერსიაც, რაც, ვფიქრობთ, გააიოლებს მასწავლებლის არჩევანს.



პროფესიული განვითარების ვაუჩერის მიღების შემთხვევაში, მასწავლებლისთვის სავალდებულო იქნება სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება?

სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება პროგრამაში მონაწილე მასწავლებლისათვის სავალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენს. ვაუჩერული დაფინანსების პროგრამა მოქმედი მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფას ითვალისწინებს.



კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისთვის

მანანა შაყილაძე:



როგორ გავხადოთ ისტორიის სწავლება საინტერესო

როგორი არაჩვეულებრივი და სრულყოფილიც არ უნდა იყოს სახელმძღვანელო, მასწავლებლები დამეთანხმებიან, კარგი გაკვეთილის ჩასატარებლად ის საკმარისი მაინც არ არის. წინა დღეს ვფიქრობთ, ვეძებთ, კიდევ რა დავამატოთ, რა მოვიგონოთ, რომ გაკვეთილი უფრო საინტერესო გავხადოთ და ყველაზე მოუსვენარი მოსწავლეც კი დავაინტერესოთ და საგაკვეთილო პროცესში ჩავაბათ.

თვალსაჩინოებისა და დამხმარე მასალების გამოყენება ისტორიის ყველა მასწავლებელს მუდმივად აფიქრებს. მოზარდები ტელევიზიით და ინტერნეტით ისტორიულ ფილმებს ნახულობენ, ისეთ ინტერნეტ-თამაშებს თამაშობენ, რომლებსაც საფუძველად რომელიმე ისტორიული ეპოქა უდევს. ჩვენ კი ხანდახან შესაფერისი რუკაც არ გვაქვს, რომ გაკვეთილზე შევიტანოთ.

ამჯერად საკითხის აკადემიურ მხარეზე ვისაუბროთ. ისტორიის გაკვეთილზე რა ტიპის მასალა შეიძლება გამოვიყენოთ:

1. კარტოგრაფიული მასალა

1. სადემონსტრაციო (კედლის) რუკა;
2. ისტორიული ატლასი;
3. კონტურული რუკების კრებული;
4. ციფრული რუკები.

2. ნარატიული

(თხრობითი ხასიათის) მასალა

1. ქართული/უცხოური წყაროები (მატიანეები და ცალკეული დოკუმენტები);
2. სამეცნიერო/პოპულარული ნარკვევები;
3. ლეგენდები, ხალხური პოეზია;
4. მხატვრული ლიტერატურა (ისტორიული მოთხრობები, ნანყვეტები ისტორიული რომანებიდან/პოემებიდან).

3. ვიზუალური, სადემონსტრაციო მასალა

1. პლაკატები (დარგობრივი ან თემატური);
2. რეპროდუქციები ისტორიულ/ყანრულ თემებზე;
3. ნუმისმატიკური/ბონისტიკური მასალა;
4. პერალდიკური მასალა.

4. ფილმები, კომპაქტ-დისკები

1. სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმები;
2. ისტორიული მხატვრული ფილმები;
3. სასწავლო ფილმები;
4. მულტიმედია კომპაქტ-დისკები (სასწავლო);
5. მულტიმედია კომპაქტ-დისკები (ენციკლოპედიები);

6. ინტერნეტ-მასალები.

იმისთვის, რომ გაკვეთილი ადვილად დავგეგმოთ და გავიგოთ, როგორი სპეციფიკით უნდა მივუდგეთ მას, გთავაზობთ ერთ მაგალითს:

თემა: „საქართველო XIII საუკუნის დაშლამდე“

პრაქტიკოსმა მასწავლებლებმა კარგად იციან, რომ აღნიშნული თემის ერთ გაკვეთილში ჩატევა შეუძლებელია. ამიტომაც სასკოლო პროგრამაში იგი რამდენიმეჯერ მეორდება სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებთან. უფრო მეტიც, აღნიშნული თემა რამდენიმე საკითხად იშლება და სხვადასხვა კონტექსტში მიეწოდება მოსწავლეებს.

1. კედლის რუკა „საქართველო XIII საუკუნის დამდეგს“

რუკა ასახავს თამარ მეფის მოღვაწეობის ყველა სფეროს, საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს, მოხარკე და ყმადნაფიც ქვეყნებს, გავლენის სფეროებს, ძირითადი ბრძოლების – შამქორისა (1195 წ.) და ბასიანის (1202 წ.) ადგილებს.

ნაჩვენებია ეკლესია-მონასტრები, ციხესიმაგრეები და კულტურულ-საგანმანათლებლო კერები. რუკაში ჩახატულია თამარის ხელრთვა (ხელმოწერა), თამარისდროინდელი სახელმწიფო საზღვრის ნიშანი, გიორგი III-ის, თამარისა და გიორგი IV ლაშას მიერ მოჭრილი მონეტები.

აღნიშნული რუკის დახმარებით, მასწავლებელი ახალ მასალას ხსნის. შემდეგ მოსწავლეებს დავალებას აძლევს და სთხოვს მათ, რომ ინდივიდუალურად ან წყვილებში იმუშაონ ატლასის რუკაზე. აქვე გთავაზობთ დავალების ნიმუშს.

2. საქართველოს ისტორიული ატლასი რუკა „საქართველო XIII საუკუნის დამდეგს“

1. ამოიწერეთ რუკიდან ბრძოლების ადგილები და წლები. დაადგინეთ, რომელი დღევანდელი სახელმწი-

ფოების ტერიტორიებზე ხდებოდა ეს ბრძოლები.

2. მოძებნეთ რუკაზე და ამოიწერეთ იმ ოთხი ეკლესიის სახელწოდება, სადაც დღემდე შემორჩა თამარის ფრესკული გამოსახულება. დაადგინეთ, საქართველოს რომელ მხარეებში (რაიონებში) მდებარეობს ეს ეკლესიები.
3. იპოვეთ რუკაზე საქართველოს ვასალური ქვეყნები და ამოიწერეთ.
4. იპოვეთ რუკაზე საქართველოს მოხარკე ქვეყნები თავისი ცენტრებით.
5. რუკის საშუალებით დაადგინეთ, რა სტატუსი ჰქონდა ტრაპიზონის იმპერიას. გაიხსენეთ, რომელი დინასტია მართავდა მას.
6. რუკის საშუალებით დაადგინეთ, რა ერქვა შავ ზღვას და კასპიის ზღვას თამარის მეფობის დროს.

3. საქართველოს ისტორიის კონტურული რუკები

რუკა „საქართველო XIII საუკუნის დამდეგს“.

კონტურულ რუკაში 16 დავალებაა მოცემული. საგაკვეთილო დროის ეკონომიის მიზნით, მოსწავლეებს შეუძლიათ, ეს სამუშაო სახლში შეასრულონ. სახლიდან მოტანილი ნამუშევრებით შეგიძლიათ კლასში გამოფენაც კი მოაწყოთ.

4. „ქართლის ცხოვრება“

თამარის ორი ისტორიკოსის თხზულებები:

1. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“;
2. „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანი“.

ამოიწერეთ რუკიდან:

№	განათლებისა და მნიგნობრობის ცენტრი	საეპისკოპოსოს ცენტრი	ციხესიმაგრე	სამეფო რეზიდენცია
1.				
2.				
3.				
4.				
5.				
6.				
7.				
8.				
9.				
10.				



ამ რესურსის გამოყენებისას, იგულისხმება, რომ მოსწავლეებმა უკვე იციან „ქართლის ცხოვრების“ შექმნის ისტორია; ზოგადად მაინც იცნობენ მის შემადგენლობას; ადრე შეხვედრიათ წინა პერიოდის თხზულებები.

მოცემულ გაკვეთილზე მასწავლებელი საუბარს აგრძელებს და მოსწავლეებს აცნობს თამარის ორი ისტორიკოსის თხზულებებს. ბავშვებს განსაკუთრებით აინტერესებთ მათი დანერის ისტორია, მემატრიანეთა ვინაობა და სხვა.

გაკვეთილის მომზადებისას, შეგიძლიათ გამოიყენოთ ნაშრომები:



1. მარიამ ლორთქიფანიძე, „რა ნიგნია „ქართლის ცხოვრება““;
2. ზურაბ ჭუმბურიძე, „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“.

5. თამარის ოთხი ფრესკის რეპროდუქცია

1. ვარძიიდან;
2. ბეთანიიდან;
3. ყინწვისიდან;
4. ბერთუბნიდან.

თუ სკოლაში ასეთი პლაკატები არა გაქვთ, შეგიძლიათ მოსწავლეებთან ერთად დაამზადოთ ისინი. თანამედროვე ტექნოლოგიები ამის საშუალებას ნამდვილად იძლევა. შეგიძლიათ, ასევე გამოიყენოთ კომპაქტ-დისკი – „საქართველოს ისტორია – VII კლასი“, პარ. 31. კულტურა XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში.

7. რეპროდუქციები „საქართველოს ისტორიის ალბომიდან“

1. ლადო გუდიაშვილი, „საკადრისი პასუხი“;
2. აპოლონ ქუთათელაძე, „თამარ მეფე ბრძოლის წინ“.

ორივე რეპროდუქციის ზომაა A-3 და ორივე ბასიანის ბრძოლაზე გვიამბობს. ალბომი გამოცემულია 2004 წელს. მასში 10 სხვადასხვა დასახელების რეპროდუქცია შედის.

8. თამარის მოჭრილი მონეტები

„დედოფალი დედოფალთა შენება ქვეყნისა და სარწმუნოების თამარ ასული გიორგისა მესიის თაყვანისმცემლისა“

თამარის მონეტის არაბული წარწერა, 1200 წელი.

გამოიყენეთ ნუმიზმატიკური ტაბულა. აღნიშნულ ტაბულაში მოთავსებულია 13 სხვადასხვა მონეტა დავით კურაპალატის ეპოქიდან თამარის მეფობის ხანის ჩათვლით. საინტერესოა, რომ ჩვენამდე რამდენიმე ისეთმა მონეტამ მოაღწია, რომელიც პირუთვნელად გვიამბობს თამარის როლზე სახელმწიფოს მართვაში. კერძოდ, ტაბულაში თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი ოთხი მონეტა, სადაც იხსენიებიან:

1. გიორგი III და თამარი;
2. თამარი;
3. თამარი და დავით სოსლანი;
4. თამარი და გიორგი IV ლაშა.

9. სასწავლო ფილმი „სხალთის მონასტერი“

ფილმში წარმოდგენილია XIII საუკუნეში აჭარაში აგებული სხალთის მონასტერი. დიეტორი გვიამბობს ტაძრის

საინტერესო თავგადასავალს, განიხილავს კედლის მხატვრობას. ფილმში ნაჩვენებია მდინარე სხალთის ხეობის ულამაზესი ხედები, შუა საუკუნეების თალოვანი ხიდები, გადმოცემულია ტაძართან დაკავშირებული უძველესი ლეგენდები, მათ შორის, თამარ მეფის სხალთაში სტუმრობისა და ეკლესიის მშენებლობის საოცარი ამბავი.

ფილმის ქრონომეტრაჟი 15 წუთია. ეს საშუალებას აძლევს მასწავლებელს, ერთ გაკვეთილზე უჩვენოს იგი და მოსწავლეებთან ერთად განიხილოს. ფილმი ჩანერილია კომპაქტ-დისკზე.

10. საშინაო დავალება:

ისტორიის სწავლებაში მხატვრული ლიტერატურის გამოყენება ცალკე განხილვას მოითხოვს. ამ საკითხზე აქტიურად მუშაობენ ისტორიკოსები, მათ შორის, ცნობილი მასწავლებლები. ჩვენ მხოლოდ ორ ნიმუშს შეგახსენებთ, რომელშიც აღნიშნული ეპოქაა აღწერილი:

1. გიორგი შატერაშვილი – მრუდესის ჩრდილი;
2. აკაკი ბელიაშვილი – დაკარგული ნიგნო.



სიზუსტიური ამოცანები მასწავლებლებისთვის

ნიმუხები მოგვანოდა საგანმანათლებლო ცენტრმა „ლიგო“

ნიმუხი №1

ერთ-ერთ გაკვეთილზე მასწავლებელი მიზნად ისახავს, ისეთი მეთოდები და სტრატეგიები გამოიყენოს, რომ მოსწავლეებს სოციალური უნარ-ჩვევები განუვითაროს. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ მეთოდებსა და სტრატეგიებზე:

1. ნიშანთა სისტემით კითხვა
2. დისკუსია
3. ლექცია
4. ჯგუფური მუშაობა
5. ვენის დიაგრამა

მიეცით რჩევა მასწავლებელს: ჩამოთვლილი მეთოდებიდან რომელი ორი მეთოდის ან სტრატეგიის გამოყენება სჯობს? პასუხი დაასაბუთეთ.

მიზანი: მასწავლებლის მიერ მოსწავლეებში კონკრეტული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის შესაბამისი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება

სტანდარტი: თავი III, მუხლი 11. მასწავლებელს შეუძლია სწავლების სხვადასხვა მეთოდისა და სტრატეგიის გამოყენება თითოეული მოსწავლის ეფექტიანი სწავლისა და წინსვლისათვის.

პასუხი:

რჩევა:

დისკუსია და ჯგუფური მუშაობა 1 ქულა

დასაბუთება:

ჯგუფში მუშაობა და დისკუსიაში 1 ქულა
მონაწილეობა მოსწავლეს ეხმარება ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობაში, სხვისი აზრის პატივისცემაში, სხვასთან ერთად გადაწყვეტილების მიღებაში, რაც ხელს უწყობს მის კოგნიტიურ განვითარებას და სოციალურ /ჯგუფურ/ ადაპტაციას.

ნიმუხი №2

ნინო მასწავლებელმა VII¹ კლასში დასვა შეკითხვა:

- **რამდენი ზმნისწინია ქართულ ენაში?**
კლასში 25 მოსწავლეა. ამ შეკითხვაზე საპასუხოდ მხოლოდ 5 მოსწავლემ ასწავს ხელი.

ნინო მასწავლებელმა VII² კლასში ამავე თემაზე შეკითხვა შემდეგნაირად დასვა:

- **ვინ ჩამოთვლის ზმნისწინებს?**
კლასში 23 მოსწავლეა. ამ შეკითხვაზე საპასუხოდ ხელი ყველამ ასწავს, თუმცა ზოგმა მხოლოდ ერთი ზმნისწინი იცოდა, ზოგმა – რამდენიმე. ყველა ზმნისწინის ჩამოთვლა მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო.

პედაგოგის შეკითხვები ბლუმის ერთსა და იმავე საფეხურზე – ცოდნაზეა ორიენტირებული, მაგრამ სხვადასხვა თეორიის გამოყენებითაა დასმული.

ჩამოთვლილთაგან რომელი თეორიები გამოიყენა ნინო მასწავლებელმა VII¹ და VII² კლასებში შეკითხვების შერჩევას?

1. კონსტრუქტივიზმი და ჰუმანისტური თეორია
2. ბიჰევიორიზმი და ჰუმანისტური თეორია
3. ბიჰევიორიზმი და კონსტრუქტივიზმი

მიზანი: თეორიების გამოყენება სწავლებაში

სტანდარტი: თავი II, მუხლი 6. მასწავლებელმა იცის სწავლების ძირითადი თეორიები; იცნობს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს სწავლებაზე და იცის, როგორ გამოიყენოს ეს ცოდნა მოსწავლის სწავლებისათვის.

პასუხი:

1. კონსტრუქტივიზმი და ჰუმანისტური თეორია 1 ქულა
2. ბიჰევიორიზმი და ჰუმანისტური თეორია
3. ბიჰევიორიზმი და კონსტრუქტივიზმი



ნიმუში №3

ნანამ ძალიან მოინდომა, რუსულში მიცემული დავალება გულმოდგინედ შეასრულა და სიხარულით წავიდა სკოლაში.

გაკვეთილი საშინაო დავალების პრეზენტაციებით დაინყო. ნანას ჯერიც დადგა. ის ხალისით წამოდგა და შესრულებული დავალება კლასს წარუდგინა.

მასწავლებელი უკმაყოფილო დარჩა და მას ასე მიმართა: „კარგი, დაჯექი. შენგან მეტს არც მოველოდი“.

გაიხსენეთ მასლოუს მოტივაციის თეორია და იმსჯელეთ მასწავლებლის კომენტარზე.

მიზანი: მოტივაციის გამოყენება პრაქტიკაში
სტანდარტი: თავი III, მუხლი 8. მასწავლებელმა იცის მოტივაციისა და კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგია და იყენებს ამ ცოდნას საკუთარ პრაქტიკაში.

პასუხი:

მასლოუს თეორიის მიხედვით, **1 ქულა**
ამ შემთხვევაში, მასწავლებლის ქცევა მოსწავლეში აქვეითებს საკუთარი თავის პატივისცემის, კომპეტენტურობის, სხვათა მხრიდან აღიარებისა და პატივისცემის მოთხოვნილებას. ცოდნის მიღების მოტივაცია ვერ იზრდება, რაც, შესაბამისად, აფერხებს ბავშვის განვითარებასა და თვითრეალიზაციისკენ სწრაფვას.

ნიმუში №4

გიორგი გამართულად კითხულობს, მაგრამ წაკითხულის გააზრება უჭირს. ნინო მასწავლებელმა მას ასეთი განმავითარებელი შეფასება მისცა:

„გიორგი, შენ კარგად კითხულობ, მაგრამ წაკითხულის გადმოცემა გიჭირს. ბევრი იკითხე“.

ამავე პრობლემის მქონე ანის კი მან ასეთი განმავითარებელი შეფასება მისცა:

„ანი, შენ კარგად კითხულობ, მაგრამ წაკითხულის შინაარსის გადმოცემა გიჭირს. წაკითხე ხუთი აბზაცი მოთხრობიდან: „მუხა“, დახურე წიგნი და რაც დაგამახსოვრდება, დახატე.“

შეაფასეთ ნინო მასწავლებლის განმავითარებელი შეფასებები ვიგოტსკის სოცო-კულტურული თეორიის მიხედვით.

მიზანი: განმავითარებელი შეფასების გამოყენება პრაქტიკაში.
სტანდარტი: თავი III, მუხლი 10. მასწავლებელმა იცის, როგორ გამოიყენოს შეფასების სხვადასხვა მეთოდი შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისათვის.

პასუხი:

განმავითარებელი შეფასება ხელს უნდა **1 ქულა**
უნყოფდეს ბავშვის განვითარებას. კომენტარი უნდა შეიცავდეს არა ზოგად რეკომენდაციას, არამედ კონკრეტულ რჩევასა და მითითებას.

ვიგოტსკის თეორიის თანახმად, მასწავლებელი იყენებს დამხმარე საშუალებათა სისტემას და, სხვადასხვა სტრატეგიისა თუ მეთოდის გამოყენებით, ეხმარება მოსწავლეს. ეს კი პირველ კომენტარში არ ჩანს.

მეორე კომენტარში მასწავლებელი **1 ქულა**
მოსწავლის აქტუალური განვითარების ზონას ინიშნავს და, ამასთანავე, მას კონკრეტულ რეკომენდაციას აძლევს განვითარების უახლოეს ზონაში გადასასვლელად.



მასწავლებელთა სასარტიფიკაციო გამოცდა პროფესიულ უნარ-ჩვევებში

ტესტურ დავალებათა ნიმუშები მოგვანოდა გამოცდების ეროვნული ცენტრის, მასწავლებელთა სასარტიფიკაციო გამოცდების, პროფესიული უნარების კვლევის ჯგუფის კონსულტანტმა, თამუნა ბოკუჩავამ.

ნიმუში 1

კოლბერგის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი ორი ფაქტორი უდევს საფუძვლად ადამიანის მორალურ განვითარებას:

- მისი გენეტიკა – თანდაყოლილი უნარები და განვითარებისადმი მზაობა.
- სოციალური გარემო, რომელშიც იგი ვითარდება და კანონმორჩილება.
- ფიქრი და მსჯელობა სხვადასხვა მორალურ საკითხზე.
- დასჯა – დაჯილდოების სახით მიღებული უკუკავშირი.

- I და II.
- III და IV.
- II და III.
- I და IV.

მიზანი: ბავშვის მორალური განვითარების თეორიის ცოდნის შეფასება

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი II. მუხლი 5. საკითხი 1. დანართი N2, 2. განვითარებისა და სწავლის თეორიების ავტორები, (3) ლორენს კოლბერგი.

სწორი პასუხი: გ)

კოლბერგის თეორიის მიხედვით, ადამიანის მორალურ განვითარებას განაპირობებს ის სოციალური გარემო, რომელშიც იგი ვითარდება და კანონისადმი მისი დამოკიდებულება, კანონმორჩილება (II), აგრეთვე, აზროვნება და სხვადასხვა მორალური საკითხის განსჯა (III). შესაბამისად, ჩამოთვლილთაგან უნდა შეირჩეს ის ვარიანტი, სადაც დაწყვილებულია II და III ფაქტორები. ასეთია გ) ვარიანტი.

ნიმუში N2

სწავლების ბიჰევიორისტული მოდელის მიხედვით, სასწავლო პროცესში:

- მოსწავლე მასწავლებელთან ერთად ირჩევს სასწავლო აქტივობებს და მათი შესრულების ტემპს.
- მოსწავლე მასწავლებელთან ერთად ირჩევს სასწავლო აქტივობებს, ხოლო მათი შესრულების ტემპი წინასწარაა განსაზღვრული მასწავლებლის მიერ.
- მოსწავლე თვითონ ირჩევს სასწავლო აქტივობების განხორციელების ტემპს, ხოლო აქტივობები წინასწარ არის განსაზღვრული მასწავლებლის მიერ.
- სასწავლო აქტივობები და მათი განხორციელების ტემპი წინასწარ განსაზღვრულია მასწავლებლის მიერ.

მიზანი: სწავლების თეორიის ცოდნის შეფასება

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი II. მუხლი 5. საკითხი 1. დანართი N2, 1. განვითარებისა და სწავლის თეორიები, (1) ბიჰევიორიზმი.

სწორი პასუხი: დ)

კომენტარი

სწავლების სხვადასხვა მოდელი ეყრდნობა სხვადასხვა თეორიულ საფუძველს. სწავლების ბიჰევიორისტული მოდელი გულისხმობს, რომ მასწავლებელი თავად განსაზღვრავს სწავლების პროცესს, მართავს მოსწავლის ქცევას და მოსწავლე, ძირითადად, მასწავლებლის ინსტრუქციების, მითითებების შემსრულებლის როლშია. შესაბამისად, სწორი პასუხია დ).



ნიმუში 3

მოსწავლეებს სწავლის განსხვავებული სტილი აქვთ. ზოგი უკეთესად იგებს და იმასსოვრებს ვიზუალურად მიწოდებულ ინფორმაციას, ზოგი წერის დროს უკეთესად იგებს და იაზრებს ახალ მასალას და ა. შ. ყურადღებით წაიკითხეთ მარცხენა სვეტში მოსწავლეების შესახებ მოცემული ინფორმაცია და შეუსაბამეთ მარჯვენა სვეტში მოცემულ სწავლის სტილს.

ინფორმაცია მოსწავლის შესახებ	სწავლის სტილი
(I) გიორგიმ მასწავლებელს საკმაოდ კარგად უპასუხა, მაგრამ შედარებით დაბალი შეფასება მიიღო. მასწავლებელმა ეს ასე აუხსნა: „სახლში არ წაგიკითხავს. რაც აქ მოისმინე, ის მოყევი“.	ა. სწავლა შეხებით
გიორგი: „რა ვქნა, მასწავლებელი, თქვენ ისე კარგად ყვებით, მაშინვე მამასსოვრდება...“	ბ. სწავლა კეთებით
(II) მარის აკადემიური მიღწევები ბოლო პერიოდის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა და მშობელთა კრებაზე კლასის დამრიგებელმა ხაზგასმით აღნიშნა ეს ამბავი. მარის დედამ კმაყოფილებით ჩაილაპარაკა: „გურჩიე, მეცადინეობისას მნიშვნელოვანი საკითხები ამოენერა და დამიჯერა...“	გ. სწავლა კითხვით
(III) დათოს ძალიან უჭირს მოქმედებების შესრულება წილადებსა და ათწილადებზე. ამის გამო საკონტროლოში ორიანი მიიღო. გიგამ ქურთუკის ჯიბიდან მანდარინი ამოიღო და დათოს მიაწოდა: „ეს არის ერთი მანდარინი. დაანანილე ლეხნებად. აი, შეხედე, 16 ლეხანია, ე. ი. ერთი ლეხანი მანდარინის 1/16-ია. 8 ცალი რომ ავიღოთ, მანდარინის ნახევარი გამოვა“. სახლში დაბრუნებულმა დათომ თავისუფლად ამოხსნა დავალება წილადებზე.	დ. სწავლა მოსმენით
	ე. სწავლა წერით

- ა) (I)-ს შეესაბამება ა. ბ. გ. დ. ე.
- ბ) (II)-ს შეესაბამება ა. ბ. გ. დ. ე.
- გ) (III)-ს შეესაბამება ა. ბ. გ. დ. ე.

მიზანი: განსხვავებული სწავლის სტილის ცოდნის შეფასება.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი II. მუხ-ლი 5. საკითხი 2. დანართი N1. განვითარებისა და სწავლის თეორიები.

კომენტარი:

ამ ტიპის დავალებაზე მუშაობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ ისრები, ისე, როგორც ნიმუშზეა მოცემული. ეს გაკვირვებულთ პასუხის გაცემას.

ცხრილის მარცხენა სვეტში აღწერილი (I) სიტუაციის მიხედვით, გიორგი სახელმძღვანელოს არ კითხულობს, სახლში არ მეცადინეობს და მასწავლებლის მიერ ახსნილ მასალას მოსმენით იმასსოვრებს. ე. ი. მოსწავლეს ახალი მასალის ათვისება უადვილდება მოსმენით და არა, მაგალითად, სახელმძღვანელოს დამოუკიდებლად დამუშავებით. გიორგის სწავლის სტილი არის სწავლა მოსმენით, ანუ / სიტუაციას შეესაბამება პასუხის დ) ვარიანტი. სავარაუდო პასუხებში უნდა შემოვხაზოთ პასუხის დ) ვარიანტი.

(II) სიტუაციიდან ვიგებთ, რომ მშობლის რჩევით, მოსწავლემ წერილობით ჩაინიშნა გაკვეთილის მნიშვნელოვანი საკითხები და, შედეგად, უკეთ აითვისა მასალა, ე. ი. ამ მოსწავლისათვის საგნის შესწავლის ყველაზე ეფექტური გზა არის სწავლა წერით, ანუ (II) სიტუაციას შეესაბამება პასუხის ე) ვარიანტი. სავარაუდო პასუხებში უნდა შემოვხაზოთ პასუხის ე) ვარიანტი.

(III) ამ შემთხვევაში, აღწერილია, როგორ დაეხმარა თანაკლასელი დათოს, გაეაზრებინა, რას ნიშნავს წილადი და როგორ ხორციელდება არითმეტიკული მოქმედებები წილადებზე. მოსწავლეებმა კონკრეტული საგანი დაანანილეს და, ამგვარად, თვალნათლივ დაინახეს საკითხის არსი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ამ მოსწავლისათვის დამახასიათებელია სწავლა კეთებით, ანუ (III) სიტუაციას შეესაბამება პასუხის ბ) ვარიანტი. სავარაუდო პასუხებში სწორი პასუხია ბ) ვარიანტი.

ამგვარად, პასუხებისათვის განკუთვნილ ადგილას პირველ შემთხვევაში უნდა შემოიხაზოს დ) ვარიანტი, მეორე შემთხვევაში – ე) ვარიანტი, ხოლო მესამე შემთხვევაში — ბ) ვარიანტი.

ნიმუში 4

ქეთი მასწავლებელი მეორე კლასის მოსწავლეების მოტივირებას ცდილობს და პატარებს ხშირად აქებს. ნინომ კარგად შეასრულა დავალება, ლამაზად და უმეცდომოდ გამოიწერა სიტყვები და ქეთი მასწავლებლის შექებაც დაიმსახურა. ვატოს საშინაო დავალება არ დაუწერია, საკლასო სამუშაოც დაუდევრად შეასრულა. ქეთი მასწავლებელმა ვატოს ნახალისება გადაწყვიტა და ამიტომ ისიც შეაქო.

შექების მიუხედავად, ვატო ისევ აგრძელებს დაუდევრად მუშაობას. მას ნინომ და მოსწავლეთა ნაწილმაც მიბაძა.

გაანალიზეთ აღწერილი სიტუაცია. რამ გამოიწვია მოსწავლეებში სწავლის ხალისის შემცირება?

ჩანერეთ

მიზანი: კონკრეტულ სიტუაციაში მოტივირების სტრატეგიების შესაძლო შედეგის ანალიზის უნარის შეფასება. სწავლის მიმართ პასუხისმგებლობითი დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ხერხების ცოდნა

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი III.
მუხლი 8. საკითხი 1. იცის სწავლის მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები და აანალიზებს მათ შესაძლო შედეგს კონკრეტულ სიტუაციაში.

დავალების შეფასების კრიტერიუმები

მაქსიმალური ქულა – 2

აპლიკანტის პასუხში უნდა ჩანდეს, რომ მას ესმის წახალისების მნიშვნელობა, იცნობს მოტივაციის მექანიზმებს და შეუძლია მათი ადეკვატურად გამოყენება კლასში მუშობისას. ამასთანავე, პასუხში უნდა ჩანდეს, რომ ის ითვალისწინებს ერთი მოსწავლის მიმართ გამოთქმული შექების, ნახალისების გავლენას როგორც ამ მოსწავლეზე, ასევე დანარჩენებზე (რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ვატოს შექებას როგორც მისთვის, ასევე ნინოსა და დანარჩენი მოსწავლეებისათვის).

ნამუშევარი ფასდება 2 ქულით, თუ აპლიკანტის პასუხში ორივე მხარე ჩანს, 1 ქულით – თუ აპლიკანტი იძლევა არასრულ პასუხს. თუ პასუხი გაურკვეველია, არაადეკვატურია, ნაშრომში იწერება 0 ქულა.

შესრულებული დავალების ნიმუში

მოსწავლეთა მოტივაციის შესახებ
 დამოწმებულია ქეთი მასწავლებლის
 მიერ.

კომენტარი

აპლიკანტი არ პასუხობს კითხვას არსებითად. მისი პასუხი – „მოტივაციის შესუსტება გამოიწვევლია ქეთი მასწავლებლის მიერ“ – ზედაპირულია. შეკითხვის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ავხსნათ, როგორ, რატომ გამოიწვია ქეთი მასწავლებლის ქცევამ მოტივაციის შესუსტება.

ამგვარი პასუხი ფასდება 0 ქულით.


შესრულებული დავალების ნიმუში

ნიმუში
 აქტიურ მუშაზე აქვს ხელი. მის ეს სიტყვა მოტივაციას
 მისი ეს ხეობის სხვაობა ჩემთვის იმდენად ხარ
 აქვს აქვს მოსწავლეს, მან შეგი იმდენად ხომ მსწავ-
 ლებში ქვე დემონსტრირება. ხოლო იმით ხომ ქეთი
 მასწავლებელმა მსწავლელს ვაჟი, ნუ შეგიქვამო მოსწავლე
 ხომდრე მსწავლელს და მსწავლელს ვაჟი, ვაჟი მსწავლელს
 თანამ შრომს. თითო აქტიურად იქნება ხომ
 დევი ვაჟი მსწავლელს, აქვს ხელი, მან მსწავლელს
 ქეთი ქვე მუშაობს. ეს კი უკეთესად
 გამოიწვევს მის მოტივაციას შესუსტებს
 ეს სიტყვა ასევე მის ნახალისებას და
 ქეთის მოტივაციას ვაჟის იმდენად ხომ ვაჟი
 იქნება ხომ ეს სიტყვა უკეთესად მოტივაციას, მან
 დამოწმებულია ქეთი მასწავლებლის მიერ
 იქვე მისი მოტივაციის შესუსტება, როგორც
 აქტიურ მოტივაციას მსწავლელს მოტივაციას.

კომენტარი

ამგვარი ნაშრომი ფასდება 2 ქულით, რადგან პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი კარგად იცნობს მოტივაციის მექანიზმს; აანალიზებს, თუ რა გავლენას ახდენს ერთი მოსწავლის მისამართით გამოთქმული შექება დანარჩენ მოსწავლეებზე.





შესვენება - დასვენებისთვის

„შარშან, დასვენებაზე, მე და ბაჩი ხელჩაკიდებულები ვტრიალებდით დერეფანში, აი, ჯვარედინად რომ უნდა ჩავკიდოთ ხელები, ისე და უცებ ხელი გამეშვა. ნავიქეცი, თავი კედელს მივარტყი და თურმე გული წამივიდა. მე არაფერი მახსოვს. მერე ტვინის შერყევა მქონდა და სულ ვინექი“.

11 წლის უჩა



ირაკლი კაკაბაძე
ნათია ნაცვლიშვილი

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ადამიანის წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის მასწავლებელსა და იმ სასკოლო გარემოზე, სადაც ბავშვი დღის დიდ ნაწილს ატარებს. არავინ იცის, როგორი გამოძახილი ექნება მოზარდის ფსიქიკაში უყურადღებოდ დატოვებულ ამა თუ იმ დეტალს, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში უმნიშვნელოდ გვეჩვენება. ამიტომ, აუცილებელია, სკოლაში სწორად იყოს ორგანიზებული როგორც საგაკვეთილო პროცესი, ასევე, შესვენებაც.

შესვენებაზე ბავშვებს მნიშვნელოვანი სოციალური უნარები (მეგობრობა, კონფლიქტების მოგვარების უნარი...) უვითარდებათ. ამ დროს ისინი მთლიანად საკუთარი ინიციატივით მოქმედებენ. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გარემო პოზიტიური და უსაფრთხო იყოს. ამ 5-10-წუთიან პერიოდში მოსწავლეებზე დაკვირვებამ შეიძლება მათი ღირებულებების შესახებ ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა მოგვცეს. გასაკვირი არაფერია: ბავშვები ხომ შესვენებაზე უფრო გახსნილები არიან.

შესვენების მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ბავშვებსა და უფროსებს ხშირად საწინააღმდეგო შეხედულებები აქვთ. მოსწავლეთა უმეტესობისთვის ის ყველაზე საყვარელი დროა, თუმცა ფაქტია, რომ ჩხუბი, კონფლიქტი, ერთმანეთის დაცინვა და სხვა სახის უსიამოვნებები ყველაზე ხშირად სწორედ ამ დროს ხდება. ერთი რამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს: ბავშვები ისევე სწავლობენ შესვენებაზე, როგორც



გაკვეთილებზე. საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბება კი, აკადემიური საგნებისა და პროგრამების ათვისების გარდა, სოციალურ და პიროვნულ განვითარებასაც გულისხმობს.

ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის დასვენება, ძირითადად, თამაშის დროსთან ასოცირდება. საბაზო და საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის ეს სოციალური ურთიერთობების დროს ნიშნავს. მასწავლებლის როლიც განსხვავებულია: ერთი შეხედვით, მას მეტი ყურადღება მოეთხოვება უმცროს კლასებში და ნაკლები – უფროს კლასებში. დაწყებითი კლასების პედაგოგი შესვენებებზე ბავშვების ქცევას აკონტროლებს და ქცევის წესებს განსაზღვრავს. ხშირად სწორედ ამ

დროს არის შესაძლებელი თანაკლასელებს შორის სწორი სოციალური ურთიერთობების მოდელირება, ადეკვატური თამაშების სწავლება და ა.შ. აღსანიშნავია, რომ სტიმულირებისა თუ მოტივაციის ამალგების მექანიზმიც, მხოლოდ გაკვეთილზე არ მოქმედებს. საუკეთესო მასწავლებლები მას დასვენების დროსაც იყენებენ.

უფროს კლასებში მასწავლებლების მეთვალყურეობა ხშირად მოზარდთა გალიზიანებას იწვევს. შესაბამისად, აუცილებელია უფრო დახვეწილი სქემების შემუშავება, რათა, ერთი მხრივ, უსაფრთხოების წესებიც დაცვათ და მეორე მხრივ, ბავშვებს საშუალება მიეცეთ, არაფორმალურ გარემოში დამოუკიდებლად გაართვან თავი სოციალურ კონფლიქტებსა თუ საკუთარი თავისუფალი


დროის მართვას. ბავშვი დროის განაწილებას ყველგან სწავლობს, სადაც კი მას განსაზღვრულ პერიოდში გარკვეული დავალებისა თუ აქტივობის განხორციელება მოეთხოვება. ასე რომ, სკოლა შეიძლება განვიხილოთ, როგორც დროის მართვის უნარ-ჩვევის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი.

მასწავლებელს საკუთარი და მოსწავლეების დროის ეფექტურად გამოყენებაზე ზრუნვა თავად უწევს და ეს მისი ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა. კარგმა მასწავლებელმა ისიც კი იცის, როგორ გამოიყენოს გაკვეთილებს შორის არსებული თავისუფალი წუთები იმისთვის, რომ მოსწავლემ დალილობა მოიხსნას და ის მომდევნო გაკვეთილს ხალისით შეხვდეს.


სკოლაში გატარებული დრო აუცილებლად უნდა მოიცავდეს ფიზიკურ აქტივობებს. ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს უკეთესად სწავლას. სხვადასხვა ქვეყნის სპორტისა და ფიზიკური განათლების ეროვნული ასოციაციებისა და დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების რეკომენდაციებით, 5-12 წლის ბავშვები ფიზიკურ აქტივობებს ყოველდღიურად 60 წუთიდან რამდენიმე საათამდე დროს უნდა უთმობდნენ. გარდა ამისა, დღის განმავლობაში აუცილებელია მათი განტვირთვა რამდენიმეწუთიანი მსუბუქი აქტივობებით, განსაკუთრებით მაშინ, თუ გონებრივი დატვირთვა საათობით გრძელდება.

როცა ხვდებით, რომ ბავშვები დაიღალნენ და კონცენტრაციას ვეღარ ახერხებენ, შეწყვიტეთ გაკვეთილი და 5 წუთით შეისვენეთ. შეგიძლიათ მოსწავლეებს ხანმოკლე ვარჯიშებიც გააკეთებინოთ. ხშირად ძალების აღსადგენად და





შესვენებაზე ბავშვებს მნიშვნელოვანი სოციალური უნარები (მეგობრობა, კონფლიქტების მოგვარების უნარი.) უვითარდებათ. ამ დროს ისინი მთლიანად საკუთარი ინიციატივით მოქმედებენ. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გარემო პოზიტიური და უსაფრთხო იყოს.



კონცენტრაციის მოსაკრებად რამდენიმე თავისუფალი მოძრაობაც საკმარისია. დანყებით კლასებში შეიძლება აერობიკითა და მუსიკის მოსმენით განიტვიტოთ. უცხო ენის გაკვეთილზე სიმღერების შესწავლა კარგი – ამ დროს მოსწავლე დიდი ხალისით სწავლობს უცხო სიტყვებსა და მთლიანად, ტექსტს.

სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული კვლევები მოწმობს, რომ შესვენებების ხანგრძლივობა მოსწავლეთა ასაკის ზრდასთან ერთად კლებულობს. საქართველოში, პირველი კლასის გარდა (სადაც გაკვეთილის ხანგრძლივობა 35 წუთია, ხოლო შესვენება, მასწავლებლის გადანყვეტილებით, შეიძლება 5 ან 10-წუთიანი იყოს), ყველა კლასისთვის გაკვეთილებისა და შესვენებების ხანგრძლივობა ერთნაირია. პირველ ორ გაკვეთილს შორის 5-წუთიანი შესვენება მართლაც საკმარისია, განსაკუთრებით მაშინ, თუ მასწავლებელი, ბავშვების ყურადღებისა და აქტიური ჩართულობის შესანარჩუნებლად, აქტივობებს ცვლის, მაგ., 10 წუთი ეთმობა ახალი თემის გარშემო ჯგუფურ დისკუსიას, 10 წუთი –

დაფიდან რაიმეს გადაწერა/გადახატვას და დამოუკიდებელ სამუშაოს, შემდეგი 5-10 წუთი არის გამოკითხვა და ა.შ. ასეთი ცვლილებები მოზარდებს საშუალებას აძლევს, უშუალოდ, გაკვეთილის პროცესში დაისვენონ. პირველ ორ გაკვეთილს შორის შესვენების მიზანი უფრო მეორე გაკვეთილისთვის მომზადებაა (ნიგნების, რეგულაციების გამზადება, გაკვეთილის გამეორება), ვიდრე დასვენება. მომდევნო გაკვეთილებს შორის, სასურველია, შესვენების ხანგრძლივობა გაიზარდოს. თუმცა არ არსებობს განსაზღვრული დასკვნები იმის თაობაზე, თუ რამდენი წუთი იქნებოდა ოპტიმალური როგორც დასვენებისთვის, ასევე არაფორმალური სოციალური აქტივობებისთვის. ერთი რამ ცხადია: თუ მივიჩნევთ, რომ სკოლა ბავშვს სოციალური ურთიერთობების გამოცდილებას უნდა აძლევდეს, ეს შესვენებების ხანგრძლივობასა და ორგანიზებულობაზეც უნდა აისახოს (მაგ., 10-წუთიანი შესვენებისას, ბავშვებმა შეიძლება სპორტული დარბაზი გამოიყენონ, ან სხვადასხვა კლუბში გაერთიანე-

ბულებმა შედარებით ხანგრძლივ შესვენებაზე მათთვის საინტერესო საკითხები განიხილონ და ა.შ.).

დაგვეთანხმებით, რომ მოსაწყენ გაკვეთილზე ჯდომა მოზარდებისთვის ძალიან ძნელია. ასეთ გაკვეთილზე დრო საშინლად ნელა გადის და ყოველი წუთი იმ არარეალურ ბუნებრივ ენერგიას აგროვებს, რომელიც დასვენებაზე, ან რომელიმე გაკვეთილზე ნალმევით უნდა გასკდეს. კლასი ყოველთვის ენერგიითაა სავსე და მასწავლებელი მის სწორად გამოყენებას უნდა ცდილობდეს.

ფაქტობრივად, შეგვიძლია შესვენება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების ერთ-ერთ ფორმად განვიხილოთ. ერთადერთი, რაც მისი ორგანიზებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, უსაფრთხოების წესების დაცვაა. ეს მართლაც უფროსების მოვალეობას წარმოადგენს და როგორც უსაფრთხო ფიზიკურ გარემოს, ასევე უსაფრთხო სოციალურ გარემოს გულისხმობს.





მერაბ ლაბაძე

ელექტრონული თამაშები განათლებაში, ახალი საფაროს მისაღობებთან

სწავლების პროცესში ელექტრონული თამაშების წარმატებით გამოყენების პრაქტიკა მარავალ ქვეყანაში არსებობს. რა ტიპის თამაშებს იყენებენ? როგორ ახდენენ მასწავლებლები მათ ინტეგრაციას სასწავლო გეგმაში? რა პედაგოგიურ მიზნებს აღწევენ და რა შედეგებს იღებენ? სხვა სიტყვებით: რითაა საინტერესო თამაშების გამოყენება საგანმანათლებლო სისტემისათვის? ეს არის იმ კითხვების ჩამონათვალი, რომლებსაც, შევეცდები, ვუპასუხო ევროპული სკოლების გამოცდილების კვლევის მიმოხილვაზე დაყრდნობით.

თანამედროვე ინფორმაციულ სამყაროში ელექტრონული თამაშები კომერციულად წარმატებული, თუმცა ძვირად ღირებული ბიზნესია. მსოფლიოს თამაშების ინდუსტრიას კინონდუსტრიასთან თანაზომადი შემოსავალი მოაქვს. წამყვანი კომპანიები დიდ თანხებს ახანდებენ, რომ თამაშები მიმზიდველი გახადონ და მათში ბუნებრივად იყოს გაზრდილი შემეცნებითი კომპონენტიც. რომელიმე თამაშის სპეციფიკურ გარემოში გათვითცნობიერება და წარმატება, მეტწილად დაკავშირებულია გარკვეული უნარების შესწავლასა და გამოყენებაზე.

საგანმანათლებლო ელექტრონული თამაშები შედარებით ახალი მიმართულებაა მდიდარი ქვეყნებისათვისაც. ელექტრონული თამაშების განმარტების ქვეშ, შესაძლოა, მოექცეს ვიდეოთამაშები, ინტერნეტთამაშები, სტრატეგიები, სიმულაციები, როლური და სათავგადასავლო თამაშები, რბოლები, თავსატეხები და სხვ; რომელთა გაშვება შესაძლებელია კომპიუტერზე, სათამაშო კონსოლებზე, მობილურ ტელეფონებზე.

კომერციულ ფრონტზე მიღწეული წარმატებები უბიძგებს განათლების ექსპერტებს, მკვლევარებსა და ადმინისტრატორებს, სულ უფრო ხშირად მიმართონ საგანმანათლებლო პროცესში თამაშების გამოყენების შესწავლისა და დანერგვის


პროექტებს. ევროპის ქვეყნებში, ევროპული ქსელის მიერ, ახლახან ჩატარდა კვლევა სასწავლო პროცესში თამაშების გამოყენების შესახებ. აღნიშნული კვლევის შედეგებს ქვემოთ მიმოვიხილავთ.

თამაშების ტიპები

გარდა საგანმანათლებლო მიზნებით შექმნილი თამაშებისა, ევროპელი მასწავლებლები სწავლების პროცესში იყენებენ როგორც გასართობ, ისე კომერციულ თამაშებს. მათი ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანია. დასახელებების „ღრუბელში“ მოყვანილია ზოგიერთი პოპულარული თამაში. თამაშის დასახელების ზომა ასახავს მისი გამოყენების სიხშირეს.

ევროპული ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემებში თამაშების გამოყენება უფრო ექსპერიმენტული ხასიათისაა. საგანმანათლებლო თამაშები, რომლებიც სასწავლო პროგრამაშია შეტანილი, იშვიათია. თამაშების გამოყენება, ძირითადად, ეხმარება იმ ახალ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგას საშუალო განათლების სისტემები, კერძოდ, საგანმანათლებლო სისტემის მიმართ მოსწავლეთა მზარდი უკმაყოფილება, მათი მოტივაციისა და პედაგოგთა ეფექტიანობის გაზრდის აუცილებლობა. საგანმანათლებლო თამაშები მოიაზრება, ასევე, როგორც ახალი





პედაგოგიური ინსტრუმენტი ე.წ. ძირითადი კომპეტენციების განვითარებისათვის.

მზარდი პრაქტიკა

საგანმანათლებლო სისტემების მასშტაბის მიმართ, სკოლებში კომპიუტერული თამაშების გამოყენების მაგალითები არ არის მრავალრიცხოვანი, თუმცა მუდმივად მზარდია (თამაშების გამოყენების საკითხს ეძღვნება სულ უფრო მეტი სემინარი და კონფერენცია, ქვეყნდება აკადემიური სტატიები). ზოგ ქვეყანაში თამაშების ექსპერიმენტული დანერგვა საგანმანათლებლო პროცესში, უშუალოდ, განათლების სამინისტროების მიერ არის ინიცირებული. მაგალითისათვის, ნიდერლანდებში პროექტი „თამაშების ატელიე“ ეძღვნება მობილურ თამაშებზე დაფუძნებული სწავლების განვითარებას. პროექტის საპილოტე ფაზის შემდეგ ის ხელმისაწვდომი იქნება ყველა საშუალო სკოლისათვის. ზოგ შემთხვევაში განათლების სამინისტრო სკოლებისთვის იძენს და ავრცელებს კომერციული საგანმანათლებლო თამაშების ლიცენზიებს (მაგალითად, Zoo Tycoon ავსტრიაში, Hojby School – დანიაში).

შოტლანდიაში სასკოლო დეპარტამენტი მხარს უჭერს მოძველებული კომერციული თამაშების განახლებასა და სასწავლო პროცესში გამოყენებას.

საზოგადო, შეიძლება გამოვყოთ საგანმანათლებლო სისტემაში თამაშების გამოყენების ოთხი მოდელი:

ჩამორჩენილი მოსწავლეების დახმარება

ამ კუთხით თამაშები გამოიყენება იმ მოსწავლეთა ქმედითი დახმარებისთვის, რომელთაც შემეცნებითი, მეთოდოლოგიური ან სოციალური პრობლემები ექმნებათ. ძირითადად, ეს ხდება საგაკვეთილო პროცესის შემდეგ, დაუძაბავად და ინდივიდუალურად. ასეთი მიდგომა გავრცელებულია საფრანგეთში.

განათლების მოდერნიზების საშუალება

ამ მიდგომის თანახმად, ელექტრონული თამაშები მოიაზრება განათლების სისტემაში დანერგილი სწავლების მეთოდების მოდერნიზაციის ერთ-ერთ ინსტრუმენტად. ასეთ მოდელს ხშირად უჭერს მხარს საგანმანათლებლო ადმინისტრაცია და მიმართულია მოსწავლეთა სასკოლო გამოცდილების დასაახლოებლად მათ რეალურ სამყაროსთან, სადაც თამაშებს დიდი ადგილი ეთმობა. ეს მიდგომა ასევე ხელს უწყობს ახალგაზრდებისა და ზრდასრულთა შეხედულებების ურთიერთგაზიარებას.

ინოვაციისა და განსაკუთრებული უნარების განვითარების ხერხი

ეს მოდელი მიმართულია შემოქმედებითი და, გარკვეულწილად, მენარმეობითი უნარების განვითარებაზე. ელექტრონული თამაშები აღიქმება, როგორც კარგი საშუალება მოსწავლეთათვის, დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად შეიძინონ კვლევის, პასუხისმგებლობის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის უნარ-ჩვევები. ეს მიდგომა განსაკუთრებით პოპულარულია გაერთიანებულ სამეფოში.

მომავალი მოქალაქეების ვირტუალურ სამყაროებში გათვითცნობიერების საშუალება

ეს მიდგომა ელექტრონულ თამაშებს მედია განათლებასთან აკავშირებს. მისი მიზანია, გააცნოს მოსწავლეებს სხვადასხვა თამაშში და შეადაროს შემოქმედებითი გამოხატვის საშუალებები. ამ მოდელით, თამაშში წარმოადგენს ერთგვარ ხიდს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლებისკენ, ანუ ასრულებს კატალიზატორის როლს ტრადიციული საგნებისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებაში. ეს მიდგომა გავრცელებულია დანიასა და ნიდერლანდებში.

თამაშების გამოყენების პედაგოგიური ჩარჩოები

ევროპული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მასწავლებლების მიერ ელექ-



ტრონული თამაშები საგულდაგულად შეირჩევა, მათი დიდაქტიკური ღირებულებებიდან გამომდინარე. უპირატესობა, ასევე, ენიჭება იმ თამაშებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან, მოახდინონ მოსწავლეთა დიფერენცირება და თითოეული მათგანისათვის სწავლების ინდივიდუალური ხერხი და ტემპი გამოიყენონ.

დიდი ყურადღება ეთმობა თამაშის გამოყენების პირობებს. ზოგჯერ თამაშში მთელი კლასი მონაწილეობს, ორ ან მეტ გუნდად დაყოფილი; ზოგჯერ გუნდი სხვა კლასის ან სკოლის გუნდს ეთამაშება. შესაძლებელია თამაშის ინდივიდუალურ რეჟიმში განხორციელებაც. ნებისმიერ შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა აქვს თამაშის შემდგომ დისკუსიას, რომლის დროსაც ხდება გამოყენებული სტრატეგიებისა და შექმნილი სირთულეების დაძლევის გზების განხილვა. მოსწავლეებს თამაშებში ისიც მოსწონთ, რომ არსებობს უშუალო უკუკავშირი მიღებულ შედეგსა და გამოყენებულ სტრატეგიასა თუ გაკეთებულ არჩევანს შორის, რაც საშუალებას აძლევს მათ, მყისიერად დაინახონ თავიანთი სისუსტეები და მასწავლების დახმარებით ჩამოაყალიბონ მათი დაძლევის გზები.

მოსწავლეთა გაზრდილი მოტივაცია

კომპიუტერული თამაშების საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრაციის შედეგად, საგრძნობლად იზრდება მოსწავლეთა მოტივაციაც. თამაშები აკავშირებს მათ ყოველდღიურ რეალობას სასკოლო გარემოსთან.

ასევე მოსწავლეებს მოსწონთ „სათამაშო“ ელემენტი და აქტიური შემეცნება „მოთამაშის“ როლში, განსაკუთრებით, კონკრეტული სათამაშო ამოცანის გადანწყვების პროცესში.

საკლასო თამაშებით იზრდება მოსწავლეთა თავდაჯერებულობაც. თამაშებში უფრო გამოცდილ მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, დაეხმარონ თანატოლებს. ზოგადად, კარგად გააზრებული სათამაშო ატმოსფერო ხსნის სწავლასთან და შეცდომებთან დაკავშირებულ დრამატულ მომენტებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეების ჩართულობის გასაზრდელად.

თამაშების შედეგად ხდება ზოგიერთი უნარ-ჩვევის საგრძნობი გაუმჯობესება, კერძოდ, სოციალური, ინტელექტუალური, სივრცით-რიტმული. თუმცა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი თამაშების უშუალო გავლენა კონკრეტულ საგანთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების განვითარებაზე.

თამაშების ურთიერთქმედება ტრადიციულ პედაგოგიკასთან

ევროპული გამოცდილების მიხედვით, ხშირად კლასში თამაშის გამოყენებას წინ უსწრებს გარკვეული შემზადება. მაგალითად, რომელიმე ისტორიულ პიროვნებასთან დაკავშირებული თამაშების დაწყებამდე კლასი კითხულობს ლიტერატურას ან დოკუმენტურ მასალებს შესაბამის პერიოდსა და ამ პიროვნებაზე. თამაშის მოლოდინი უჩვეულოდ აძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციას და ნაკითხულისადმი ინტერესს. ზოგჯერ ნაკითხული მასალა გამოიყენება თამაშის ახალი სცენარების, მოქმედი პირობების ან სპეციფიკური პირობების შესაქმნელად. თამაშისა და ტრადიციული სწავლების მეთოდების შეჯერება ხელს უწყობს შესწავლილი მასალის განმტკიცებასა და უკეთ დამახსოვრებას.

თამაშის შემდეგ მოსწავლეები ერთუზიანობით გამოხატავენ ხოლმე საკუთარ შთაბეჭდილებებს ტექსტებით, დღიურებით, ნახატებითა თუ ფოტოებით. ისინი ბუნებრივად არიან მოტივირებულნი იურთიერთონ და თამაშის ორბიტაში ჩართონ უფრო ფართო აუდიტორია.

ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილება

მასწავლებლები, რომლებიც აქტიურად იყენებენ თამაშებს საგაკვეთილო პროცესში, ხშირად უზიარებენ გამოცდილებას ერთმანეთს და, ასევე, ამ საკითხში ნაკლებად გამოცდილ კოლეგებს. ასეთი ინტერაქცია, მეტწილად, ინტერნეტის საშუალებით ხდება. პრაქტიკოსების ასეთი თანამშრომლობითი სოციალური ქსელი იმთავითვე ყალიბდება, როცა რაიმე ცენტრალიზებული პროექტის ფარგლებში გარკვეული თამაშის ადაპტირება ან ტესტირება იგეგმება. თავდაპირველად, თამაშის დიზაინში მასწავლებელთა მცირე ჯგუფი მონაწილეობს, შემდგომ ერთვება ტექნიკური ჯგუფი; მომდევნო ეტაპზე მასწავლებელთა უფრო დიდი ჯგუფი ახდენს თამაშის პილოტირებას საკუთარ კლასებში. მათი შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ხდება თამაშის საბოლოო გამართვა და ფართო სასკოლო ქსელში გაშვება. ასეთი მოდელი ხელს უწყობს მასწავლებელთა ურთიერთობის გაღრმავებას ისტმენეჯერებთან, ბიბლიოთეკარებთან და კოლეგებთან. არც თუ იშვიათად, ელექტრონული თამაშების შესახებ ინფორმაცია გადაეცემა მშობლებსაც.

მასწავლებელთა შეხედულებები

რა არის მასწავლებელთა მოლოდინი სკოლაში ელექტრონული თამაშების გამოყენებასთან დაკავშირებით? ევროპელი მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ „იდეალური“ თამაში უნდა შეიცავდეს ღირებულ შინაარსსა და ინფორმაციას, იყოს ადვილად გასაგები, საგაკვეთილო საჭიროებებზე მორგებადი და გამოყენებადი, ასევე, დიდაქტიკურად კარგად სტრუქტურირებული.

მასწავლებელთა გამოცდილება ცხადჰყოფს, რომ მშობლიური და უცხო ენები ყველაზე ხშირად მოიხსენიება იმ საგნებში, სადაც ელექტრონული თამაშები წარმატებულად გამოიყენება. თამაშები, ასევე, ავითარებს ჯგუფური მუშაობის უნარებსა და ინტელექტს.

მასწავლებელთა ტიპური პრობლემები, ელექტრონული თამაშების გამოყენებასთან დაკავშირებით, ეხება სილაბუსთან თავსებადობას, სწავლების დროის ორგანიზებასა და კომპიუტერების ნაკლებობას. ასევე, თამაშების შექმნა-ლიცენზირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, შესაბამისი ტრენინგისა და მხარდაჭერის ნაკლებობას, შესაძლო ნეგატიურ გავლენებს და სხვ.

ქართული პერსპექტივა

საქართველოს სკოლების კომპიუტერიზაციის პირობებში, ელექტრონულ სასწავლო რესურსებთან ერთად, რომლებიც უკვე ხელმისაწვდომია (გეოგებრა, ქიმიის ვირტუალური ლაბორატორია, ფიზიკის ლაბორატორია, <http://soft.dlf.ge>), გარკვეულ ეტაპზე შესაძლებელი გახდება რამდენიმე საცდელი თამაშის საპილოტე რეჟიმში განხორციელება, წარმატებულ უცხოურ ან ქართულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. შესაბამისი ინიციატივის არსებობის შემთხვევაში, უცხოური ენების შესასწავლი ასეთი თამაშების შექმნა და ადაპტირება ნაკლებ სირთულეებთან არის დაკავშირებული. იმისათვის, რომ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში თამაშების გამოყენებას ხელი შეეწყოს, ასევე, მიზანშეწონილი იქნებოდა, არსებული ქართული შეთავაზებების შესწავლაც და დაწყებული პროექტების ან ახალი ინიციატივების ხელშეწყობაც, მათ შორის, ერთუზიანსტი მასწავლებლებისა და პროგრამისტების მიერ ექსპერიმენტული სათამაშო პროექტების განხორციელება.





მოსწავლეთა თვითგანვითარება - წარმატებული სკოლის მთავარი კომპონენტი

„საქართველოში, ამ მოკლე დროში, ბევრი რამ გაკეთდა განათლების სფეროში: განათლების შესახებ კანონის მიღება, ეროვნული გეგმების, საგამოცდო სისტემის ჩამოყალიბება, ახალი სახელმძღვანელოების შექმნა, სამეურვეო საბჭოების ფორმირება, დირექტორების არჩევა, ინფრასტრუქტურის გამართვა, პედაგოგთა მომზადება სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის და ა.შ. ამდენი ინოვაციისა და სიახლის დანერგვა რთულია. მე ყველა საგანმანათლებლო სისტემას არ ვიცნობ, მაგრამ რაც შეეხება თქვენს ეროვნულ სასწავლო გეგმას, გამიჭირდება უკეთესი მაგალითის მოყვანა. ვფიქრობ, თქვენ იქნებით საუკეთესო მაგალითი სხვა ქვეყნებისთვის“.

თქვენ საქართველოს დიდი მეგობარი ბრძანდებით და საინტერესო თანამშრომლობა გაკავშირებთ გორის რაიონის სკოლებთან. მოგვიყევით თქვენი ამჟამინდელი ვიზიტის შესახებ.

პირველად საქართველოში 2004 წელს ჩამოვედი. ბოლო 5 წლის განმავლობაში ეს ჩემი მეათე ვიზიტია. ხუთი წელია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის, „ირმის ნახტომის“ კონსულტანტად ვმუშაობ. ჩემი მშობლებისგან ძალიან ბევრი მსმენია საქართველოს შესახებ. მათ არაერთხელ უმოგზაურიათ თქვენს ქვეყანაში. რაც შეეხება გორის მე-7 საჯარო სკოლისა და ესტონეთის, კოლგის სკოლის თანამშრომლობას, ეს ესტონელი მოსწავლეების დამსახურება უფროა, ვიდრე ჩემი. იდეა მათ ომის შემდეგ გაუჩნდათ და მის განსახორციელებლად სკოლის დირექტორს მიმართეს. მან კი, როგორც საქართველოს მეგობარს, მთხოვა, რომელიმე დაზარალებულ სკოლასთან დაკავშირებაში დავხმარებოდი. ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ მოსწავლეები ძალიან მოტივირებული იყვნენ. მათ სურდათ, მნიშვნელოვანი და კეთილი საქმე გაეკეთებინათ, მოქალაქეობრივი პოზიცია გამოეხატათ. ბავშვებმა თავად შეაგროვეს თანხა საქველმოქმედო აქციებით, დაბეჭდეს კალენდრები საქართველოს ბუნებისა და არქიტექტურის ამსახველი ფოტოებით, რომლებიც სოფლის ხალხმრავალ ადგილებ-

სა და მაღაზიებში გაყიდეს. ასევე, შემონირობებისათვის ყულაბები დაკიდეს სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში.

პირველი, რაც ერთობლივად გავაკეთეთ, გორელ თანატოლებთან skype-ის მეშვეობით მონყობილი ონლაინ-კონფერენცია იყო. მასში XI და XII კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ და დიალოგი მეტად საინტერესოდ წარიმართა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეებმა ყველასგან დიდი მხარდაჭერა მიიღეს. ესტონეთში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, განსაკუთრებული თანადგომა იყო საქართველოს მიმართ. ძნელია, გადმოგვცეთ ის ემოცია, რაც ესტონელ ხალხს ჰქონდა იმ დროს. იმასაც ვფიქრობდით, რომ შეიძლებოდა ჩვენ ვყოფილიყავით შემდეგი...

თავდაპირველად, 3 ესტონელი მოსწავლე ჩამოვიდა თქვენს ქვეყანაში, თუმცა ჩამოსვლის სურვილი ყველა მოსწავლეს ჰქონდა. ამიტომ, ნოემბრის ვიზიტის შემდეგ, ბავშვებმა დაწერეს პროექტი, რომელიც „ღია საზოგადოება – ესტონეთს“ იმდენად მოეწონა, რომ წლის პროექტად დაასახელა, როგორც მოქალაქეობრივი თანადგომისა და დიპლომატიის საუკეთესო მაგალითი. ამ გრანტის საშუალებით, აპრილში, 8 გორელ მოსწავლესა და მათ მასწავლებელს ვუმასპინძლეთ ესტონეთში.



შურნალ „მასწავლებლის“ სტუმარია ტალინის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი, **მარტ ლამაქარა**



იმის მიუხედავად, რომ ქართველმა ექსპერტებმა ჩვენი რჩევები და გამოცდილება გამოიყენეს თამამად შემიძლია ვთქვა: ეს არის სუფთა ქართული, სრულიად ახლებური კურსი. ახლა საჭიროა, ეს ყველაფერი გაგრძელდეს და არ შეჩერდეს.



ჩემი და ესტონელი მოსწავლეების ამჟამინდელი ვიზიტი სკოლებში არსებულ თვითმმართველობებსა და მათ პრობლემებს უკავშირდება. ჩვენთანაც და თქვენთანაც ბევრი რამ არის ამ კუთხით გასაკეთებელი. ჩვენი საზოგადოებები ხომ ახლა იწყებენ დემოკრატიული ფასეულობებით ცხოვრებას.

რამდენად მნიშვნელოვანია სკოლის განვითარებისთვის მოსწავლეთა თვითმმართველობა და რა ინიციატივები გაქვთ ამ მიმართულებით?

თვითმმართველობა თანამედროვე, წარმატებული სკოლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ჩვენ ხომ დემოკრატიულ საზოგადოებასა და სახელმწიფოს ვაშენებთ: ვინც წარმატებით შეძლებს სკოლების თვითმმართველობებში მუშაობას, მომავალში ის აუცილებლად წარმატებული ლიდერი იქნება. თუ, სკოლაში სწავლისას, მოსწავლეები პოზიტიურ ემოციებს ვერ მიიღებენ, ისინი ვერ ჩამოყალიბდებიან კარგ პოლიტიკოსებად, ეკონომისტებად, ბიზნესმენებად და ა.შ.

გორის სკოლებში სემინარები და შეხვედრები გავმართეთ. მათ სტუდენტური თვითმმართველობების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. განვიხილეთ კონკრეტული პრობლემები და მათი დაძლევის გზები, მაგალითად: როგორ ჩავატაროთ ნამდვილი დემოკრატიული არჩევნები თვითმმართველობებში, როგორ ჩამოვყალიბოთ ეფექტური სტრუქტურა და როგორ გავწეროთ ფუნქციები, ასევე, როგორ შეიძლება ინიციატივების ორგანიზება და ფინანსების მოძიება.

სკოლებში პედაგოგები, კლასის დამრიგებლები ან დირექციის წარმომადგენლები საკუთარ თავზე იღებენ ყველა ინიციატივას, რაც გაუმართლებელია. ამ შემთხვევაში, მოსწავლეებს არ ვაძლევთ საშუალებას, თავად დაგვემონ და განახორციელონ თუნდაც არასწორი აქტივობა. ცხოვრებისეული გამოცდილებისთვის შევცდომებიც ხომ აუცილებელი რამაა. მათ ინიციატივის გამოჩენის

სურვილი არ უნდა დაკარგონ, ენერჯია, ემოციები, ენთუზიაზმი სხვა მხრივ არ უნდა მიმართონ – მათ ცხოვრებაზე ეს დადებითად არ აისახება.

ქართულ თუ ესტონურ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი წარმოდგენები არსებობს სკოლის ცხოვრებაში მოსწავლეთა მონაწილეობაზე. ჩვენთან ჯერ კიდევ არ არის ისეთი სახის დემოკრატიული კულტურა, რომ მოსწავლეებმა თავისუფლად შეძლონ სკოლის სამეურვეო საბჭოებში მუშაობა, არადა, მათ გარეშე სკოლის საქმიანობა და მიზნები არ უნდა განისაზღვროს. ასევე, მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სკოლის ბიუჯეტის განაწილებაში. ერთიკაა, აუცილებლად გადასახედიია მიდგომა. როგორ მოსწავლეებს ვირჩევთ სამეურვეო საბჭოში? რატომღაც, უმრავლეს შემთხვევაში, ეს მოსწავლეები ნაკლებად გამოირჩევიან აქტიურობით.

თქვენ გაეცანით მასწავლებელთა საგანმანათლებლო ტრენინგ-პროგრამას – „ისტ-ის გამოყენება სასწავლო პროცესში“. როგორ შეაფასებდით ამ მიმართულებით საქართველოში ჩატარებულ საქმიანობას?

ეს იმ საქმიანობას განეკუთვნება, რომელიც ყველაზე მეტად რთული მეჩვენება. შეიძლება ყველა სკოლას აჩუქო კომპიუტერი, მაგრამ პედაგოგთა მომზადება და გადამზადება ძალიან ძნელი და დროში განელი პროცესია.

თქვენთან უკვე რამდენიმე წელია, მოსამზადებელი საქმიანობა მიმდინარეობს. ძალიან თანამედროვე და საინტერესო კურსი გაქვთ, რომელიც მართლაც სამაგალითოა ბევრი დასავლური ქვეყნისთვისაც. იმის მიუხედავად, რომ ქართველმა ექსპერტებმა ჩვენი რჩევები და გამოცდილება გამოიყენეს, თამამად შემიძლია ვთქვა: ეს არის სუფთა ქართული, სრულიად ახლებური კურსი. ახლა საჭიროა, ეს ყველაფერი გაგრძელდეს და არ შეჩერდეს. აუცილებელია, აღნიშნული კურსი ყველა პედაგოგმა გაიაროს. ესტონეთში ამ სტრატეგიამ გაამართლა.

რეფორმების მიმდინარეობისას, ჩვენ დროში შეზღუდულები არ ვიყავით, თქვენ კი ერთდროულად გინევთ ყველაფრის კეთება: სკოლების ინტერნეტიზაცია, ტრენინგები ისტ პროგრამებში, სილაბუსებისა და საგაკვეთილო გეგმების შემუშავება ამ მიმართულებით და ა.შ.


საქართველოში, ამ მოკლე დროში, ბევრი რამ გაკეთდა განათლების სფეროში: განათლების შესახებ კანონის მიღება, ეროვნული გეგმების, საგამოცდო სისტემის ჩამოყალიბება, ახალი სახელმძღვანელოების შექმნა, სამეურვეო საბჭოების ფორმირება, დირექტორების არჩევა, ინფრასტრუქტურის გამართვა, პედაგოგთა მომზადება სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის და ა.შ. ამდენი ინოვაციისა და სიახლის დანერგვა რთულია. მე ყველა საგანმანათლებლო სისტემას არ ვიცნობ, მაგრამ რაც შეეხება თქვენს ეროვნულ სასწავლო გეგმას, გამიჭირდება უკეთესი მაგალითის მოყვანა. ვფიქრობ, თქვენ იქნებით საუკეთესო მაგალითი სხვა ქვეყნებისთვის.

დარწმუნებული ვარ, მალე სკოლებში სრულიად შეიცვლება ის გარემო, რომელიც ნორმალურად ითვლებოდა ბოლო 150 წლის განმავლობაში. შეიცვლება დაფინანსების წესი, სკოლების არქიტექტურა, სასკოლო სივრცე და სასწავლო მიდგომები. რამდენიმე ქვეყანა, ამ მხრივ, უკვე ძალიან მნიშვნელოვან ექსპერიმენტებს ახორციელებს.

დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის და, ბოლოს, რას ეტყობით და უსურვებდით ჩვენს მასწავლებლებს?

საქართველოს მასწავლებლებს მინდა, ვუსურვო, რომ დიდხანს გაჰყვეთ ის ენთუზიაზმი და საკუთარი პროფესიის სიყვარული, რომელსაც მათში ვხედავ. ჩვენ ხომ ჩვენი პროფესია მხოლოდ იმიტომ არ გვიყვარს, რომ ამაში ხელფასს ვიღებთ. ეს საქმე უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს. ალბათ ასეთმა დამოკიდებულებამ და შემართებამ გადაგატანინათ ის უმძიმესი წლები.





წიგნის წაკითხვას რა უნდა

კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა და ქართული პარადოქსები

ალექო ცხიტიშვილი

კითხვა სიამოვნებააო, ამბობდა ლიტერატურის ცნობილი თეორეტიკოსი, როლან ბარტი. მართლაც, როგორ შეიძლება, კარგი წიგნის კითხვა უსიამოვნო გრძნობებს ინვესტირებდეს. თუმცა საქართველო პარადოქსების ქვეყანაა. ჩვენი რესპონდენტი, თბილისის მე-12 კლასის მოსწავლე ამბობს, რომ მისი თანაკლასელების, დაახლოებით, 25%-სთვის კითხვა სასჯელია. ისინი სასწავლო პროგრამაში შეტანილ კლასიკოსებს მხოლოდ მასწავლებლის დავალებით, ან მშობლების მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ კითხულობენ.

„ძალდატანებითი კითხვის“ საიდუმლო ადვილი ამოსახსნელია. მე-12 კლასის შემდეგ საერთო ეროვნული გამოცდების დრო დგება, როცა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოებების ცოდნას

მოითხოვენ. მშობლებს სურთ, რომ შვილებმა გამოცდები კარგად ჩააბარონ და უმაღლესი განათლების გარეშე არ დარჩნენ. ამიტომ, წიგნის ძალდატანებითი კითხვის იმპულსები, ძირითადად, მათგან მოდის.

„საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერ არ ტარდება სოციოლოგიური გამოკითხვები ან კვლევები, რომლებიც მხატვრული ლიტერატურის კითხვის მაჩვენებლები გაირკვეოდა. ამ ტიპის სამუშაო გარკვეული ფინანსური თუ ადამიანური რესურსების მობილიზებას უკავშირდება და ეს რესურსები ჩვენთან უფრო მწვავე სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებზე იხარჯება. თუმცა დარწმუნებული ვარ, სწორედ ლიტერატურა და, ზოგადად, კულტურა არის გზა ამ პრობლემების გადასაჭრელად“, – ამბობს ილია ჭავჭავაძის უნივერ-



თუ ადამიანს აქვს ლიტერატურული ინტერესები და მინიმალური კომპიუტერული უნარ-ჩვევები, მოზარდი იქნება ეს, წიგნის მოყვარული, მასწავლებელი თუ ლიტერატურისმცოდნე, მისთვის უზომოდ იზრდება ლიტერატურული მასალის თუ ინფორმაციის წვდომის შესაძლებლობა. “

სიტეტის პროფესორი, ლიტერატურათმცოდნე, ბელა ნიფურია.

რაკი სოციოლოგიური კვლევა არ არსებობს, გადაწყვეტით, ისევ მონაწილეებისთვის, მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის გვეკითხა: რამდენად აქტიურად კითხულობენ ბავშვები არა მარტო სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ნაწარმოებებს, არამედ კლასგარეშე ლიტერატურას? ვინ ურჩევს მოზარდებს ამა თუ იმ წიგნის წაკითხვას და ვის არჩევანს ენდობიან ისინი? რომელი ნაწარმოებებია პოპულარული და რამდენად ხელმისაწვდომია წიგნები პატარა მკითხველებისთვის? ამ საკითხებზე ექსპერტების, გამომცემლობებისა და მარკეტოლოგების აზრიც შევაჯერეთ.

მე-12-კლასელი დაჩი მეურმიშვილი წიგნის შერჩევისას ყველაზე მეტად საკუთარ თავს ენდობა, შემდეგ კი იმ თანატოლების აზრს ითვალისწინებს, რომლებიც წიგნს სიამოვნებისთვის კითხულობენ. მეგობრები ერთმანეთს ხშირად უყვებიან პერსონაჟების თავგადასავალს, აზრთა გაცვლა-გამოცვლისას კი ახალი წიგნების

წაკითხვის სურვილიც ჩნდება. ცხადია, მასწავლებლისა და მშობლის რჩევასაც უწევს ანგარიშს, მაგრამ დაჩი წიგნებს მაინც საკუთარი გემოვნებით ირჩევს.

დაჩი მეურმიშვილი, თბილისის 47-ე სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე: „პროცენტულად რომ ვთქვათ, დაახლოებით, ასეთი სურათია: ჩემი თანაკლასელების 70% არაფერს კითხულობს. ისინი მარტო სპორტულ გაზეთს თუ გადაშლიან და ტოტალიზატორის „კუშებს“ დაითვლიან, ანდა, მაგალითად, ვიღაც ბიჭობს და შეიძლება გალაკტიონის რომელიმე ლექსი ისწავლოს ზეპირად. 25% სწავლობს, მაგრამ სახეზე აწერია, ოღონდ ამას ნუ წამაკითხებ და თუ გინდა, სილა გამაწვანო. წიგნებს ძალდატანებით კითხულობენ – მასწავლებლის დავალებით და მშობლების შიშით.

დაგვრჩა მხოლოდ 5% – ის ნაწილი, რომელიც კითხულობს საკუთარი სიამოვნებისთვის, ძირითადად, ისეთ წიგნებს, რაც მოდაშია: მარკესის „მარტოობის 100 წელიწადს“, პიუზოს „ნათლიას“, კოელიოს რომანებს და ა. შ. ცოტა არ იყოს, ამას სნობიზმის სუნი ასდის, მაგრამ ამ 5%-ში არიან ისეთებიც, ვინც დოსტოევსკის გადაშლის, ჰერმან ჰესეს წაიკითხავს, კარლოს კასტანედასა და სამეცნიერო ლიტერატურას შეეჭიდება“.

„გია ქარჩხაძის გამომცემლობამ“, „ბაზისბანკთან“ ერთად, საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებისთვის პრემია – „ოქროს ბუმბული“ დაანესა. ახალი ავტორების აღმოჩენასა და მათი ნაწარმოებების გამოქვეყნებაზე „დიოგენეც“ ზრუნავს. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ კი ბავშვების წიგნით დაინტერესებისთვის

საკუთარი მეთოდოლოგია შეიმუშავა და წამოიწყო პროექტი: „მე ვსწავლობ კითხვას“. „საინტერესო, მარტივი ტექსტები და სახალისო ილუსტრაციები ბავშვის ყურადღებას მიიპყრობს და „აიძულებს“ მას, მეტი წიგნი წაიკითხოს“, – ასეთია პროექტის ჩანაფიქრი. ამ სერიით გამოცემულ პატარა წიგნებზე მითითებულია, რომელ საფეხურს განეკუთვნება ისინი. პირველი საფეხურის წიგნებში ძალიან მარტივი საკითხავი ტექსტებია, რომლებიც იმ ბავშვებისთვის არის განკუთვნილი, კითხვას ახლა რომ სწავლობენ. II საფეხურზე ტექსტები უფრო რთულდება, III საფეხურზე კი ბავშვებს გაცილებით მოზრდილი ტექსტების კითხვა უწევთ.


ერთი სიტყვით, მოზარდების წიგნთან მიყვანას გამომცემლები აქტიურად ცდილობენ. სიმართლე რომ ითქვას, ეს მათ წისქვილზეც ასხამს წყალს და მსგავსი აქტიურობა არც უნდა გვიკვირდეს.

როგორი უნდა იყოს კლასგარეშე ლიტერატურის გაკვეთილი

ადრეულ ასაკში წიგნისადმი ინტერესის გაჩენასა და კითხვის ყოველდღიურ ჩვევად ჩამოყალიბებაში მთავარ როლს მაინც სკოლა და ოჯახი ასრულებს. როცა ბავშვი წიგნისადმი ინტერესს არ იჩენს, ამას მასწავლებელი ხშირად მშობელს აბრალებს, მშობელი კი პირიქით – მასწავლებელს. სინამდვილეში, მათ შორის პასუხისმგებლობა ალბათ თანაბრად ნაწილდება.

პოეტი მაია სარიშვილი, რომელიც ერთხანს ბაკურ სულაკაურის სკოლაში ლიტერატურას ასწავლიდა, მიიჩნევს, რომ უკეთესი იქნება, თუ მასწავლებელი მაქსიმალურად ნაახალისებს ბავშვების წიგნთან ურთიერთობას. ის გაუმართლებლად თვლის დანყებით კლასებში კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის შეტანას. მისი აზრით, უკეთესი იქნებოდა, თუ კლასგარეშე ლიტერატურის გაკვეთილს ბავშვები თავად ჩაატარებდნენ – შინიდან საყვარელ წიგნებს მოიტანდნენ და ერთმანეთს აზრებს გაუზიარებდნენ, პატარა წიგნებს კი იქვე წაიკითხვდნენ. ბავშვებს





მოსწონთ, როცა მათ აზრებს სხვა უსმენს, განსაკუთრებით – თუ მსმენელის როლში თვით მასწავლებელია.

ბელა წიფურიაც მიიჩნევს, რომ მსგავსი წამახალისებელი მეთოდი მართლაც ძალიან კარგია: „მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სწორედ ასე მუშაობენ ბავშვებთან. საქართველოშიც სწავლა-სწავლების პროცესის განახლებაზე ზრუნვა საკლასო გარემოში სწორედ ხალისის, ინდივიდუალური არჩევანის, შემეცნების, ესთეტიკური განცდის კომპონენტების შემოტანას გულისხმობს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, მასწავლებლის მონადინება გადამწყვეტია, რათა არც მისთვის და არც მოსწავლეებისთვის ეს ნაძალადევი პროცესი არ გახდეს. როგორც თქვენ ამბობთ, „ძალდატანებითი კითხვა“ მხოლოდ უარყოფით როლს ასრულებს და ეს სკოლამ და მასწავლებელმა ნათლად უნდა დაინახოს. მასწავლებლებისადმი რეკომენდაციები უხვად არის ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში, ახალ სახელმძღვანელოებში, სწავლების ახალ მეთოდოლოგიებში – ყველა იმ მასალაში, რომელიც პედაგოგს პროფესიულ განვითარებაში ეხმარება. თუმცა, მე მგონი, მთავარია, ამ სიახლეების ათვისება თავად მასწავლებლისთვის არ იყოს „ძალდატანებითი“ პროცესი“.

ბავშვების წახალისების მეთოდს ხშირად მიმართავს თბილისის 192-ე საჯარო სკოლის დანყებითი კლასების მასწავლებელი, ანა მიქაბერიძე. მას მიაჩნია, რომ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ნაწარ-

მოებების ათვისება, ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია: „სავალდებულო სასკოლო პროგრამა სპეციალისტების მიერ ათასჯერ შემოწმებული და აპრობირებულია. ე. წ. ძალდატანებითი კითხვა კი, დროის რალაც მონაკვეთში, შესაძლებელია, მოსწავლეს წიგნის კითხვის სასურველ ჩვევად გადაექცეს. მთავარია, როგორ მიუდგები პრობლემას: წიგნის კითხვის შეყვარების მზა რეცეპტი ხომ არ არსებობს. ყველა ბავშვი ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს“.


უფროსკლასელების დედა, ხათუნა ვადაჭკორია ამბობს, რომ მოზარდის წიგნით დაინტერესებისას გადამწყვეტ როლს მასწავლებელი ასრულებს. მისი აზრით, პედაგოგი შედეგვერ მიიღებს, თუ მექანიკურად, მხოლოდ სამსახურებრივი ვალდებულების გამო ატარებს გაკვეთილს და კლასგარეშე ღონისძიებებს არ მიმართავს: „ჩემი ბავშვები ერთხანს ლანჩხუთის რაიონის სკოლაში სწავლობდნენ. იქ უმცროსი ბიჭის კლასში დადგეს სპექტაკლი: „ათვინიერებენ მიმინოს“. ბავშვებმა გულდასმით წაიკითხეს ნაწარმოები, გაარჩიეს, როლებიც თვითონ გაინანილეს. ეს ყველაფერი ძალიან უხაროდათ. ლანჩხუთის სკოლაში ყოველ კვირა ეწყობოდა ვიქტორინები. სხვა სკოლის ბავშვებს ეჯობებოდნენ და, ამ მიზნით, ზოგჯერ სხვადასხვა სოფლის სკოლებსაც სტუმრობდნენ. ეს ბავშვებისთვის დიდი ზეიმი იყო. თბილისში რაც გადმოვიყვანეთ, ბავშვს საახალწლო ზეიმიც კი არ ჰქონია. ამიტომ, წიგნისკენაც აღარ იხედება“.

მშობლები ჩივიან, რომ მათი შვილი კომპიუტერმა „ჩაითრია“. თუმცა ოპტიმისტების აზრით, კომპიუტერის შესაძლებლობების სწორად გამოყენებით, დადებითი ეფექტის მიღება უფრო შეიძლება, ვიდრე უარყოფითის.

ბელა წიფურია: „კომპიუტერის მიერ წიგნის ჩანაცვლებაში თუ იმას ვიგულისხმებთ, რომ მოზარდი კომპიუტერული თამაშებით არის გართული და არა კითხვით, ეს მართლაც მასობრივი პრობლემაა. თუმცა ეს არა კომპიუტერის, ანუ მანქანის ბრალია, არამედ მისი, ვინც ამ მანქანას მოიხმარს. კომპიუტერი, როგორც კაცობრიობის ყველა სხვა ტექნოლოგიური მიღწევა, შეიძლება გამოიყენო კულტურული, ინტელექტუალური თუ საზოგადოებრივი განვითარებისათვის, ისევე, როგორც მის საპირისპიროდ. თუ ადამიანს აქვს ლიტერატურული ინტერესები და მინიმალური კომპიუტერული უნარ-ჩვევები, მოზარდი იქნება ეს, წიგნის მოყვარული, მასწავლებელი თუ ლიტერატურისმცოდნე, მისთვის უზომოდ იზრდება ლიტერატურული მასალის თუ ინფორმაციის წვდომის შესაძლებლობა.

ერთი რამ ცხადია: ნაკითხი, განათლებული ადამიანი ყოველთვის დაფასებული იყო და იქნება, რა პროფესიაც არ უნდა ჰქონდეს მას. ეს უბრალო ჭეშმარიტება კი მოზარდებამდე მშობლებმა და მასწავლებლებმა ერთად უნდა მიიტანონ.





მანანა იაშვილი



მოსწავლეები და მასწავლებლები, ასევე, მშობლები არასწორად აკავშირებენ ერთმანეთთან საგამოცდო პროგრამასა და ეროვნულ სასწავლო გეგმას. ეროვნული სასწავლო გეგმა უფრო მრავლისმომცველი დოკუმენტია, ვიდრე საგამოცდო პროგრამა, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმას არ უნდა სცდებოდეს.

მე-12 კლასის სახელმძღვანელო - „რთული წიგნი“ და სოფლის მაღალი სტანდარტი

მე-12 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო მოცემულ კლასში აღნიშნული საგნის ერთადერთი გრიფირებული სახელმძღვანელოა. მისი შემოღებისთანავე მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და ექსპერტებს შორის განსხვავებული მოსაზრებები გაჩნდა. პედაგოგები მუდმივად საუბრობენ იმის შესახებ, რომ ბავშვებს არ აქვთ მოტივაცია, ისწავლონ ამ სახელმძღვანელოთი. პრობლემებია ასევე მასწავლებელთა მომზადების კუთხითაც. გადაწყვეტით, გაგვერკვია: რა წარმოადგენს სირთულეს და როგორ შეიძლება მისი დაძლევა. ამისათვის მასწავლებლებს, მოსწავლეებს, სახელმძღვანელოს ავტორებს, შესაბამისი ცენტრების წარმომადგენლებს და თავად განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გავესაუბრეთ.

„ბავშვები ისედაც ძალიან დატვირთულნი არიან, ეროვნული გამოცდებისთვის ემზადებიან, ამ წიგნიდან კი გამოცდების პროგრამაში საკითხები არ არის შესული. როდესაც მასწავლებლებს წიგნები დაურიგეს, გვიან იყო და ჩვენც მოუშვადებლად მოგვიხდა კლასში შესვლა“, – მითხრა თბილისის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა, რომელიც სახელის გამხელას მოერიდა.

ლეილა ბერძენიშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: „სახელმძღვანელო 14 ლარი ღირს და რადგან გამოცდებზე ბავშვებს ამ საკითხებს არ სთხოვენ, მშობლებიც უფრო საჭირო წიგნებს ყიდულობენ. წელს ბავშვებს უკვე ვეღარ მოვთხოვე, ბულგაკოვი, სელინჯერი და სხვა კლასგარეშე ლიტერატურა მთლიანად წაეკითხათ. ძალიან დიდი დატვირთვა აქვთ და იღლებიან“.

საინტერესოა მოსწავლეების მოსაზრებაც. 50-ე საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე, **გიორგი ხაშბა** ამბობს, რომ 12-წლიანი სწავლება მოსწონს: „11 წელი რომ მესწავლა, გამოცდებისთვის მზად არ ვიქნებოდი. ჩვენი ქართულის მასწავლებელი საინტერესოდ იყენებს XII კლასის წიგნს. პარალელურად ვიმეორებთ და ესწავლობთ იმას, რაც უნდა ჩავაბაროთ“. იმავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლე-

ბელი, **ირმა ძონენიძე** კი გვიმხელს: „ჩვენ სხვა სახელმძღვანელოს ვიყენებთ, რადგან ბავშვები ამით ვერ სარგებლობენ. ისინი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებიან. დღეს ბავშვები მხოლოდ იმას სწავლობენ, რაც ჩასაბარებლად სჭირდებათ. კარგი იქნება, თუ ამ წიგნიდანაც შევა საკითხები საგამოცდო პროგრამაში. ისე წიგნსაც კი არ ყიდულობენ, არ გეჭირდებაო“.

მასწავლებლების უმრავლესობა, მოსწავლეებისა და მშობლების მოთხოვნის შესაბამისად, სწავლების პროცესში აღნიშნულ სახელმძღვანელოს არ იყენებს. 43-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, **ქეთევან ქავთარაძე** გვიამბობს: „ბავშვებს სურდათ, რომ IX კლასიდან მთლიანად გაგვემეორებინა ქართული ლიტერატურა და გრამატიკა. თუმცა ანდრეევის „ბენ-ტოვიტი“ და ჯემალ ქარჩხაძის „ლაჰათ-ლუხუმი“ მაინც გავიარეთ. ეს მათთვის საინტერესო იყო და ხანგრძლივი დისკუსია გვექონდა. სახელმძღვანელოში შესული ტექსტები ყველა განათლებულ ადამიანს უნდა ჰქონდეს წაკითხული, მაგრამ, ჩემი აზრით, წიგნი მაინც გადატვირთულია: არის საკითხები, რომლებიც ბავშვებს არ აინტერესებთ, მაგალითად, პუბლიცისტიკა, ესეები, წერილები. მათ მოთხრობები და რეალურ ცხოვრებასთან ლიტერატურული პარალელები უფრო იზიდავთ“.



სახელმძღვანელოების გრიფირებისა და, კონკრეტულად, XII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო შესახებ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ექსპერტს, **ნინო დობორჯგინიძეს** გავესაუბრეთ: „ჩვენ ყველა კლასისთვის შესაბამისი სტანდარტი გვაქვს. სანამ გრიფირებაზე განიხილება, ანუ საბოლოოდ დამტკიცდება, ყველა სახელმძღვანელო გადის პილოტირების პროცესს. ხანდახან სახელმძღვანელო სრული სახით შემოდის გრიფირებაზე და მერე გადის ტესტირებას. სკოლები, სადაც სახელმძღვანელოების პილოტირება ხდება, სხვადასხვა თვალსაზრისითაა შერჩეული. ასეთი პოლიტიკაა: ქალაქის სკოლა ამდენი % და სოფლის სკოლა ამდენი %. სკოლებს მოეწონათ ეს სახელმძღვანელო და შესაბამისი დასკვნაც გააკეთეს.“

ამ ნიგნის ღირსება სწორედ ის არის, რომ წარმოაჩინოს იმ ფასეულობებს, რომელიც ქართულ ლიტერატურას შეუქმნია და ამ ფასეულობების ადგილს მსოფლიო ლიტერატურაში ვფიქრობ, ეს ნიგნი მოსწავლეებისთვის იმდენად არ არის რთული, რამდენადაც მასწავლებლებისგან მეტ ძალისხმევასა და ოსტატობას მოითხოვს. ხშირად გვეკითხებიან: რატომ ამდენი თარგმანი? თარგმანი ენის ისეთივე ორგანული ნაწილია, როგორც ორიგინალური ლიტერატურა. ჩვენმა ავტორებმა კი უკვე გამოსცეს გზამკვლევი მასწავლებლებისთვის, რათა ისინი უცხო მასალებში ადვილად გაერკვნენ“.

ეროვნული გამოცდების ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ხელმძღვანელი, **კახა ჯამბურია** განმარტავს: „XII კლასის სახელმძღვანელოში შესულია სხვადასხვა ტიპის ტექსტები, რომელთა შესწავლა რამდენიმე მიზანს ემსახურება. ეს არის: კითხვის უნარის, ზეპირმეტყველების განვითარება; დისკუსიების ჩატარებისა და პრეზენტაციის წარმართვის უნარის ჩამოყალიბება. გვხვდება წერიტი დავალებებიც, ძალიან კარგი დავალებები ტექსტების შედარებისთვის. ეს ნიგნი სხვა მიზანს ემსახურება, ჩვენი გამოცდა კი სულ სხვა მიზანს ისახავს. ეროვნულ სასწავლო გეგმაში წერია, რომ მოსწავლემ გარკვეულ დონეს უნდა მიაღწიოს და მოცემულია რეკომენდებულ მწერალთა ჩამონათვალი – 70 ქართველი

მწერალი. იქ არ არის ჩამოთვლილი: ვუდი ალენი, მიხეილ ბულგაკოვი, ლევ ტოლსტოი, ჯიბრან ხალილ ჯიბრანი, ჰერმან ჰესე, ფრანც კაფკა, ჯერომ სელინჯერი და სხვანი და სხვანი. ეს ძალიან კარგი ტექსტებია და არ ვამბობთ, რომ ისინი ბავშვმა არ უნდა ნაიკითხოს. ჩვენ გვქვს მეორე, არჩევითი გამოცდა, სადაც მსოფლიო ლიტერატურის ტექსტებს ვიყენებთ. სავალდებულო გამოცდა კი, ლიტერატურული მასალის მეშვეობით, ქართული ენის ცოდნას, კითხვის უნარსა და აზროვნებას ამოწმებს.“

მასწავლებლები მოსწავლეებს გამოცდებისათვის ამზადებენ, საგამოცდო პროგრამაში კი არც ბელ კაუფმანის ლექსია შეტანილი და არც ვუდი ალენის მოთხრობა. ჩვენ შეგვიძლია, ათასი ნიგნი შევქმნათ, იმხელაა მსოფლიო ლიტერატურა, მაგრამ ეს ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო არ იქნება. საერთოდ, გამოცდა სახელმძღვანელოზე ზედმეტად დამოკიდებული არ არის. გამოცდაზე ეროვნული სასწავლო გეგმის ათვისება მოწმდება და არა ის, კონკრეტული სახელმძღვანელო როგორ არის ათვისებული. აი, უკვე წელს, მე-10 კლასში, ქართულში 6 ნიგნია. გაისად მე-11-შიც შეიძლება ამდენივე იყოს. მთელს ევროპაში ასეა: ზოგ საგანში 40-მდე სახელმძღვანელო აქვთ“.

რა მიზანი დაისახეს ნიგნის ავტორებმა და რატომ შეადგინეს ასეთი ტიპის სახელმძღვანელო? – ამის თაობაზე კომენტარი ნიგნის პირველი ნაწილის ერთ-ერთ ავტორს, **ნიკოლოზ ჩუბინიძეს** ვთხოვეთ: „როდესაც ამ ნიგნს ვქმნიდით, ბევრ მნიშვნელოვან ასპექტთან ერთად, გავითვალისწინეთ ის ფაქტიც, რომ ჩვენში ლიტერატურის სწავლების მიმართ ცალსახად იდეოლოგიზებული, სტერეოტიპული დამოკიდებულება იყო. შევეცადეთ, მხატვრული ლიტერატურის კითხვა და შესწავლა მოსწავლისათვის პიროვნული ფასეულობების ჩამოყალიბების, ესთეტიკური სიამოვნების მიღებისა და თვითშემეცნების წყაროდ ქცეულიყო. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტექსტები – ქართულიც და უცხოურიც, ასევე, დავალებები და სავარჯიშოები სწორედ ამ აზრით შევარჩიეთ.“

უკვე ერთი წელი გავიდა სახელმძღვანელოს გამოქვეყნებიდან და

კვლავ ისმის, რბილად რომ ვთქვათ, რამდენიმე უხერხული და რიტორიკული შეკითხვა. კერძოდ: რატომ უნდა ვასწავლოთ ბავშვებს სელინჯერი, ჰემინგუეი და ტოლსტოი იმ სახელმძღვანელოთი, რომელსაც ქართული ჰქვია? საზღარგარეთის ლიტერატურას ვასწავლით თუ ეროვნულს? ამ კითხვების პასუხი ამომწურავად და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის წინათქმაში.

ჩვენც შეიძლება გავიმეოროთ და დავსვათ „პრაგმატული“ და რეალური შეკითხვები, კერძოდ: რატომ არ არის შეტანილი საგამოცდო პროგრამაში არც ერთი ქართველი ავტორის არც ერთი ქართული ტექსტი XII კლასის სახელმძღვანელოდან? კიდევ უფრო რომ დავაკონკრეტოთ: რატომ არ არის წარმოდგენილი საგამოცდო პროგრამაში იმ ქართველ ავტორთა თუნდაც ერთი პატარა ტექსტი, რომლებიც რეკომენდებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ (მაგ. „თავსაფრიანი დედაკაცი“, „რაჭათ-ლუხუმი“, „რამ შემქმნა ადამიანად“, „მოგონება“, „მესაფლავე“, „ევა“, „მედეა“ და მრავალი სხვა.) სამწუხაროდ, ამ კითხვებზე გულწრფელი პასუხები არ მოგვისმენია და, გულახდილად რომ გითხრათ, კარგი იქნება, თუ კი ამ სრულიად ალოგიკური საკითხის მოგვარებას არც ნიგნის, არც ჩვენი სკოლის და, რაც მთავარია, ჩვენი მოსწავლეების ინტერესები არ შეეწირება.

ვთვლით, რომ ეს ნიგნი ჩვენი საგანმანათლებლო სივრცისათვის ახალი ტიპის სახელმძღვანელოა. სწორედ ამიტომ პედაგოგთა და ლიტერატორთა მხრიდან მის შესახებ ჯანსაღი და საქმიანი მსჯელობა იმის საფუძველს შექმნის, რომ მომავალში ჩვენც და სხვა ავტორებიც XII კლასელთათვის უკეთეს სახელმძღვანელოებს შევადგენთ“.

XII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის ავტორი, **თამაზ ვასაძე** ამბობს, რომ XII კლასში უკვე მონიფული ადამიანები სწავლობენ და აქცენტიც ცოდნის მაღალ სტანდარტზე კეთდება. მისთვის გაუგებარია, რატომ არ აისახა საგამოცდო ტესტებში ამ სახელმძღვანელოს მასალები: „ნიგნში ორი ხაზია: ერთი ქართული ლიტერატურის კლასიკურ ხაზს წარმოადგენს, ხოლო მეორე

სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს. ნიგნი ცოტადიდი გამოვიდა. შეიძლება უფრო კომპაქტური სჯობდა, მაგრამ ეს ხომ პროცესია: შემდეგ ეტაპზე გავაუმჯობესებთ. სელინჯერსა და ჰემინგუეის რომ თავი დავანებოთ, საგამოცდო პროგრამაში ქართული ლიტერატურის ნიმუშები მაინც უნდა ასახულიყო. თარგმანის გამოყენებაც შეიძლება უცხო ტექსტის ანალიზის დროს. ქართული ლიტერატურის ნაწილში ისეთი ნიმუშებია, რომლებსაც გვერდი არ უნდა აფუაროთ, მაგალითად, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, რევაზ ჭყიშვილის მოთხრობები, ბესიკ ხარანაულის ლექსები და ა.შ.

დღეს, კომპიუტერისა და ტელევიზორის ეპოქაში, მასწავლებლისთვის დიდი პრობლემაა: როგორ შეაყვაროს მოსწავლეს კითხვა? ბავშვმა უნდა დაინახოს, რომ რასაც კითხულობს, თავად მას ეხება. საკუთარი პრობლემები, ტკივილი, სიხარული თუ არ აღმოაჩინა წიგნში, არაფერი გამოვა. ეს ერთად უნდა ვცადოთ ავტორებმა და პედაგოგებმა. შეადარეთ გასული საუკუნის 80-90-იანი წლების სწავლება დღევანდელს. ქართული ლიტერატურის სწავლების შინაარსი და ფორმები, მიდგომის კუთხეები მკვეთრად შეიცვალა. სირთულეებიც სწორედ ამან გამოიწვია. მე, როგორც ავტორმა, რაც შემეძლო, გავაკეთე: წიგნს დავურთეთ პატარა კრებული – „მასწავლებლის მეგზური“, სადაც ყველა ძირითად ნაწარმოებზე ჩემი უფრო ხედავ და კომენტარები ვადმოვეცი. ასევე, მოვამზადე ორტომეული – „ქართული კრიტიკის სასკოლო ქრესტომათია“. ეს მასწავლებლების დამხმარე სახელმძღვანელოა, მაგრამ მისი უფრო ფართოდ გამოყენებაც შეიძლება.

სტანდარტში, რომელიც ძალიან მომწონს, როგორც კვალიფიციური ნამუშევარი, ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რამაც ადამიანი მკითხველად უნდა აქციოს, რამაც მას მხატვრული ლიტერატურის ადეკვატურად აღქმა, გააზრება, შეფასება უნდა ასწავლოს. სტანდარტის ასეთ მოთხოვნას ბუნებრივად მოერგო თემატური პრინციპი. ეს პრინციპი სხვადასხვა ეპოქის პერსონაჟებსა და მწერლებს შორის კავში-

რებს აცოცხლებს, რაც სტიქიურად არ ხდება – ყველაფერი გააზრებულია. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს, ძველი ქართული ლიტერატურა, რომელიც შორეული და ძნელად აღსაქმელია ახალგაზრდისათვის, ახალ რეალობას მოვარგოთ.

ქართული ლიტერატურა ერთი მთლიანობაა, სადაც განსხვავებული თემატური ხაზები ერთმანეთს კვეთს. ამ ხაზებს შეუძლია, დიდი სააზროვნო ბიძგი მისცეს მოსწავლეებს. ვთქვათ, წინა წელს რაღაც ისწავლეს, მეორე წელს მას სხვა კონტექსტში ახსენებ. ეს კავშირები მუდმივად ცოცხლდება და ბავშვს არ ავიწყდება. როცა სულ ვსწავლობთ, ნასწავლს ვუბრუნდებით, ახალ აქცენტებს ვეძებთ, ლიტერატურის მთლიანობას სხვადასხვა კუთხით ვუკირკიტებთ, მაშინ შორეულიც ახლოვდება და ცოცხლდება.

ამ სახელმძღვანელოს შედგენისას, ჩემი პრიორიტეტები მქონდა: მინდოდა, ბავშვებს თავისუფლების მუხტი ეგრძნოთ, პასუხისმგებლები ყოფილიყვნენ თავისი ქვეყნისა და სხვა ადამიანების წინაშე. ამავე დროს, ისიც მნიშვნელოვანია, თანამედროვე სამყაროში ქართველებმა ისეთი ფასეულობები შევითვისოთ, რომლებიც ადაპტირებას შეგვადლებინებს. ამიტომ ვაკეთებ აქცენტს შრომისმოყვარეობაზე, გონიერებაზე, სამყაროს ფხიზელ და კრიტიკულ აღქმაზე, თვითშეფასებასა და თვითრეალიზაციაზე“.


აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, თავისი მოსაზრება გაგვიზიარა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **ნიკა გვარამია**: „პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ სახელმძღვანელოს ხარისხის შესახებ კომენტარი, ჩემი მხრიდან, არასწორი იქნებოდა. ეს სახელმძღვანელო გრიფირებულია და მის ხარისხზე სკოლამ უნდა იმსჯელოს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ის ერთადერთი, უალტერნატივო სახელმძღვანელო იყო, რაც, თავისთავად, კარგი არ არის. გრიფირების პროცედურის მთელი პოზიტივი ისაა, რომ კონკურენტული სახელმძღვანელოები გვაქვს და სკოლას საუკეთესოს შერჩევა შეუძლია. არ გამოერიცხავ, რომ მისი სწავლებისას გამოვლენილი სირთულეები ამის ბრალი იყოს. როგორც კი იქნება

არჩევანის შესაძლებლობა, ბუნებრივია, ისეთი სახელმძღვანელოებიც გვექნება, რომლებიც რიგ სკოლებს უფრო მოეწონებათ.

რაც შეეხება ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგამოცდო პროგრამის ურთიერთმიმართების საკითხს, სახელმძღვანელო ეროვნულ სასწავლო გეგმას უნდა შეესაბამებოდეს. სხვაგვარად მას არც მიენიჭება გრიფი. ეს სახელმძღვანელო სკოლაში სწავლებისთვისაა განკუთვნილი და, შესაბამისად, მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას განაპირობებს. სამწუხაროდ, მოსწავლეები და მასწავლებლები, ასევე, მშობლები არასწორად აკავშირებენ ერთმანეთთან საგამოცდო პროგრამასა და ეროვნულ სასწავლო გეგმას. ეროვნული სასწავლო გეგმა უფრო მრავლისმომცველი დოკუმენტია, ვიდრე საგამოცდო პროგრამა, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმას არ უნდა სცდებოდეს. შესაბამისად, საგამოცდო პროგრამა შეიძლება მოიცავდეს გაცილებით ნაკლებ ავტორს და ეს ბუნებრივია. მთავარია, შევამოწმოთ ინდიკატორები და სტანდარტები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია მოცემული.

მიუხედავად ამისა, რადგან პრობლემა გვაქვს, ვალდებული ვართ, არსებულ რეალობას ანგარიში გავუწიოთ. წელს, ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, ერთობლივი განხილვა პირველად მოენყო. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და ეროვნული გამოცდების ცენტრების, რესურს-ცენტრების წარმომადგენლებთან, რამდენიმე სკოლის დირექტორთან (არა მხოლოდ თბილისიდან), საქართველოს პარლამენტის წევრებთან ერთად, ეროვნული გამოცდებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისობა განვიხილეთ. საგამოცდო პროგრამაში ვერ მოხვდება ვერც ერთი ნაწარმოები, რომელიც რომელიმე სახელმძღვანელოში არ არის მოცემული. ძირითადად, საუბარია მე-9-12 კლასების სახელმძღვანელოებზე. გარდა ამისა, ჩემი შენიშვნა იყო, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო პროგრამაში მნიშვნელოვნად ასახულიყო მე-12 კლასის ქართულის სახელმძღვანელო, რაც განხორციელდა კიდევ“.





განათლება, თანამედროვე მუზეუმის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი

ჟურნალ მასწავლებლის სტუმარია საქართველოს
ეროვნული მუზეუმის დირექტორი, დავით ლორთქიფანიძე

თამარ ფხაკაძე

ბატონო დავით, გვიამბეთ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დაფუძნების, მასში გაერთიანებული, აგრეთვე მისი პარტნიორი და დონორი ორგანიზაციების შესახებ.

– საქართველოს ეროვნული მუზეუმი, დღევანდელი სახით, 2004 წელს დაფუძნდა. მასში გაერთიანებულია ცალკეული მუზეუმები და სახლ-მუზეუმები, სამეცნიერო ცენტრები, საცავები, ეროვნული გალერეა. დღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმი მსოფლიო კლასის მუზეუმად ითვლება და მისი დაარსება ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სტრუქტურული, ინსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმების დასაწყისს უკავშირდება.

მუზეუმმა უკანასკნელი წლების მანძილზე არაერთი საინტერესო პროექტი განახორციელა. მაგალითად, გაეროს განვითარების პროგრამის, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერით, პროექტის „გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მოეწყო გამოფენები: „გენდერი და ხელოვნება“, „ევოლუციური გენდერი“; შედგა ბრიტანული და ქართული ქუჩის ფოტოგრაფიის გამოფენა; განხორციელდა იუნესკოს, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატის ერთობლივი პროექტი „გ. ჩიტაიას სახელობის

ღია ცის ქვეშ მუზეუმის რეაბილიტაცია“; დაარსდა ტურისტული მარშრუტი „თბილისი-სიღნაღი“. ამჟამად ვმუშაობთ ეროვნული მუზეუმის, თბილისის მერიისა და თბილისის საკრებულოს ერთობლივ პროექტზე „უძველესი თბილისი“. ეროვნულმა მუზეუმმა, ბოლო ხანებში, არაერთხელ წარუდგინა მსოფლიოს უძველესი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები. მაგალითად, ევროპისა და აშშ-ს ცნობილ მუზეუმებში ვანის არქეოლოგიური აღმოჩენების გამოფენები მოეწყო.

ფაქტია, რომ ეროვნული მუზეუმი უკვე მძლავრი და მასშტაბური ორგანიზაციაა. მისი დათვალიერება შთამბეჭდავს სამუზეუმო კრიზისს ნიშნავს.

– დიახ. ეს ჩვენი მონაპოვარი და მთავარი პრინციპია. ერთიანი სამუზეუმო პოლიტიკის შექმნა ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტია.

ჩვენი ჟურნალის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად გვინტერესებს თქვენი შეხედულება იმის თაობაზე, თუ რა როლის შესრულება შეუძლია მუზეუმს თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში.

– თანამედროვე მუზეუმისთვის განათლება ერთ-ერთი მთავარი და სტრატეგიული მიმართულებაა. ეს უკვე რეალობაა მსოფლიო სამუზეუმო სისტემისთვის და გამონაკლისს,



საგანმანათლებლო სფეროში ჩართულობით, მსოფლიოს წამყვან მუზეუმებს უკვე დიდი და ფასეული გამოცდილება დაუგროვდა. ამ მუზეუმებთან სტაბილური ორმხრივი პარტნიორობა გვაკავშირებს. შესაბამისად, სამუზეუმო საქმის ინოვაციებს დროულად ვეცნობით და ვიზიარებთ.





მიდგენია. ეს ერთი მთლიანობაა, რომელშიც უდავოდ მოიაზრება საგანმანათლებლო სექტორი.

არსებობს თუ არა საქართველოში მუზეუმის, როგორც საგანმანათლებლო რესურსის, რაიმე სახის პროგრამა? რას სთავაზობს ეროვნული მუზეუმი სკოლას და მოსწავლეს?



თანამედროვე მასწავლებელი რთული ამოცანის წინაშე დგას: მან უნდა მოახერხოს წიგნის და თანამედროვე ტექნოლოგიების, კერძოდ, ვებ-სივრცის ისეთი პროპორციით გამოყენება, რომ არც ერთი მათგანი არ დააზარალოს, ორივე მაქსიმალურად ეფექტურად წარმოაჩინოს.

თვის გარკვეული გზამკვლევი საშუალებაა. მისი დახმარებით, მოზარდებსაც და მასწავლებლებსაც ეროვნული მუზეუმის მიმდინარე თუ დროებითი ექსპოზიციების აღქმა-დათვალიერება გაცილებით უადვილდება.


უფრო კონკრეტულად რომ შევეხო მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრის საქმიანობას, ვიტყვი, რომ ჩვენთან ხშირად ტარდება თემატური ექსკურსიები და ტურები გიდის თანხლებით სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისათვის, იქმნება დროებითი და პერმანენტული გამოფენების თანხლები საგანმანათლებლო პროგრამები მოსწავლეებისათვის, ტარდება საგანმანათლებლო მოძრაი გამოფენები და ხორციელდება პროგრამა „მუზეუმი თქვენთან სტუმრად“, ფუნქციონირებს მუზეუმის საკვირაო სკოლა, წრეები, აგრეთვე – საზაფხულო სკოლა და საზაფხულო ბანაკები, ვებ-გვერდზე განთავსებულია დამხმარე მასალა მასწავლებლებისათვის. ვცდილობთ, არ მოვწყდეთ სასკოლო პროცესებს და ჯერჯერობით ამას წარმატებით ვახერხებთ. სამომავლოდ კი კიდევ უფრო სერიოზული გეგმები გვაქვს.

ამ თვალსაზრისით, არც ჩვენ წარმოვადგენთ. თუნდაც ჩვენი სამომავლო პროექტის სათაური – „საქართველოს ეროვნული მუზეუმი ყველა სკოლაში“ ცხადყოფს, რომ სკოლა ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი ორიენტირია. რასაკვირველია, ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ბავშვის აღზრდა ოჯახიდან იწყება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებრივი ინსტიტუტების როლი ნაკლებია. ამ ინსტიტუტების რიგში მოვიზრებ სამუზეუმო სისტემასაც, რომელსაც მოზარდის სრულფასოვან, განათლებულ და პატრიოტ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეუძლია შეიტანოს და შეაქვს კიდევ. ზემოთ დასახელებული ყველა პროექტი, გარკვეულწილად, უკავშირდება სასკოლო-საგანმანათლებლო პროცესს. მთელი ჩვენი საქმიანობა, მთლიანობაში, საზოგადოებაზეა ორიენტირებული და ცალკე, მხოლოდ რომელიმე სფეროსთვის საჭიროდ ვერ წარმო-

– 2005 წელს ეროვნულ მუზეუმში შეიქმნა საგანმანათლებლო პროექტების დეპარტამენტი. მისი საქმიანობა სწორედ სკოლასთან მჭიდრო თანამშრომლობას გულისხმობს. აქვე საგანგებოდ უნდა აღვნიშნო საგანმანათლებლო პროექტების მენეჯერის, ქალბატონ ნინო გედევანიშვილის დიდი წვლილი აღნიშნულ საქმიანობაში. დეპარტამენტი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის ამზადებს სამუზეუმო კოლექციების თემატიკის ირგვლივ შექმნილ პროგრამებს, ანუ მოზარდისთვის უფრო გასაგებ, უფრო იოლად გასათავისებელ ვარიანტებს ქმნის. დეპარტამენტი მასწავლებლებთან და განათლების სფეროში მოღვაწე ექსპერტებთანაც თანამშრომლობს. ჩემი აზრით, მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრის საქმიანობა ეფექტურია, რადგან აქ მომზადებული და გამოცემული საგანმანათლებლო ლიტერატურა თუ გასართობ-შემეცნებითი ნაბეჭდი პროდუქცია მოსწავლეების-

ზემოთ ახსენეთ სამომავლო პროექტი „საქართველოს ეროვნული მუზეუმი ყველა სკოლაში“. უფრო დანერღებით ხომ ვერ გვესაუბრებოდით მის შესახებ?

– ჩვენ მუდმივად განახლებადი თანამედროვე ტექნოლოგიების ხანაში ვცხოვრობთ. შესაბამისად, განათლების მიღების ტექნიკური საშუალებები მუდმივად იხვეწება და უფრო ეფექტური ხდება. ვებ-სივრცის პოტენციალის ათვისება და განვითარება საშუალებას იძლევა, სკოლა და სამუზეუმო გარემო უფრო დავაახლოოთ, სასწავლო პროცესში ჩავართოთ სამუზეუმო კოლექციებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო რესურსები, შევიმუშაოთ ინტერდისციპლინური გაკვეთილის გეგმები, გამოვიყენოთ მდიდარი და საინტერესო ვიზუალური მასალა... ეს ყველაფერი სწავლის პროცესს უფრო სახალისოს და საინტერესოს გახდის.



სამომავლოდ ყველა ეს დამატებითი საგანმანათლებლო რესურსი განთავსდება ეროვნული მუზეუმის სპეციალურ საგანმანათლებლო ვებ-გვერდზე. რაც უფრო უკეთ და მასშტაბურად იქნება სკოლები კომპიუტერიზებული, განსაკუთრებით, რეგიონებში, მით უფრო ადვილად დაუკავშირდება მუზეუმი თითოეულ მოზარდს, მით უფრო ხელმისაწვდომი იქნება ჩვენ მიერ მომზადებული საგანმანათლებლო ვებ-მასალა ნებისმიერი მოსწავლისათვის. ეს ტენდენცია უკვე აშკარაა. ვფიქრობ, რომ ჩვენი პროექტიც წარმატებით განხორციელდება და სერიოზულ წვლილს შეიტანს მომავალი თაობების განათლების საქმეში.

ბატონო დავით, თქვენ იცნობთ საერთაშორისო გამოცდილებას. რა გამოცდილება არსებობს დასავლეთში და იგვეგვება თუ არა რაიმე სიახლე ამ კუთხით?

– დიახ, საგანმანათლებლო სფეროში ჩართულობით, მსოფლიოს წამყვან მუზეუმებს უკვე დიდი და მნიშვნელოვანი გამოცდილება დაუგროვდა. ამ მუზეუმებთან სტაბილური ორმხრივი პარტნიორობა გვაკავშირებს. შესაბამისად, სამუზეუმო საქმის ინოვაციებს დროულად ვეცნობით და ვიზიარებთ. მაგალითად, განსაკუთრებული ურთიერთობა გვაკავშირებს ვაშინგტონის სმითსონიანის სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო ინსტიტუტთან, რომელსაც სოლიდური სამუზეუმო კომპლექსიც ეკუთვნის. სმითსონიანის ინსტიტუტი, სამუზეუმო განათლების მიმართულებით, ლიდერია მსოფლიოში და, რასაკვირველია, მისი გამოცდილების გათვალისწინება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამ ინსტიტუტმა დიდი წარმატებით, ძალიან ეფექტურად განახორციელა ზემოაღნიშნული პროექტის („მუზეუმი ყველა სკოლაში“) მსგავსი პროექტი. სამუზეუმო ვებ-შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებამ სასწავლო პროცესში დადებითი შედეგი გამოიღო. ჩვენ სწორედ ამ გამოცდილებას და სიახლეს ვეყრდნობით.

არაერთ ქართულ სკოლაში ნახავთ წლების მანძილზე

დიდი რუდუნებით შექმნილ მინი-მუზეუმს. მაგალითად, ბევრი მსმენია საჩხერის რაიონის, სოფელ ქორეთის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შესახებ. აქვთ თუ არა ასეთ მინი-მუზეუმებს ეროვნული მუზეუმის ორგანულ ნაწილად ქცევის შანსი?

– კარგი შეკითხვაა. რასაკვირველია, აქვთ! და რაც უფრო მალე განხორციელდება ჩვენი პროექტი „ეროვნული მუზეუმი ყველა სკოლაში“, მით უფრო მალე დადგება ეს დრო.

თქვენ მიერ განხორციელებული პროექტებიდან ერთი მინდა აღვნიშნო, რომელმაც ძალიან შემძრა. ეს არის პროექტი, სახელწოდებით „დავებმართომის ბავშვებს“.

– ეს პროექტი ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრმა შეიმუშავა. მუზეუმი შეეცადა, ფსიქოლოგიური და სოციალური რეაბილიტაციის პროცესში დახმარებოდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზარალებულ ბავშვებსა და მოზარდებს.

ბატონო დავით, არქეოლოგიით თქვენი გატაცება მხოლოდ გენეტიკურმა მიდრეკილებამ განაპირობა, თუ სკოლასაც მიუძღვის რამე წვლილი? ან იქნებ, როგორც პატარა ბიჭების უმრავლესობამ, ტომ სოიერით და ჰეკლბერი ფინივით განძის ძებნით დაინყეთ?

– არა, არა. განძის ძებნით არ დამინყია. არქეოლოგიით გატაცებას ნამდვილად მამაჩემს ვუმაძლი. ის ცნობილი არქეოლოგი იყო და პატარაობიდანვე გავეცანი ამ საქმის ლაბორატორიას. თუმცა სკოლის როლსაც ვერ უარვყოფ ჩემი პროფესიის შერჩევაში. მე №1 ექსპერიმენტული სკოლა დავამთავრე. ძალიან კარგი, თავისი საქმის ენთუზიასტი და პროფესიონალი პედაგოგები მასწავლიდნენ. განსაკუთრებულად მიყვარდა ჩემი გეოგრაფიის მასწავლებელი, გეოგრაფიის წრეზეც დავდიოდი. გეოგრაფიით გატაცებამ არჩევანიც

განაპირობა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი.

ბატონო დავით, როგორც მშობელი, რას იტყვით თანამედროვე განათლებასა და სკოლაზე?

– თანამედროვე სკოლა გაცილებით მრავალფეროვან და მძლავრ საგანმანათლებლო საშუალებებს ფლობს. ინტერნეტ-სამყარო წიგნის საშემკურნელად და ალტერნატივადაც კი იქცა, მაგრამ წიგნის როლი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაკნინდეს. თანამედროვე მასწავლებელი რთული ამოცანის წინაშე დგას: მან უნდა მოახერხოს წიგნისა და თანამედროვე ტექნოლოგიების, კერძოდ, ვებ-სივრცის ისეთი პროპორციით გამოყენება, რომ არც ერთი მათგანი არ დააზარალოს, ორივე მაქსიმალურად ეფექტურად წარმოაჩინოს. ეს საკმაოდ ძნელია, მაგრამ „ოქროს შუალედი“ მაინც უნდა მოიძებნოს. მასწავლებლებს მოვუწოდებ, კიდევ უფრო მეტად დააინტერესონ მოსწავლეები მშობლიური კულტურული მემკვიდრეობით, მეცნიერების თანამედროვე მიღწევებით, უფრო ფართოდ დაანახონ მათ საქართველოს როლი მსოფლიო კულტურისა და მეცნიერების ქრილში.

როგორ ფიქრობთ, საკუთარი ისტორიის, კულტურული მონაპოვრისადმი ინტერესი ჩვენს მოსწავლეებში მზარდია, კლებადია თუ უცვლელია?

– ინტერესის კლების ტენდენცია არ შემინიშნავს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი გაღრმავება და გაძლიერება ჩვენზეა დამოკიდებული. რაც უფრო ეფექტური იქნება სამუზეუმო სისტემის საქმიანობა, რაც უფრო მჭიდროდ დაუკავშირდება იგი საგანმანათლებლო პროცესს, მით უფრო გაიზრდება ინტერესი ამ თემატიკის მიმართ. სწორედ ესაა ჩვენი მუდმივი ამოცანა.





რომ არ დაიცვალოს

ქურნალი „მასწავლებელი“ დუშეთის რაიონის, სოფელ შუაფხოს სტუმარია.

ბელა ჩეკურიშვილი

გზა

„მასწავლებელი“ სტუმრად დუშეთისკენ გაემგზავრა. ფშავი სოფელ თვალვიდან იწყება. საშუალო სკოლა, სოფელ მაღაროსკარის შემდეგ, უკვე ხევსურეთში – ბარისახოშია. შუაფხოს სკოლა კი, სადაც ორი სოფლის – თბილიანას და შუაფხოს ბავშვები დადიან, საბაზოა. სკოლაში მისასვლელად მათ 3-7 კილომეტრის გავლა უწევთ, რაც ზამთრის პირობებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია. 9 კლასის დამთავრების შემდეგ მშობლებს შვილები იქ მიჰყავთ, სადაც ნათესავი ან სამუშაო ეგულებათ და თავადაც სხვაგან გადადიან საცხოვრებლად.

სკოლა

შუაფხოს სკოლაში წელს 19 მოსწავლე სწავლობს, გასულ წელს 21 სწავ-

ლობდა. ეს სანუგეშო ციფრებია, რადგან, წინა წლებში, მოსწავლეთა რაოდენობა კიდევ უფრო მცირე იყო: 7-დან 9-მდე.

როგორც შუაფხოს სკოლის დირექტორმა, ირმა ცქიფაშვილმა და სხვა პედაგოგებმა გვითხრეს, მთელი სოფლის მოთხოვნაა, შუაფხოს სკოლას „საშუალო სკოლის“ სტატუსი მიენიჭოს. იქნებ ამან მაინც შეაჩეროს ამ სოფლებიდან მიგრაცია. დღეს თბილიანაში 13 ოჯახი ცხოვრობს, შუაფხოში – 11 და ისეთი სოფლებიცაა, სადაც მხოლოდ 1-2 მოსახლეა.


პრობლემა

ირმა ცქიფაშვილი, შუაფხოს სკოლის დირექტორი: „უპირატესობას გვანიჭებენ, როგორც მაღალმთიან რეგიონს, ერთი მოსწავლისთვისაც შეიძლება კლასის გახსნა. ასევე, შეღავათებით

ვსარგებლობთ ეროვნული გამოცდების ჩაბარებისას. თუ სკოლა „საშუალოდ“ გადაკეთდება, ოჯახების მიგრაცია შემცირდება. ძნელია შვილის გადაყვანა სხვა სოფელში. მე ექვსი შვილი მყავს, უფროსი 8 წლისაა და უმცროსი – 10 თვის. ერთი რომ წავიყვანო, ყველა უნდა გავიყოლო“.

ვასწავლით საქართველოსთვის

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის პროგრამით – „ასწავლე საქართველოსთვის“, ფშავში, დუშეთის რაიონის, სოფელ შუაფხოს სკოლაში ორი ვაკანსია შეივსო. გეოგრაფიის მასწავლებელი, ნესტან ხორხომელიძე ქუთაისიდან ჩამოვიდა, ისტორიკოსი გიორგი ტერუნაშვილი კი – თბილისიდან. აქაურობას შეეჩვივნენ, მაგრამ მასწავლებლებს ჯერ ზამთარი აქვთ გადასატანი ამ მთიან მხარეში, რო-



მელთან ტელეფონით დაკავშირებაც შეუძლებელია. დასარეკად მათ შუაფხოვან 5 კილომეტრის გავლა უნევთ.

რაც შეეხება სკოლას, სპეციალისტთა დეფიციტი მაინც პრობლემად რჩება: არ ჰყავთ რუსულის მასწავლებელი, ქიმია-ბიოლოგიას ადგილობრივი ექიმი ასწავლის, ბიოლოგიის გაკვეთილები გეოგრაფმა ნესტან ხორხომელიძემაც შეითავსა. მასწავლებლები და ბავშვები ცდილობენ, რომ სასწავლო პროცესი სრულფასოვანი იყოს. თუმცა მოსწავლეები, სხვადასხვა მიზეზით, ხშირად აცდენენ სკოლას, რაც მათ აკადემიურ მოსწრებაზე ცუდად აისახება.

ნესტან ხორხომელიძე, გეოგრაფიის მასწავლებელი: „კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, შევავსე ანკეტა, გავიარე გასაუბრება, შემდეგ – ორკვირიანი ტრენინგი. შემომთავაზეს დუშეთის რაიონში, ამ სოფელში დასაქმება. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატი გეოგრაფიისა და ტურიზმის განხრით დავამთავრე. ჩარგალში ნამყოფი ვიყავი, აქეთ კი – არა. შევეგუე, რომ ერთი წელი აქ უნდა გავატარო. სკოლის დირექტორის ოჯახში ვცხოვრობ. პირობები მისაღებია და, რაც მთავარია, თბილი ადამიანური ურთიერთობები შეგუების პროცესში მეხმარება. მინდა, ბავშვებს სოციალური უნარჩვევები განვუვითარო, რაც 21-ე საუკუნის მოქალაქისათვის აუცილებელია. ერთი თვეა, აქ ვარ: გეოგრაფიას და ბიოლოგიას ვასწავლი. ბავშვები ძალიან ჩაკეტილები, ნაკლებად კომუნიკაბელურები არიან. ვცდილობ, ისინი უფრო მეტად ჩვერთო გაკვეთილის პროცესში და მათი აქტივობა ავამაღლო. რასაკვირველია, პირველ რიგში, საგნის შესწავლაა აუცილებელი, მაგრამ ისიც მინდა, რომ მოსწავლეები უფრო აქტიურები გავხადო, მათ საკუთარი აზრის გამოხატვა ვასწავლო. ამისთვის ინტერაქტიურ მეთოდებს ვიყენებ. თუმცა აქ ჯგუფური მუშაობა ძნელი ჩასატარებელია: ზოგ კლასში 2 ბავშვია. დაბალ კლასებში, შეიძლება ითქვას, კარგი მოსწრებაა, მაგრამ მაღალ კლასებზე ამას ვერ ვიტყვი“.

ისტორიის მასწავლებელს, გიორგი ტერუნაშვილს პედაგოგობის 5-წლიანი გამოცდილება აქვს. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ბაკალავრიატი და მაგისტრატურა დაამთავრა. როგორც გვითხრა, შუაფხოვში ჩამოსასვლელად, რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: „მინდა, პროფესიული კუთხით ჩემი შესაძლებლობების რეალიზაცია მოვხდინო. გარდა ამისა, მოტივაცია იყო მაღალი ხელფასიც. ქალაქში ხომ მასწავლებლის ხელფასი შედარებით დაბალია. მოსწავლეებს, პირველ რიგში, იმას ვასწავლი, რომ საუბრის პროცესში თანასწორუფლებიანები ვართ და საკუთარი აზრის გამოთქმის არ უნდა მოერიდოთ. მათ თეორიული ცოდნის შეძენა და გარკვეული უნარ-ჩვევების განვითარებაც სჭირდებათ. ბატონმა პრეზიდენტმა, ვ. ოქტომბერს, დუშეთში გამართულ სახახლო დღესასწაულზე, რომ გაიგო, მასწავლებლები იქ ვიყავით, მოვიდა და გვითხრა, პრეზიდენტი თქვენ გვერდითაა“.

თანადგომა და მზრუნველობა


დიდი ხნის მანძილზე ფშავსა და ფშაველებზე „კავკასიური სახლი“ ზრუნავდა. ის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციაა და კავკასიაში კულტურული და ბუნებრივი რესურსების გადარჩენა მის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.

შუაფხოვში ჩამოსულებს სკოლის ჭიშკართან „კავკასიური სახლის“ ხელმძღვანელი, მწერალი ნაირა გელაშვილი შემოგვეგება. მისი დახმარებით, სასწავლო წლის დასაწყისში ყველა მოსწავლემ სახელმძღვანელოები მიიღო, სკოლამ მუსიკალური ცენტრი შეიძინა და ბიბლიოთეკის ფონდის შევსებაც დაიწყო. შემდეგი ნაბიჯი ბავშვებისთვის ზამთრის ფესხაცმელებისა და ქურთუკების შექმნაა. გაზაფხულზე კი, როცა სკოლის შენობა გარემონტდება, „კავკასიური სახლის დახმარებით“, ის საჭირო ტექნიკით აღიჭურვება. ლიტერატურული სალონი მოეწყობა, ფესტივალები გაიმართება და საქართველოს ეს ლამაზი კუთხეც თანდათან გამომოცხდდება.

ნაირა გელაშვილი, „კავკასიური სახლის“ ხელმძღვანელი: „როდესაც შენობა გარემონტდება და სკოლა სათანადოდ აღიჭურვება, „კავკასიური სახლი“ ბავშვებთან მუშაობას დაიწყებს: ჩამოვლენ სპეციალისტები, რომლებიც ლექციებს წაიკითხავენ, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის. გვინდა, სკოლის გვერდით მდებარე შენობაც გავარემონტოთ, რომელიც ადრე საერთო საცხოვრებელი იყო. ზამთარში რომ ბავშვს 7 კილომეტრი ექნება გასავლელი, ის რასაკვირველია, სკოლაში არ წავა“. ყოფილი ინტერნატის შენობაში, ამჟამად 2 ოჯახია შესახლებული. როგორც გვითხრეს, სოფელს აქვს იმის საშუალება, რომ ისინი სხვა საცხოვრებელით დააკმაყოფილოს. მალე ეს შენობა ისევე სკოლას დაუბრუნდება.“

ეპილოგი

დავემშვიდობეთ სკოლას და მასწავლებლებს. გამოვიყოლეთ სურვილი და იმედი, რომ მზრუნველი და თანამდგომი არ მოაკლდება ამ ულამაზეს კუთხეს, აქაურ ბავშვებს და მასწავლებლებს, შედეგად, სოფელიც აღარ დაიცლება.





სწავლა მასწავლებელთა

- ბექდური მედია სკოლაში


ალეკო ციციტიშვილი

გამოცდილ პედაგოგებს კარგად ახსოვთ საბჭოთა პერიოდის მთავარი საგანმანათლებლო გაზეთი – „სახალხო განათლება“, რომელიც ათწლეულების მანძილზე აცნობდა მათ განათლების სფეროს სიახლეებს. მასწავლებლებს ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“ ემასხოვრებოდა, რომლის ყურადღების ცენტრშიც საშუალო სკოლების პრობლემატიკა იყო. ორივე გამოცემამ, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, ინერციით კიდევ რამდენიმე წელს იარსება. მათთვის საბედისწერო აღმოჩნდა საბაზრო ეკონომიკის გარემო, როცა სახელმწიფო უფასოდ აღარ აწვდიდა საგანმანათლებლო დაწესებულებებს ამ გამოცემებს და პედაგოგებსაც აღარავინ აძალებდა მათ გამოწერას. თავისუფალ ბაზარზე საგანმანათლებლო ჟურნალ-გაზეთებისადმი ინტერესმა თანდათან იკლო. სამოქალაქო დაპირისპირების, აფხაზეთის ომისა თუ ეკონომიკური სიდუხჭირის პერიოდში ღრმა კრიზისი

განათლების სისტემასაც შეეხო. უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში ახალი არაფერი ხდებოდა. კორუფციის, ნგრევისა და სტაგნაციის პირობებში საგანმანათლებლო პროფილის ჟურნალ-გაზეთების კითხვას აზრი დაეკარგა.

ბოლო პერიოდში ამ პროფილის ბექდური მედიისადმი ინტერესი კვლავ იზრდება, რაც გამოწვეულია განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმით, უმაღლეს სასწავლებლებსა თუ საჯარო სკოლებში დანერგილი ახალი სასწავლო პროგრამებითა და გეგმებით. პედაგოგებს, ლექტორებს, საბავშვო ბაღების აღმზრდელებს ისევ გაუჩნდათ მოთხოვნილება, მიიღონ ინფორმაცია შემოთავაზებულ სიახლეებზე, გააანალიზონ უახლესი, ინოვაციური სასწავლო მეთოდები და ჰქონდეთ საკუთარი აზრი ყველაფერზე, რაც მათ საქმიანობას უკავშირდება. ამ პროცესში კი საუკეთესო მედიატორი, სწორედ, ბექდური მედიაა.





დღეს ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, გამოსცეს ჟურნალი თუ გაზეთი, რომელიც განათლების სისტემაში მიმდინარე მოვლენებს გააშუქებს. სიმართლე რომ ვთქვათ, ამ ტიპის გამოცემების რიცხვი მაინცდამაინც დიდი არ არის. განსაკუთრებით შესამჩნევია კერძო გამოცემების დეფიციტი. გაზეთი „ახალი განათლება“, პრაქტიკულად, ერთადერთი მაღალტირაჟიანი კერძო გამოცემაა, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით ვრცელდება. სხვა კერძო გამოცემები, თუ არ ჩავთვლით პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის გაზეთს, ფაქტობრივად არ არსებობს, ან იმდენად დაბალი ტირაჟით გამოდის, რომ საზოგადოებამ მათ შესახებ არაფერი იცის. ასეთ ვითარებაში, საინფორმაციო დეფიციტის შევსება ისევ განათლების სამინისტრომ ითავა.

სახელმწიფო გამოცემები

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ჟურნალ „მასწავლებელს“ გამოსცემს, ხოლო ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ეგიდით გამოდის გაზეთი „დიალოგი“, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. აღნიშნული გამოცემის დანართები „მრავალენოვანი განათლება“ და „დიალოგი +“. ამ უკანასკნელის გარდა, ჩამოთვლილი გამოცემები უფასოდ რიგდება სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში. „დიალოგი +“ კომერციული გამოცემაა და, ძირითადად, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის არის განკუთვნილი.

„დიალოგი“ მასწავლებლებისა და მშობლების აქტიუალურ შეკითხვებს პასუხობს. თითოეული ნომრისთვის შეკითხვები სხვადასხვა გზით გროვდება (რესურს-ცენტრები, ელექტრონული ფოსტა, ტრენინგები, ტელეფონი), კლასიფიცირების შემდეგ კი თითოეულ მათგანს შესაბამისი პასუხი გაეცემა. ეს გაზეთი ერთგ-

ვარი ხიდია პედაგოგებს, მშობლებსა და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრს შორის.

აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი „დიალოგი“ ქართულენოვანი „დიალოგის“ თარგმანს წარმოადგენს, გაზეთი „მრავალენოვანი განათლება“ კი მათ ჩანართის სახით ახლავს. იგი საქართველოში არსებული აზერბაიჯანული და სომხური სკოლების პედაგოგებისთვის არის განკუთვნილი.

გაზეთ „დიალოგი +“-ში, ძირითადად, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ექსპერტებისა და თანამშრომლების მიერ მომზადებული ის პუბლიკაციები იბეჭდება, რომელთა მიზანი პედაგოგიურ მეთოდოლოგიაში ახალი ტენდენციების წარმოჩენაა.

2008-2009 წლებში „დიალოგი +“-ში გამოქვეყნებული საუკეთესო პუბლიკაციები ცენტრმა წიგნად შეკრა და გამოსცა „დიალოგი – აღმანახი“, რომელიც ასევე უფასოდ დარიგდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. „დიალოგის“ მენეჯერის, **ლევან ახვლედიანის** თქმით, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ბეჭდური გამოცემების მთავარი მიზანი მასწავლებელთა ინფორმირებაა, რაშიც რედაქციას რეგიონული რესურს-ცენტრები ეხმარება. სწორედ ისინი გადასცემენ გაზეთებს სკოლის დირექტორებს, დირექტორები კი მასწავლებლებს აწვდიან.


კერძო გამოცემები

„ახალი განათლება“ საგანმანათლებლო პროფილის გაზეთია. ის 1998 წლიდან გამოდის და საქართველოს ყველა რეგიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ვრცელდება, მათ შორის – კონფლიქტურ ზონებში, მაღალმთიან და არაქართულენოვანი მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში; ასევე – უმაღლეს სასწავ-

ლებლებში, საბავშვო ბაღებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. გაზეთი განათლების მუშაკებს უზრუნველყოფს მათთვის საინტერესო და საჭირო ინფორმაციით: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისა და გამოცემების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული დოკუმენტებითა და სხვა სიახლეებით.

„ახალი განათლების“ რედაქტორის, **მარიკა ჩიქოვანის** ინფორმაციით, 10 წლის განმავლობაში მათ არაერთი პუბლიკაცია მოამზადეს ინკლუზიური განათლების დანერგვის, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა პრობლემატიკის შესახებ. „ახალ განათლებაში“ სისტემატურად ქვეყნდება მეთოდური წერილები მასწავლებლების დასახმარებლად, შუქდება უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე ცვლილებები, სტუდენტთა და მოსწავლეთა შემოქმედება, ზოგადად – საქართველოს საზოგადოებრივი, სამეცნიერო, კულტურული და სპორტული ცხოვრება.

„კითხვის საერთაშორისო საზოგადოების“ მხარდაჭერით, 1998 წლიდან მასწავლებლებისთვის გამოი-





ცემოდა „ნიგნიერი“ – საინტერესო პუბლიკაციებით გამორჩეული ყოველკვარტალური ჟურნალი. 15 ნომრის გამოსვლის შემდეგ მან არსებობა შეწყვიტა. „ნიგნიერის“ ყოფილი რედაქტორის, **ზვიად მიმინოშვილის** თქმით, ჟურნალის დახურვა რედაქციამ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც განათლების სამინისტრომ პედაგოგების ინფორმირება საკუთარ თავზე აიღო: „წმინდა კომერციული თვალსაზრისით, „ნიგნიერის“ გამოცემა მომგებიანი აღარ იყო. განათლების სამინისტრომ თვითონვე გამოსცა ისეთი პროფილის და თემატიკის ჟურნალ-გაზეთები, როგორსაც ჩვენ გამოვცემდით. განათლების სამინისტროს ბექდური გამოცემები ახლა სკოლებში უფასოდ კირიგდება, მაგრამ ზოგჯერ დირექტორების კაბინეტებიდან არ გამოდის და მასწავლებლებმა არაფერი იციან მათ შესახებ“.

საგანმანათლებლო პროფილის გამოცემებს შორის აგრეთვე აღსანიშნავია პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის გაზეთი, რომელიც პედაგოგთა სამართლებრივი და სოციალური უფლებების

დაცვაზეა ორიენტირებული. ამ მიმართულებით პრობლემები არა მარტო საქართველოში, არამედ ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს და პროფკავშირებიც ცდილობს, შეასრულოს თავისი ფუნქცია – დაიცვას განათლების მუშაკი.

შედარებით ვიწრო პროფილი აქვს გა მურლულიას რედაქტორობით გამოშვალ ჟურნალს – „ქართული სიტყვა“. იგი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებისთვის არის განკუთვნილი. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას ლიტერატურის ინსტიტუტის თანმშრომლები წარმოადგენენ.

მკითხველები

თბილისის 161-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, **მაია თევდორაძემ** ჟურნალ „მასწავლებლის“ არსებობა ინტერნეტით შეიტყო. მანამდე მას და მის კოლეგებს ამ გამოცემის შესახებ არაფერი სმენოდათ.

მაია თევდორაძე: „ჟურნალ „მასწავლებლის“ ვებ-გვერდზე დავრეგისტრირდი და მას შემდეგ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრიდან ჩემთვის საინტერესო მასალებს ინტერნეტით მიგზავნიან. 161-ე სკოლის გარდა, საქართველოს უნივერსიტეტის კერძო სკოლაშიც ვასწავლი და შეიძლება ითქვას, ჩემს გარშემო პედაგოგთა დიდმა ნაწილმა არაფერი იცის ამ ჟურნალის შესახებ. რაც შეეხება გაზეთებს „დიალოგი“, „დიალოგი +“, სკოლებში მათაც ვერ ვხედავ. ერთადერთი, რაც ამ სასწავლო წელს სკოლაში მასწავლებლებამდე მოვიდა, ეს არის ჟურნალი „ქართული სიტყვა“.


მაია თევდორაძის თქმით, საგანმანათლებლო პროფილის გამოცემებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია პედაგოგთა განვითარების პროცესში. განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა, თუ ასეთი ტიპის

ჟურნალ-გაზეთები დიდ ადგილს დაუთმობდნენ ქართული საგანმანათლებლო სისტემისა და სასკოლო განათლების ევროპულ სტანდარტებზე გადასვლის საკითხებს. ასევე, პედაგოგები ინტერესით გაეცნობდნენ სტატიების ციკლს ევროპის ქვეყნების სკოლების გამოცდილებაზე, მათ პრობლემებზე.

თბილისის 47-ე საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი, **ირმა გაგნიძე** ამბობს, რომ განათლების სამინისტროს ბექდური გამოცემები დირექტორთან ან სამასწავლებლოში იყრის თავს და მასწავლებლები მათ მორიგეობით ეცნობიან. სკოლაში ასევე ვრცელდება გაზეთი „ახალი განათლება“. სკოლის პროფკავშირს კი მათთვის პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის გაზეთი მიაქვს. ირმა გაგნიძის თქმით, სასურველია, საგანმანათლებლო გამოცემებმა მასწავლებლებს სასწავლო დისციპლინების მიხედვით მიაწოდონ ინფორმაცია ახალი სასწავლო მეთოდების შესახებ.

სტატიაზე მუშაობისას გავარკვიეთ, რომ გამოცემების დიდი ნაწილი ზოგჯერ მასწავლებლებამდე ვერ აღწევს. ასეთ შემთხვევაში, ისინი სკოლის დირექტორის კაბინეტსა და ბიბლიოთეკაში უნდა ვეძებოთ. თითოეული გამოცემის და, მათ შორის, ჟურნალ „მასწავლებლის“ მიზანია, რაც შეიძლება, მეტი ინფორმაცია მიაწოდოს პედაგოგებს პროფესიული განვითარების კუთხით. „მასწავლებელი“ ყველა ნომერში აცხადებს კონკურსს იმ პედაგოგებისთვის, რომლებიც საუკეთესო გაკვეთილის პროექტს წარმოადგენენ. ჟურნალში ისინი პრაქტიკულ რჩევებსა და მოსწავლეებთან მუშაობის ახალ მეთოდებს ეცნობიან. რაც მთავარია, „მასწავლებელი“ პოპულარიზაციას უწევს მასწავლებლის პროფესიას და ცდილობს, ჟურნალი საკითხავადაც სასიამოვნო იყოს.





პროექტი

„წიგნის მეგობრები“

ბრძელდება

პროექტი „წიგნის მეგობრები“, რომელიც თბილისის რამდენიმე სკოლაში განხორციელდა, დედაქალაქში ისევ გაგრძელდება. სტატიის მიზანია, კიდევ ერთხელ გაიმბოთ „წიგნის მეგობრების“ შესახებ, რათა სკოლებმა, რომლებიც საცდელმა პროექტმა ვერ მოიცვა (იგულისხმება რეგიონის სკოლებიც) თავიანთი ინიციატივით დაიწყონ მისი განხორციელება. პროექტი განსაკუთრებულ რესურსებს არ მოითხოვს, მასში მონაწილეობა კი, ვფიქრობთ, მოსწავლეებს კითხვას შეაყვარებს და პროექტიც წიგნიერების დონის ამაღლებაში თავის წვლილს შეიტანს.

სოფო კვერნაძე

პროექტის მოხალისე კოორდინატორი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა, 2009 წლის აპრილ-ივნისში, საცდელი პროექტი „წიგნის მეგობრები“ განახორციელა. პროექტის მიზანი მოზარდებში წიგნიერების დონის ამაღლების ხელშეწყობა იყო. კვირაში ერთხელ, გაკვეთილების დასრულების შემდეგ, მოხალისე სტუდენტები და უფროს-კლასელები ერთსაათიან შეხვედრას აწყობდნენ II და III კლასების მოსწავლეებთან. ისინი ბავშვებს ცენტრის მიერ შერჩეულ ქართულ და

უცხოურ საბავშვო ლიტერატურას უკითხავდნენ. ნაკითხულის ირგვლივ დისკუსია იმართებოდა, რაც მათ მოსმენისა და მსჯელობის უნარ-ჩვევებს უვითარებდა. ამასთან, მოსწავლეებს ეძლეოდათ მარტივი დავალება: უნდა დაეხატათ საყვარელი ნაწარმოებების გმირები, ან დაესურათებინათ ეპიზოდები, რაც წარმოსახვის უნარის განვითარებას უწყობდა ხელს. ნახატების გამოფენა საკლასო ოთახებში იმართებოდა. ნაკითხვა და მოსმენა ნება-



ყოფლობითი იყო და სტანდარტულ საგაკვეთილო რეჟიმში არ მიმდინარეობდა.

თავისუფალი გარემოს შესაქმნელად, საკლასო ოთახის ინტერიერი იცვლებოდა (მერხების გადაადგილება, საგამოფენო კუთხეების მოწყობა და ა.შ.), წიგნს მოხალისეები კითხულობდნენ და არა ბავშვები.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, **სალომე მოდებაძე**, რომელიც „წიგნის მეგობრების“ მოხალისე გახლავთ, გვიამბობს: „წიგნის მეგობრები“ არაჩვეულებრივ შესაძლებლობას სთავაზობს სკოლებს იმისთვის, რომ ბავშვებს წიგნის კითხვის უპირატესობა აჩვენონ. ამიტომ გამიჩნდა სურვილი, ჩემი წვლილიც შემეტანა ამ სასარგებლო საქმეში“.

თითოეულ შეხვედრაზე ერთ ან რამდენიმე მოთხრობას კითხულობდნენ და განიხილავდნენ. მოხალისეები შესაფერის გარემოს უქმნიდნენ ბავშვებს იმისთვის, რომ მათ მაქსიმალურად თავისუფლად ეგრძნოთ თავი და თამამად გამოეთქვათ საკუთარი აზრი წაკითხულ ტექსტთან დაკავშირებით.

კიდევ ერთი მოხალისე, **დარეჯან მამულაშვილი** ამბობს რომ: „შეხვედრებზე ბავშვები შეზღუდულნი არ იყვნენ, უფრო მეტად იხსენებოდნენ. გარემო ხელს უწყობდა მათ, რომ ფანტაზია რეალობასთან მიაეხლოვებინათ. მასალასაც გაცილებით ადვილად ითვისებდნენ“.

„მე ძალიან მომწონდა ახალგაზრდების მიერ წაკითხული მოთხრობები... ჩემი ნება რომ იყოს, განრიგს შევცვლიდი: კვირაში ერთი დღე ცოტაა, კიდევ ერთ დღეს დავიმატებდი“, – აღნიშნა თბილისის 54-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ, **სალომე მარგველაშვილმა**.

როგორც გამოკითხვამ გვაჩვენა, ბავშვებს მართლაც მიეცათ სტიმული იმისთვის, რომ მეტი იკითხონ:

„პროექტმა ცოდნის გაღრმავების საშუალება მოგვცა და წიგნებისადმი ჩვენი დამოკიდებულებაც შეიცვალა. გამიხარდება, თუ ეს პროექტი დიდხანს გაგრძელდება“, – ამბობს 54-ე საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე, **ანა მკალავიშვილი**.

ამავე სკოლის მასწავლებელი, **რუსუდან ლალიძე** აღნიშნავს: „შეხვედრები კვირაში 1 საათს იყო დაგეგ-



მილი, მაგრამ ბავშვები იმდენად დაინტერესდნენ ლიტერატურის კითხვით, რომ მშობლებს სახლში აღარ მიჰყვებოდნენ. ზოგჯერ ცდილობდნენ, თვითონაც შეეძინათ წიგნები და სახლში წაეკითხათ ის, რასაც შეხვედრებზე ვერ ასწრებდნენ. მათში კითხვის სურვილმა გაიღვიძა“.

საცდელი პროექტის დასრულებისას, 19 ივნისს, 54-ე სკოლაში საგანგებოდ შერჩეული წიგნის ერთ-ერთი ავტორი, **ტარიელ ხავთასი** ბავშვებს შეხვდა და მათ იმ ნაწარმოების შესახებ ესაუბრა, რომელსაც „წიგნის მეგობრები“ კითხულობდნენ. ზოგადად, ავტორთან შეხვედრა მოზარდებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და მათ უფრო დიდ სტიმულს აძლევს.

ამავე დღეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **ნიკა გვარამიამ** და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორმა, **სოფიო გორგოძემ** პროექტ „წიგნის მეგობრები“ მონაწილე მოხალისეებს სერტიფიკატები გადასცეს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი პროექტის გაგრძელებას გეგმავს და, მისი დახვეწის მიზნით, სკოლებს სთავაზობს, თავად შეიმუშაონ და განახორციელონ მსგავსი პროექტები.

„ვფიქრობ, სკოლებს შეუძლიათ, თავად წამოიწყონ ეს პროექტი. ჩვენ მხოლოდ ორგანიზება გავუწიეთ ამ პროცესს, უნივერსიტეტებსა და

სკოლებში გამოვაკარით განცხადება, რომ ვეძებდით მოხალისეებს, სტუდენტებსა და უფროსკლასელებს, რომლებიც პატარებს გაკვეთილების შემდეგ საინტერესო მოთხრობებს წაუკითხავდნენ. თავდაპირველად გვეგონა, ბევრი არ დაინტერესდებოდა რადგან ეს არ იყო ანაზღაურებადი საქმიანობა, თუმცა იმდენი სტუდენტი დაინტერესდა, რომ მათ სერიოზული კონკურსის გავლა მოუწიათ, რათა განსაკუთრებით მოტივირებული მოხალისეები შეგვეჩია. აუცილებლად ვითანამშრომლებთ იმ სკოლასთან, რომელიც ასეთ ინიციატივას გამოიჩენს და შეძლებისდაგვარად დავეხმარებით“, – ამბობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი **სოფო გორგოძე**.

პროექტის მომზადების, კვლევისა და სატრენინგო მასალების შესახებ ინფორმაციის ნახვა შეგიძლიათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებ-გვერდზე: www.tpdc.ge



ზეიქითა ჟურნალი მასწავლებელი

თბილისსა და საქართველოს რეგიონებში

მოიკითხეთ თქვენი ჟურნალი თბილისში, „მაცნე“-ს, „პლანეტა ფორტე“-სა და „ელვა-სერვისის“ საცალო ვაჭრობის ჯიხურებში! საქართველოს რეგიონებში კი სს „საქპრესას“ ჯიხურებში!

გამოიწერეთ ჟურნალი „მასწავლებელი“ თბილისსა და საქართველოს რეგიონებში!

ჟურნალ „მასწავლებელზე“ ხელმოწერის გასაფორმებლად მიმართეთ „საქპრესას“ და მიიღეთ თქვენი „მასწავლებელი“ თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე ყოველ ორ თვეში ერთხელ!

ანგარიშსწორება შესაძლებელია როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარისშნრებით. ხელმოწერა ექვსი თვით – 6 ლარი.

საქართველოს რეგიონებში ჟურნალ „მასწავლებლის“ გამომწერა შეგიძლიათ სს „საქპრესას“ ფილიალებში შემდეგ მისამართებზე:

ბათუმი	მემედ აბაშიძის №33 (ფოსტის შენობა) აჭარა, 7 22 42;	მარტვილი	თავისუფლების ქ. №12, 2 12 26; 877 97 90 38;
ახალგორი	თავისუფლების მოედანი №8, 4 26 78;	მარნეული	რუსთაველის ქ. №43, 877 97 90 62;
ადიგენი	თამარ მეფის ქ. №12, 51 59 05; 877 97 90 20;	მესტია	რუსთაველის ქ. №1, 877 97 90 68;
აბაშა	თავისუფლების მოედანი №56, 9 12 26; 877 97 90 13;	მცხეთა	დავით აღმაშენებლის ქ. №64, 2 09; 877 97 90 39;
ამბროლაური	მ. კოსტავას ქ. №2, 2 15 16; 877 97 90 37;	ნინოწმინდა	კ. მარქსის ქ. №22
ასპინძა	რუსთაველის ქ. №10, 9 10 26;	ონი	დავით აღმაშენებლის მოედანი №1, 877 97 90 41;
ახალქალაქი	მიქოიანის ქ. №15, 51 59 05; 877 97 90 20;	ოზურგეთი	გოგებაშვილის ქ. №2, 6 59 44; 877 97 90 42;
ახალციხე	დედენის ქ. №3, 2 03 13; 877 97 90 16;	რუსთავი	მეგობრობის გამზირი №9, 12 01 55; 877 97 90 08;
ახმეტა	ლესელიძის ქ. №3, 2 14 65; 877 97 90 17;	საგარეჯო	დავით აღმაშენებლის ქ. №15, 4 36 92; 877 97 90 43;
ბოლნისი	სულხან-საბა ორბელიანის ქ. №50, 2 21 50; 877 97 90 19;	სამტრედია	თამარ მეფის ქ. №2, 2 20 52; 877 97 90 44.
ბორჯომი	რუსთაველის ქ. №103, 2 21 15; 877 97 90 28;	საჩხერე	თავისუფლების ქ. №5, 2 19 65; 877 97 90 69;
ბაღდათი	ვაჟა ფშაველას ქ. №2, 21 01; 877 97 90 18;	სიღნაღი	ცოტნე დადიანის ქ. №2, 899 23 19 28;
გორი	სტალინის გამზირი №15, 2 21 41; 877 97 90 22;	სენაკი	რუსთაველის ქ. №253, 877 97 90 46;
გარდაბანი	დავით აღმაშენებლის ქ. №74, 877 97 90 21;	ტყიბული	კ. გამსახურდიას ქ. №53, 2 35 30; 877 97 90 47;
გურჯაანი	თავისუფლების ქ. №7, 2 08 57; 877 97 90 64;	ფოთი	წმინდა გიორგის ქ. №16, 2 28 48; 877 97 90 48;
დმანისი	წმინდა ნინოს ქ. №46, 2 10 61;	ქუთაისი	დავით აღმაშენებლის გამზირი №24, 7 71 79; 877 97 90 06;
დედოფლისწყარო	რუსთაველის ქ. №53, 2 29 76; 877 97 90 23;	ქარელი	მგალობლიშვილის ქ. №5, 3 13 45; 899 76 69 81;
დუშეთი	სტალინის ქ. №21, 2 16 02; 877 97 90 25;	ყაზბეგი	დაბა ყაზბეგი, 5 20 12; 877 97 90 59;
ვანი	ჭავჭავაძის ქ. №43, 2 15 72; 877 97 90 26;	ყვარელი	ილია ჭავჭავაძის ქ. №150, 877 97 90 51;
ზესტაფონი	დავით აღმაშენებლის ქ. №21, 5 28 53; 877 97 90 27;	ჩოხატაური	მშვიდობის ქ. №5, 877 97 90 52;
ზუგდიდი	რუსთაველის ქ. №92, 2 29 11; 2 35 95; 877 97 90 03;	ჩხოროწყუ	კოსტავას ქ. №5, 2 15 10; 877 97 90 66;
თელავი	მ. კოსტავას ქ. №10, 3 12 31; 877 97 90 02;	ცაგერე	რუსთაველის ქ. №12, 25 12; 877 97 90 53;
თერჯოლა	რუსთაველის ქ. №63, 2 11 12; 877 97 90 71;	წყალტუბო	რუსთაველის ქ. №6, 2 23 45; 877 97 90 55;
თეთრიწყარო	თამარ დედოფლის ქ. №20, 2 29 98; 877 97 90 32;	წალკა	ლენინის ქ. 68
თიანეთი	ლაშარის ქ. №5, 9 18 46; 877 97 90 33;	წალენჯიხა	თბილისის ქ. №2, 20 62; 877 97 90 54;
კასპი	სააკაძის ქ. №1, 2 27 28; 877 97 90 34;	ხონი	გამარჯვების ქ. №2, 2 14 29; 877 97 90 58;
ლაგოდეხი	26 მაისის ქ. №6, 2 23 20	ხობი	ცოტნე დადიანის ქ. №86, 22 24; 877 97 90 11;
ლანჩხუთი	ზაალ მდინარაძის ქ. №1, 877 97 90 36;	ხაშური	რუსთაველის ქ. №2, 4 20 98; 877 97 90 57;
ლენტეხი	დაბა ლენტეხი, 51 59 05; 877 97 90 20;	ხარაგაული	სოლომონ მეფის ქ. №58, 2 12 88
		ჭიათურა	ილია ჭავჭავაძის ქ. №4 5 30 41; 877 97 90 56

ხელმოწერის პირობებზე და თქვენთვის საინტერესო სხვა საკითხებზე დეტალური ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ზემოაღნიშნულ მისამართებზე, მითითებული ტელეფონების საშუალებით.

დაამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

სს „საქპრესა“: ქ. თბილისი, დიდგორის ქ. №2, ხელმოწერის სამსახური: 51-59-05 ან 51-60-04;
„ელვა-სერვისი“: ტელ: 38-26-73 ან 28-26-74.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 95 13 95 ფაქსი: (+995 32) 95 58 36 ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

როდესაც შვიდი წლის ასაკში მოცარტი კონცერტებს მართავდა მაინის ფრანკფურტში, მასთან მივიდა თოთხმეტი წლის ბიჭუნა.

- რა შესანიშნავად უკრავ! მე ალბათ ვერასოდეს ვისწავლი ასე დაკვრას.
- როგორ არა! შენ ხომ უკვე დიდი ხარ. სცადე და თუ ვერ გამოგივა, დაიწყე ნოტების წერა.
- მე ვწერ.....ლექსებს.....
- ეგეც ხომ ძალიან საინტერესოა. კარგი ლექსების წერა ალბათ კიდევ უფრო ძნელია, ვიდრე მუსიკისა.
- რატომ, სულ ადვილია. სცადე შენც...

მოცარტის თანამოსაუბრე გოგოთე იყო.

